ოსეთი და ჩვენი სიმართლე A2

ოს სეპარატისტებს ქართველების "შავი სია" აქვთ შედგენილი A2

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 28 აგვისტო, 2004 წელი. №204 (753)

ფასი 50 თეთრი

# რეზერვისტებო, სწორდით!

**ომისათვის არ ვემზადებით, მაგრამ ქვეყანას დაცვა სჭირდება**



*შვეიცარია - მყარი ნეიტრალიტეტის ქვეყანა, რომლის შეიარაღებული ძალების უმეტეს ნაწილს რეზერვისტები ქმნიან.*

ნინო გომართელი

*საქართველოში რეზერვისტთა შენაერთების ჩამოყალიბება იწყება. გუშინ "24 საათის" რედაქციაში რამდენჯერმე გაისმა მოქალაქეთა სატელეფონო ზარები. უმეტესობა რეგიონიდან რეკავდა და ყველა მათგანს ერთი რამ აინტერესებდა - როგორ შეიძლება რეზერვისტთა ჯგუფში გაწევრიანება. როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეებმა მაშინვე მიიღეს მიხეილ სააკაშვილის გამოწვევა: ყველანი - სამშობლოს დასაცავად, ყველანი - რეზერვისტთა ჯგუფებში...*

ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, რეზერვისტთა ჯგუფების ხარჯზე, სამხედრო ძალებს რიცხობრივად ამცირებს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ რეზერვისტებს ზუსტად იგივე ცოდნა და გამოცდილება ექნებათ, როგორც აქტიურ სამხედრო მოსამსახურეებს.

თუმცა, დოქტრინა - მზადყოფნა და სარეზერვო ჯგუფების ეფექტურობა - ყველა ქვეყანაში განსხვავებულია.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეგულარული არმიის გარდა, საქართველოს რეზერვისტთა კარგად ორგანიზებული და გაწვრთნილი შენაერთებიც სჭირდება.

ეს, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და მის მიზანს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა, რომ საქართველო ყველაფრისთვის მზად არის.

**"მტერმა უნდა იცოდეს, რომ აგრესიის შემთხვევაში, ქართველი ჯარისკაცების გარდა, მას მთელი ერი დაუპირისპირდება,"** - თქვა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის გეგმით, ისრაელისა და შვეიცარიის მსგავსად, საქართველოს ყველა რაიონში რეზერვისტთა სპეციალური პუნქტები შეიქმნება, სადაც მათ, საჭიროების შემთხვევაში, იარაღითა და ფორმებით უზრუნველყოფენ. აღნიშნული სტრუქტურები, ძირითადად, რეგიონებში იმოქმედებენ და მუდმივად სრულ მზადყოფნაში იქნებიან. თითოეულ რეზერვისტს ექნება თავისი პირადი ნომერი, ეცოდინება მეთაური და ის, თუ რომელ სამხედრო ქვედანაყოფში უნდა გამოცხადდეს ომის შემთხვევაში.

რეზერვისტები ყოველწლიურად გაივლიან კონტროლს რეგიონულ სამმართველოებში.

**"ყველა ადამიანი, ვისაც უნდა საქართველოს მომავალი, ვისაც აქვს ფიზიკური მონაცემები, იქნება რეზერვისტთა სამსა-**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართველების დარბევის სანქციას რუსი დეპუტატები გასცემენ

**"თუ თბილისში რუსეთის საელჩოს წინ ქართველი ექსტრემისტები ხულიგნობას თავს არ დაანებებენ, ჩვენი ახალგაზრდობა მათ ადეკვატურ პასუხს გასცემს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში რუსეთის პარლამენტის ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსეი ოსტროვსკიმ, საქართველოს საელჩოს წინ გამართული მორიგი საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ.

**"სააკაშვილის პოლიტიკას ლოგიკურად მივყავართ ასეთ ნაბიჯებამდე. გასაგებია, რომ იგი ამერიკის მიერ დაფინანსებული აქციებით მსოფლიოს თვალში რუსეთის დამცირებას ცდილობს. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ვაიძულოთ სააკაშვილი, ტონი შეცვალოს. მოვუწოდებთ მოსკოვში აკრედიტებულ ქართველ დიპლომატებს და მათი ოჯახის წევრებს, დროზე მიმართონ რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს, რადგანაც ჩვენ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ რუსეთის ახალგაზრდული პატრიოტული ორგანიზაციები, ნაციონალ-ბოლშევიკები და "სკინჰედები" მათზე სერიოზულ თავდასხმებს გეგმავენ იმ პოლიტიკის საპასუხოდ, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი რუსეთის წინააღმდეგ ეწევა. ჩემ მიერ ჩამოთვლილი ყველა ორგანიზაციის სერიოზული განზრახვების შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ მათ ოფიციალურ საიტებსა და ფორუმებზე,"** - აცხადებს რუსი პარლამენტარი.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაცია "იდუშჩიე ვმესტე", საპრეზიდენტო პოლიტიკური პარტია "ედინაია როსია" და სახალხო-პატრიოტული ბლოკი "როდინა" 27 აგვისტოდან მოსკოვში ქართული დიპლომატიური მისიის პერმანენტულ პიკეტირებას იწყებენ. ორშაბათს ვლადიმირ ჟირინოვსკის მთელი პარტია მორიგ საპროტესტო პიკეტზე აპირებს მისვლას. რუსი ნაციონალისტების აზრით, მხოლოდ ამ გზით და მხოლოდ მოსკოველი ქართველების დატერორებითაა შესაძლებელი სააკაშვილის გონზე მოყვანა. საქართველოს საელჩოს წინ ოფიციალური თბილისის შეურაცხმყოფელი შეძახილები ისმოდა, რომ არაფერი ვთქვათ ანტიქართული შინაარსის პლაკატებზე, რომლებზეც საქართველოს ხელისუფლება ფაშისტური რეჟიმის სახით იყო გამოსახული.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ეკონომიკა

### "თბილგაზს" ვალების თავისით გასტუმრება არ შეუძლია



"თბილგაზს" ვალების თავისი ძალებით გასტუმრების შესაძლებლობა არა აქვს, ეს საკითხი უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს," - აცხადებს კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი.

A4

## უცხოეთი

### ჰექსოგენის კვალი და შესაძლო ტერორისტები

როსტოვის ოლქში თვითმფრინავ "ტუ-154"-ის კატასტროფის ადგილას ასაფეთქებელი ნივთიერების, სავარაუდოდ, ჰექსოგენის კვალია აღმოჩენილი.

A5

## საზოგადოება

### საინგილოს "დედა სამშობლოში" დაბრუნება



"დიდი მადლობა საქართველოს, რომ ინგილო ბავშვებს დედა სამშობლოში ყოფნის ბედნიერება მისცა. "

A6

## სამართალი

### ბასილიზმის სასამართლო პროცესი



იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერს, რაც ბასილ მკალავიშვილს უკავშირდება, წივილ-კივილი და წყევლა-კრულვა ახლავს, ცხადია, უხმაუროდ ვერც მისი სასამართლო პროცესის პირველი დღე ჩაივლიდა.

A7

## ამინდი

| | 28/8 | 29/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ქუთაისი | 39 | 41 |
| ბათუმი | 37 | 41 |
| სოხუმი | 34 | 37 |
| ფოთი | 37 | 41 |
| თელავი | 33 | 35 |
| ზუგდიდი | 38 | 41 |
| გორი | 31 | 33 |
| ახმეტა | 32 | 34 |
| ჭიათურა | 35 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1755 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2384 |
| რუბლი | 0.0616 |

# საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოება



*ეკლესია ქართული ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური შინაარსის შემცველი ღირებულებების მთავარი დამცველია.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)
*ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი*

მას შემდეგ, რაც საქართველო გათავისუფლდა კომუნისტური მმართველობისა და ათეისტური იდეოლოგიის წნეხისაგან, საზოგადოებას მიეცა თავისუფალი აზრის გამოთქმის საშუალება, რამაც შესაძლებელი გახადა ერისათვის არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე ღიად საუბარი. ახალი ძალით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში წმიდა ილია მართლისეული "მამული, ენა, სარწმუნოება" და ახლებური სიმწვავით დადგა ქართული ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური შინაარსის შემცველი ღირებულებების დაცვისა და შენარჩუნების საკითხი, რადგან ამ საფუძველზე შენდებოდა საუკუნეთა განმავლობაში ქართული სახელმწიფო და ყალიბდებოდა ეროვნული ცნობიერება; ეს ღირებულებები წარმოადგენს ჩვენი ცხოვრებისა და განვითარების ქვაკუთხედს და მათშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნოდარ ნათაძე ყველას წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია ოსი და აფხაზი სეპარატისტებისადმი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით არ შემოიფარგლება. პარალელურად, ოფიციალური მოსკოვი უახლესი ისტორიის დამახინჯებასაც ცდილობს და სურს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღებულ ეთნოკონფლიქტებში მთლიანად ქართული მხარე დაადანაშაულოს. ჟამთააღმწერლის ფუნქცია თავად პრეზიდენტმა პუტინმა იკისრა, რომლის "ღრმააზროვანმა დასკვნებმაც" ქართველი პოლიტიკოსების გაღიზიანება გამოიწვია.*

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ვლადიმირ პუტინის განცხადებას "თავხედურს" უწოდებს და ამბობს, რომ თავის დროზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სულელური კი არა, ბრძნული იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 გულახდილად | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ნიკა რურუას სვეტი

# ოსეთი და ჩვენი სიმართლე



იმის შემდეგ, რაც ყოფილ სამხრეთ ოსეთში სიტუაცია შედარებით განიმუხტა (ანუ თორმეტი წლის განმავლობაში არსებული ანომალიური სტატუს-კვო დროებით აღდგა), იმატა შეკითხვებმა იმის თაობაზე, თუ რამდენად დროული ან/და მიზანშეწონილი იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სეპარატისტულად განწყობილ რეგიონში მდგომარეობის შეგნებულად დაძაბვა და მოვლენების დაჩქარება.

ჩემი აზრით, ამგვარი კითხვების დასმა, თავისთავად, არანაირ ახირებულობასა ან არაკეთილმოსურნე ზრახვებს არ შეიცავს, იმიტომ, რომ პოლიტიკურ ლიდერთა ქმედებების განსჯა და კრიტიკა მახასიათებელი ნიშან-თვისებაა ყოველი ჯანმრთელი და თავისუფალი საზოგადოებისა.

ეს, როგორც ვიცით, ერთ-ერთი ყველაზე საიმედო "აღვირია" ნებისმიერი ღირსეული მმართველობისა, რომელსაც, იდეაში, არასდროს არ უნდა დაავიწყდეს მისი, როგორც ხალხის მსახურის როლის, აქედან გამომდინარე ვალდებულებებისა და საკუთარი მოღვაწეობის დროებითობის შესახებ.

ამდენად, ეს კითხვები სავსებით ლეგიტიმურია.

საქმე ისაა, რომ პასუხები მათზე საკმარისი სიმტკიცით არავის გაუცია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ან საზოგადოებისათვის პასუხის გაცემის აუცილებლობას ვერავინ ხედავს, რაც, თავისთავად, შეცდომად მიმაჩნია (იმდენად, რამდენადაც არსებობს დამარწმუნებელი არგუმენტები იმის შესახებ, რომ ოსეთში სიტუაციის ესკალაცია არათუ ნაადრევი, არამედ საქართველოს მხრიდან კარგა მაგრად დაგვიანებული იყო), ანდა ნიშნავს იმას, რომ ამგვარი საკითხები მხოლოდ ხელისუფლების თავის ტკივილადაა მიჩნეული, რაც კიდევ უფრო დიდი და სახიფათო შეცდომა უნდა იყოს. ცნობილი გამოთქმა, რომ "ომი ძალიან სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ იგი მხოლოდ სამხედროებს მივანდოთ", ამ შემთხვევაში შეიძლება, ამგვარად ტრანსფორმირდეს: "ქვეყნის მთლიანობა და მისი მომავალი ძალიან სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ იგი მხოლოდ პოლიტიკოსებს მივანდოთ".

ასე რომ, დროული მგონია შეხსენება, როგორც მმართველი ძალისათვის (რომლის ნაწილსაც დღესდღეისობით მეც წარმოვადგენ), ისევე საზოგადოებისათვის იმისა, რომ როგორც "ვარდების რევოლუცია", ისე აჭარის განთავისუფლება იყო რეზულტატი გუნდური ქმედებისა, სადაც ხალხი, სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური ლიდერები, ე.წ. "სპონტანური წესრიგის" ლოგიკით მართულნი, აბსოლუტურად ჰარმონიულად მოქმედებდნენ. ყველა აკეთებდა იმას, რაც შეეძლო და არ მოელოდა არანაირ აპლოდისმენტებს - ყველასათვის მთავარი მხოლოდ რეზულტატი იყო. და გამარჯვებამაც არ დააყოვნა.

მაგრამ, დავუბრუნდები ზემოთ თქმულს: როგორც აღვნიშნე, პირადად მე ვერავისაგან მოვისმინე ერთი შეხედვით ისედაც ნათელი, ტრუიზმებივით მარტივი, მაგრამ მაინც აუცილებლად აღსანიშნავი არგუმენტები იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა, და რატომ მაინცადამაინც ახლა. ამდენად, შევეცდები მკითხველს განვითარებული მოვლენების ჩემეული ხედვა და ჩვენი მხრიდან ხშირად (განსაკუთრებით უცხოურ მედიასთან) გასამეორებელი არგუმენტები შევთავაზო:

უპირველესად, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველო წარმართავს მოქმედებებს იმისათვის, რომ აღადგინოს კონტროლი იმ ტერიტორიებზე, რომელნიც ღიად და საყოველთაოდ არიან აღიარებულნი საქართველოს ტერიტორიებად ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (გაერო-ს ჩათვლით), და რომ იგი ახორციელებს მცდელობას, შეკრას და აკონტროლოს საკუთარი საზღვრები, როგორც ამას იზამდა ნებისმიერი თავისუფალი და ცივილიზებული ქვეყანა, რომელიც იმართება კანონიერებისა და წესრიგის პრინციპებით.

აგრეთვე, საქართველო მზადაა, გამოხატავს სურვილს და აქვს შესაძლებლობა, რომ ხსენებული პროცესი წარმართოს მშვიდობიან რეჟიმში, ამოწუროს ყველა სამშვიდობო და დიპლომატიური ხერხი იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს ოსეთის სეპარატისტული რეგიონის დე-ფაქტო მმართველებთან გონივრული კომპრომისის ფარგლებში მოქცეული, ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება. მაგრამ, ხაზგასმითაა აღსანიშნავი ისიც, რომ როდესაც ყველა მშვიდობიანი ხერხი ამოწურული იქნება, საქართველო იტოვებს უფლებას, დაიცვას საკუთარი სუვერენობა და დემოკრატია ყველა საშუალებით, სამხედრო მეთოდის ჩათვლით.

ამასთანავე აუცილებელია, ჩვენს დასავლელ მეგობრებს, მოკავშირეებსა და დანარჩენ მსოფლიოს ნათლად ავუხსნათ, რომ უკონტროლო ტერიტორიები ქმნიან სერიოზულ საშიშროებას არა მარტო დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესისათვის საქართველოში, არამედ წარმოადგენენ რეალურ საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისთვისაც, იმდენად, რამდენადაც ამგვარი გაუკონტროლებელი ტერიტორიები წარმოადგენენ საერთაშორისო ტერორიზმისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის მყუდრო თავშესაფარს.

საერთაშორისო თანამეგობრობისაგან მეტი მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი, საჭიროდ მიმაჩნია მკაფიოდ არტიკულირება იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე მტკიცედ ორიენტირებულ სახელმწიფოს, რომელსაც ესაჭიროება სხვა ლიბერალურ დემოკრატიათა პოლიტიკური თანადგომა იმისათვის, რომ საქართველო იქცეს დემოკრატიზაციის პროცესის შეუქცევადობის მაგალითად სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომელნიც, აგრეთვე, იმყოფებიან ტრანსფორმაციის პროცესში და ანალოგიურ პრობლემებს განიცდიან.

დაბოლოს, ყველასათვის ნათელი უნდა გავხადოთ, რომ რუსეთი, როგორც საქართველოს მეზობელი სახელმწიფო, იყენებს საკუთარ მშვიდობისმყოფელ ჯარებს როგორც საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის იარაღს. ამდენად ის არ არის და არც შეიძლება ჩაითვალოს ქართული და ოსური ინტერესების მიუკერძოებელ არბიტრად. აქ ნათელია, რომ რუსეთს ამ რეგიონში, როგორც "მშვიდობისმყოფელს" გააჩნია ღია და აშკარა ინტერესების კონფლიქტი. აქედან გამომდინარე, გაზრდილი საერთაშორისო კონტინგენტის მიერ რუსეთის ამჟამინდელი მისიის ჩანაცვლება წარმოადგენს კონფლიქტის სამართლიანი და საბოლოო მოგვარებისათვის უმთავრეს პირობას, რაც დემოკრატიის მომავალზე თავისთავად განმსაზღვრელ გავლენას იქონიებს მთელი კავკასიის რეგიონში.

მანამდე კი, სანამ სამშობლოს გამთლიანებისა და გათავისუფლების პროცესში ვიმყოფებით, უბრალო პრაგმატულობის კარნახით, არას გზით არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი დიდი პატრიოტისა და მეომრის კეთილგონივრული რჩევა: ძალიან ბევრის მიღწევაა შესაძლებელი, თუ არავის ადარდებს, ვინ მიიღებს ყველაზე მეტ ქება-დიდებას. ანუ, თუ გვსურს, რომ გავიმარჯვოთ, არავინ უნდა იდარდოს, ვის დაუკრავენ მეტ ტაშს.

# ქართველების დარბევის სანქციას რუსი დეპუტატები გასცემენ

პირველი გვერდიდან

მოსკოვში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყველაზე აგრესიული და მორჩილი ახალგაზრდული ექსტრემისტული გაერთიანება სწორედ ჟირინოვსკის ფრაქციას ჰყავს, რუსი "სკინჰედები" კი სისტემატურად ჩნდებიან "ლდპრ"-ისა და ცნობილი რუსი ნაციონალისტის ედუარდ ლიმონოვის საზოგადოებაში.

რაც შეეხება მოსკოვში ქართული დიპლომატიური მისიის შენობისა და ქართველი დიპლომატების უსაფრთხოებას, უნდა ითქვას, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამ-ოთხკაციანი დაცვა უკვე არასერიოზულად გამოიყურება. თუკი ქართულ დიპმისიაზე რუსი ექსტრემისტები მართლაც განახორციელებენ შეტევას, ის სამი თუ ოთხი მილიციონერი, ნამდვილად არასაკმარისი ძალაა. მეორე საკითხია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მოსკოვში მცხოვრები უბრალო ქართველები რუსი ნაციონალ-პატრიოტების დაპირებული გააქტიურების შემთხვევაში?

■ ■ ■

"ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. 1961 წელს ვენაში მიღებული დიპლომატიური ურთიერთობების კონვენციის თანახმად, ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია, თავის ტერიტორიაზე არსებული, უცხო ქვეყნის საელჩოები სხვადასხვა შეტევებისა და ზიანის მიყენებისაგან დაიცვას. ასევე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საელჩოს თანამშრომელთა სიმშვიდე და დაიცვას ისინი სხვადასხვა შეურაცხყოფისგან. საქართველოში, როგორც ჩანს, ეს კონვენცია არ მოქმედებს, ჩვენ უკვე ათი დღეა ნორმალურ მუშაობას ვერ ვახერხებთ," - აცხადებენ საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები.

მოსკოვი თბილისთან არანაირ მოლაპარაკებას არ გამართავს, ვიდრე საქართველოს დედაქალაქში რუსეთის საელჩოსთან ანტირუსული დემონსტრაცია მიმდინარეობს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ კუზნეცოვმა განაცხადა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ ასევე გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც ლავროვის უწყება ქართულ მხარეს მოუწოდებს "წესრიგი დაამყაროს საქართველოში რუსეთის საელჩოს შენობის წინ".

"რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ხელისუფლებისგან დაჟინებით მოითხოვს, ბოლო მოეღოს ხულიგნურ გამოხტომებს რუსეთის საელჩოს წინ და საელჩოს თანამშრომლებს მუშაობისთვის ნორმალური პირობები შეექმნას. ეს საქართველოს ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა," - აღნიშნულია დოკუმენტში.

"ცხადია, იმ ვაკხანალიის ფონზე, რომელიც რუსეთის საელჩოს წინ იმართება, რაიმე კონტაქტებისა და მოლაპარაკებების წარმოება ქართულ მხარესთან, თუნდაც, სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით ან სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, შეუძლებელია," - აღნიშნულია განცხადებაში. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საელჩოს წინ მიმდინარე აქციები "საქართველოს ხელისუფლების აშკარა მონაწილეობით იმართება".

გუშინ საღამოს, საქართველოში რუსეთის საელჩოს შენობის წინ მიმდინარე აქცია დროებით შეწყდა. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, გამორიცხული არ არის, მიტინგები კვლავ განახლდეს. "ჯერ მარიამობის დღესასწაულს ვიზეიმებთ და მერე ვნახავთ, როგორ მოიქცევა რუსეთი. ამის მიხედვით გადავწყვეტთ," - აცხადებს ერთ-ერთი მომიტინგე.

*რუსუდან ნიკურაძე*
*24 საათი*

# ნოდარ ნათაძე ყველას წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ნოდარ ნათაძე აღშფოთებულია, რომ პარლამენტმა რუსეთს სათანადო პასუხი არ გასცა და მხოლოდ განცხადების გაკეთებით შემოიფარგლა.*

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, ნოდარ ნათაძემ, უზენაესი საბჭოს სახელით, მოამზადა საპასუხო განცხადება, რომელშიც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობას არანაირი ისტორიული და სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. განცხადებას, ჯერჯერობით, უზენაესი საბჭოს მხოლოდ 9 წევრი აწერს ხელს, თუმცა, სახალხო ფრონტის ლიდერი დარწმუნებულია, რომ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ხელმომწერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ვლადიმირ პუტინისა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გამოხტომებს საქართველოს პარლამენტმა **"სათანადო პასუხი არ გასცა და მხოლოდ განცხადების გაკეთებით შემოიფარგლა"**. ნათაძე პარლამენტს სახელმწიფო ღალატად უთვლის იმას, რომ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ არ გააუქმა ცხინვალის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მანდატი და მთელი მსოფლიოს წინაშე ოფიციალურად არ განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ აგრესიას ახორციელებს.

"ღალატის ნიშნებს" ნათაძე არა მარტო პარლამენტის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებშიც პოულობს. კერძოდ, სახალხო ფრონტის ლიდერს დაუშვებლად მიაჩნია საქართველოს მთავრობის ინიციატივა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის თაობაზე. ნათაძის თქმით, მაშინ, როდესაც ქართული კონტინგენტი სამშვიდობო ძალების მხოლოდ ერთ მესამედს წარმოადგენს, ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაციაზე დათანხმება, სახელმწიფო ღალატის ტოლფასია.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნოდარ ნათაძემ, უარყოფით მომენტებთან ერთად, იმ დადებით ძვრებზეც ისაუბრა, რაც კონფლიქტთან მიმართებაში შეინიშნება. სახალხო ფრონტის თავმჯდომარე პროგრესად მიიჩნევს იმას, რომ **"ქართული ჯარი ახლა უკვე ხარისხიანი და ბრძოლისუნარიანია"**.

ამასთან, ნათაძე მიესალმება იმ საკადრო ცვლილებებს, რომლებიც ბოლო დროს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბში განხორციელდა.

**"იუკურიძე ჯარებს კარგად რომ სარდლობდა, ამის მომსწრე თავად ვარ. თუმცა, ისიც მჯერა, რომ გენერალური შტაბის ახალი ხელმძღვანელობა საქმეებს უკეთესად გაუძღვება"**, - დასძენს ნოდარ ნათაძე.

# პრეზიდენტი ათენშია

ათენის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება. გუშინ, გამთენიისას, იგი ავიაკომპანია "აირზენას" კუთვნილი რეგულარული ავიარეისით პარიზში გაემგზავრა, რის შემდეგაც საბერძნეთის დედაქალაქს ეწვევა. პრეზიდენტის ათენში ვიზიტი არაოფიციალურია და იგი ორ დღეს გასტანს.

28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი ოლიმპიადაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველი სპორტსმენების გამოსვლებს დაესწრება და სპეციალურად ოლიმპიადისთვის მოწყობილ "ქართულ სახლში" პრესკონფერენციას გამართავს.

ათენის "ქართული სახლი" უკვე მოინახულა პრეზიდენტის მეუღლემ სანდრა რულოვსმა, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, ოლიმპიადის დედაქალაქში იმყოფება.

*24 საათი*

# აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმცირესობაშია

განხეთქილებაა დევნილობაში მყოფ აფხაზეთის უზენაეს საბჭოში.

თემურ მჟავია მის გარეშე ჩატარებული სესიის გადაწყვეტილების გაუქმებას სასამართლოს წესით შეეცდება, თუ უმაღლესი საბჭოს წევრები გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებებს თავად არ გააუქმებენ.

თემურ მჟავიას მიერ პროტესტის ნიშნად სხდომის დატოვების მიუხედავად, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ წუხელ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას წინადადებები განიხილა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ - პაატა დავითაია, მოადგილედ - ზურაბ კოკაია, აპარატის უფროსად კი კახა კოპალიანი დაამტკიცა. "შევეცდები, დავარწმუნო დეპუტატები, რომ უმაღლესმა საბჭომ კანონიერი სესია უნდა ჩაატაროს და თავად გააუქმოს წუხელ უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილებები," - განაცხადა თემურ მჟავიამ. მან დასძინა, რომ თუ უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია მის მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, იგი სესიის უკანონო გადაწყვეტილებების გაუქმებას სასამართლოს გზით შეეცდება.

*24 საათი*

# ევროპული დახმარება დევნილებისთვის

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს დაზარალებულთათვის ოთხი მილიონი ევრო გამოიყოფა. ამის შესახებ იტყობინება რუსული სააგენტო "რია ნოვოსტის" კორესპონდენტი ბრიუსელიდან. აღნიშნული თანხა დევნილთა ჰუმანიტარულ დახმარებას მოხმარდება.

როგორც ევროკომისიის პრესცენტრში აცხადებენ, დახმარების მთავარი ადრესატები ორივე მხარის წარმომადგენელი დევნილები იქნებიან.

ამ თანხით შეიძენენ პროდუქტებს, კარვებს, მედიკამენტებს და სამედიცინო დანადგარებს. თანხის ხარჯვის პროცესს ევროკომისიის ჰუმანიტარული ბიურო გააკონტროლებს.

*24 საათი*

# ივაშოვი საქართველოზე "დარდობს"

ნატო-სკენ სწრაფვამ შესაძლოა საქართველო თურქეთზე დამოკიდებულად აქციოს. გეოპოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ლეონიდ ივაშოვმა აღნიშნული მოსაზრება გუშინ რუს ჟურნალისტებთან საუბრისას დააფიქსირა. მისი თქმით, თურქეთს მრავალსაუკუნოვანი ინტერესები აქვს კავკასიასა და შავიზღვისპირეთში. "ბოლო დროს თურქეთი ძალიან ბევრს აკეთებს საქართველოში საკუთარი სამხედრო მონაწილეობის გასამტკიცებლად. კერძოდ, თურქეთის ხელშეწყობით მოხდა ვაზიანის აეროდრომის ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისად გადაკეთება. ივაშოვის აზრით, "ანკარას სტაბილური, მაგრამ თურქეთზე დამოკიდებული საქართველო სჭირდება". ამასთან, რუსი ექსპერტი ამტკიცებს, რომ თურქეთს ხელს არ აძლევს ძლიერი და ნატო-ს სტანდარტებს მიახლოებული ქართული ჯარის არსებობა. ივაშოვი არ გამორიცხავს, რომ მომავალში თურქეთის სამხედრო მონაწილეობა საქართველოში კიდევ უფრო გამყარდება და თურქეთი საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარ სამხედრო ბაზებს განალაგებს.

*24 საათი*

## რუსეთი აფხაზეთში სერიოზულად შეიჭრა

სარკინიგზო მაგისტრალის აღსადგენად გუშინ სოხუმში რუსეთიდან სპეციალური ტექნიკა ჩავიდა. როგორც აფხაზეთის რკინიგზის ხელმძღვანელი ლეონიდ კურუა აცხადებს, სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზამ" აფხაზეთში 14 ერთეული სპეცტექნიკა, 36 ვაგონი საშენი მასალა, სამი ვაგონი შპალი და მუშების საცხოვრებლად ორი სამგზავრო ვაგონი ჩაიტანა. ამჟამად ფსოუ-გაგრა-გუდაუთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა მიმდინარეობს. სამუშაოები, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოს დასრულდება. უკვე ათი სექტემბრისთვის დაგეგმილია პირველი სამგზავრო მატარებლის "სოხუმი-როსტოვი-მოსკოვის" გაშვება. მიმდინარეობს, ასევე, სოხუმის რკინიგზის სადგურის შენობის აღდგენაც. **24 საათი**

## ოს სეპარატისტებს ქართველების "შავი სია" აქვთ შედგენილი

მას შემდეგ, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში აქტიური სროლა აღარ ისმის, ოსური მხარე ქართველთა წინააღმდეგ სხვა ზომებს მიმართავს. დღე არ გავა, რომ სეპარატისტებმა ქართველების წინააღმდეგ რაიმე აგრესიული ღონისძიება არ გაატარონ. გუშინ კი გაირკვა, რომ ოს სეპარატისტებს იმ ქართველების სია აქვთ ჩამოწერილი, რომელთა მიმართაც ფიზიკურ ანგარიშსწორებას გეგმავენ.

ოსური მხარის მიერ შედგენილი "შავი სიის" შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ცხინვალის გავლით სოფელ თამარაშენში მიმავალ მალხაზ კობერიძეს ოსი შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს. თავდამსხმელებმა ქართველი უმიზეზოდ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი ცხინვალის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. "იქ რაღაც სიაში დიდხანს მეძებდნენ, ვერ მპოულობდნენ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სიაში არ ვეწერე. რადგანაც ქართული სახელ-გვარებით შემდგარ სიაში არ აღმოვჩნდი, გამომიშვეს", - ასე იხსენებს ოსებისგან სასტიკად ნაცემი, თამარაშენის მკვიდრი მალხაზ კობერიძე.

როგორც გაირკვა, სეპარატისტების მიერ შედგენილი "შავი სია" საკმაოდ ვრცელია. სია იმ ქართველებისგან შედგება, რომელთა ლიკვიდირებაც ოსურ მხარეს აქვს გადაწყვეტილი. იქ ჩამოთვლილ ქართველებს შორის არიან ქურთის პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე და საქართველოს პარლამენტის წევრი ცხინვალის რეგიონიდან გურამ ვახტანგაშვილი.

*24 საათი*

## ქართველი "კანონიერი ქურდი" მოსკოვში კრიმინალებს აკონტროლებდა

ქართველი ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდი გუშინ მოსკოვის მილიციამ ტალდომსკაიას ქუჩაზე დააკავა. როგორც გაირკვა, იარაღის უკანონო შენახვისა და ქართული ციხიდან გაქცევისთვის 2000 წლიდან საქართველოს მიერ სახელმწიფოთაშორისი ძებნა იყო გამოცხადებული. მოსკოვიდან საქართველოში გადმოგზავნილი მასალების მიხედვით, რუსი სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა ხელთ არსებული ინფორმაციით, ნიკურაძე მოსკოვში იმ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს აკონტროლებდა, რომლებიც ძარცვა-ყაჩაღობას ეწეოდნენ. დაკავებისას ნიკურაძეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. "ამჟამად წყდება საკითხი დაკავებულის მიმართ ყალბი საბუთების გამოყენების მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ", - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*24 საათი*

## დაზღვევის სისტემებს საგანგებო ფორუმი მიეძღვნება

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემისა და დაზღვევის სპეციალური ფონდების შექმნას მიეძღვნება კომერციული ბანკების ფორუმი, რომელიც ორშაბათს საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) გაიმართება. ფორუმში მონაწილეობას სებ-ის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე მიიღებს. ამ სამსახურის სპეციფიკას საქართველოს კომერციული ბანკების მესვეურებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ექსპერტი დირკ კუპაი გააცნობს, რომელიც საქართველოში გერმანიის განვითარების საკრედიტო დაწესებულების (KFW) მოწვევით ჩამოდის. მან დეპოზიტების დაზღვევის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში მუშაობისას მიიღო. სებ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ანალოგიური სისტემა დანერგილია და ეფექტურად მუშაობს განვითარებულ ქვეყნებში.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების რეგისტრაცია დასრულდა. მათ, ვინც რეგისტრაციის გავლა ვერ შეძლო, 26 სექტემბრამდე უფლება აქვთ, შესაბამისი განცხადება შეიტანონ გაერო-ს ადგილობრივ ოფისში, რომელიც მონაცემებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადასცემს. საბოლოო მონაცემები, სავარაუდოდ, ერთ თვეში გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ფრაქციის "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მიესალმება ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ჰუმანიტარულ აქციებს და აცხადებს, რომ ეს აქციები ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რეზერვისტებო, სწორდით!

## ომისათვის არ ვემზადებით, მაგრამ ქვეყანას დაცვა სჭირდება

პირველი გვერდიდან

**ხურში გაწევრიანებული.**

**ჩვენ არ გვჭირდება ქვეყანაში ომი, ჩვენ არ ვემზადებით ომისთვის, მაგრამ საქართველოს დაცვა ჩვენ დაგვჭირდება დღესაც, ხვალაც და ასი წლის შემდეგაც,"** - ხაზს უსვამს მიხეილ სააკაშვილი.

რეზერვისტთა სტრუქტურების შექმნის კოორდინირება, რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ზურაბ მელიქიშვილს დაევალა.

როგორც მან "24 საათთან" ინტერვიუში განაცხადა, ამ ეტაპზე, მუშაობის სქემა, ჯერჯერობით, შემუშავებული არ არის.

**"რეგიონების რწმუნებულებთან და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, დავსხდებით, შევისწავლით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას რეზერვისტთა ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით და ორ კვირაში პრეზიდენტს გეგმას წარვუდგენთ,"** - აღნიშნა მან.

რასაკვირველია, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა მხედველობიდან არ გამორჩენია რუსეთს. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "НОВОСТИ"-მ გუშინ, სამხედრო ექსპერტთან, გენერალ-პოლკოვნიკ ლეონიდ ივაშოვთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. ივაშოვი აცხადებს, რომ საქართველოში სამხედრო რეზერვისტთა ჯგუფების შექმნა დამნაშავეობის ზრდას შეუწყობს ხელს.

**"თუ მსგავსი სისტემა ჩამოყალიბდება, იგი კრიმინალების შეიარაღებას გამოიწვევს, რასაც შედეგად მოჰყვება სხვადასხვა ექსცესები, მათ შორის, მეზობელ სახელმწიფოებში იარაღის კრიმინალური ექსპორტი,"** -განაცხადა გენერალმა და აქვე ეჭვქვეშ დააყენა, რომ საქართველოს ხელისუფლება რეზერვისტთა იარაღის პოლიციის განყოფილებებში ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას შეძლებს.

**"როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ეს ინსტიტუტი მოქმედებს შვეიცარიაშიც, მაგრამ იქ აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა, სხვა მოსახლეობა და განსხვავებული მენტალიტეტია. შვეიცარიაში უაღრესად კანონმორჩილი მოსახლეობაა და ამასთან, იქ კონფლიქტის საშიშროება არ არსებობს,"** - საქართველოს გაკრიტიკების შანსს არ უშვებს ხელიდან რუსი ექსპერტი.

თუმცა, როგორი სკეპტიკური დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეთ მავანთ და მავანთ, თანაც, ამ შემთხვევაში მხოლოდ რუსები არ იგულისხმება, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა ქვეყანას მხოლოდ გააძლიერებს სამხედრო თვალსაზრისით. სარეზერვო ჯარის არსებობა არაერთ ქვეყანაში ამ-

### რეზერვისტთა პირველი გამოშვება საქართველოში



ქართველ რეზერვისტთა პირველი წვრთნები.

**კასპის რაიონის სოფელ საყავრეს ტერიტორიაზე გუშინ რეზერვისტთა წვრთნის შემაჯამებელი ეტაპი ჩატარდა.**

**ფიზიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით შერჩეულ რეზერვისტებს საქართველოს ეროვნული გვარდია ერთი თვის განმავლობაში საველე პირობებში ყველა შესაძლო ამოცანის შესასრულებლად ამზადებდა.**

**ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა საცეცხლე, ფიზიკური და ტაქტიკური წვრთნები, რაშიც ეროვნული გვარდიის ინსტრუქტორებს ამერიკელთა მიერ მომზადებული ოფიცრებიც ეხმარებოდნენ.**

**ბოლო სამი დღის განმავლობაში კი, რეზერვისტები დასახლებული პუნქტის პირობებში საასეულო ტაქტიკური ჯგუფის შეტევაზე გადასვლას სწავლობდნენ. ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, ეროვნული გვარდიის სარდალი სოსო ქუთათელაძე და გენერალური შტაბის დეპარტამენტების უფროსები დაესწრნენ.**

**ბარამიძის თქმით, არაპროფესიონალმა სამხედროებმა ოპერაცია ოპერატიულად და მაღალპროფესიულ დონეზე ჩაატარეს, რაც ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.**

## ჯარისკაცები, რომლებიც 11 თვე შვებულებაში არიან

მრავალსაუკუნოვანი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი პრობლემის გამო მუდმივად მებრძოლ ისრაელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯარი - "ცახალი" ჰყავს. სარეზერვო არმიის მიხედვით, ისრაელი, შვეიცარიის შემდეგ, მეორეა. სახელმწიფო ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი ჯარის შენახვასა და მის სრულფასოვან აღჭურვაზე იხარჯება.

ისრაელში რეზერვისტების სისტემა დაფუძნებულია პრინციპზე - რეზერვისტი არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც წელიწადში თერთმეტი თვე შვებულებაშია.

1949 წელს, როდესაც ისრაელის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დასრულდა, ქვეყნის ხელმძღვანელობამ რეზერვისტების შვეიცარიული მოდელის კოპირება გადაწყვიტა, რაც საბოლოოდ განხორციელდა კიდეც.

ჯარში სამსახურს ისრაელის ყველა მოქალაქე 18 წლის ასაკში იწყებს და ეს სამი წელი გრძელდება.

ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნებიდან ორი ან სამი თვის შემდეგ კი მოქალაქეებს, უკვე როგორც რეზერვისტებს, პირველ ტრენინგებზე იძახებენ.

რეზერვისტების ტრენინგები, როგორც წესი, გრძელდება ერთი თვე, ან ცოტა მეტი. ისინი მონაწილეობას იღებენ მანევრებსა და სასაზღვრო პატრულირებაში.

სარეზერვო სამსახური ისრაელში მამაკაცებისთვის სავალდებულოა 55 წლამდე, ხოლო ქალებისთვის - 50 წლამდე.

სარეზერვო სამსახურის პერიოდი ამ ქვეყანაში ოფიცრებისთვის წელიწადში 45 დღეს მოიცავს, რიგითებისთვის კი - 30 დღეს.

ისრაელს, თავისი წარსულის მაგალითზე, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება მასზე თავდასხმა განხორციელდეს, რის გამოც, რეზერვისტების მოკლე დროში მობილიზება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თუ არაბულ სამყაროში სარეზერვო ძალების სრულ მობილიზებას, სულ ცოტა, ორი კვირა მაინც სჭირდება, ისრაელი ამას სამ დღეში ახერხებს. სწორედ ამიტომ, ისრაელის სარეზერვო ჯარის სისტემა, მეზობლებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტურია.

რეზერვისტების ბაზაზე შეკრება, განთავსება, მათთვის შესაბამისი აღჭურვილობის გადაცემა და ფრონტზე განლაგება არაუმეტეს 24 საათში უნდა მოესწროს. საომარი პოზიციების დაკავების მაქსიმალური დრო 48 საათია.

ისრაელში რეზერვისტებს მათი მოვალეობები გარკვეულ პრობლემებსაც უქმნის, განსაკუთრებით - ისეთ ასაკში, როდესაც ახალგაზრდები პროფესიული კარიერის გაკეთებას იწყებენ. ნეგატიური ფაქტორების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, ისრაელში შექმნილია ადმინისტრაციული სამხედრო კომისიები, რომელთა მიზანს რიგი მოქალაქეებისთვის ან სტუდენტებისთვის გაწვევის პერიოდის გადავადება წარმოადგენს.

რეზერვისტების მატერიალური კომპენსაციისთვის ისრაელში მარტივი სისტემა არსებობს. ჯარში მსახურობისას, სამხედრო მოსამსახურეს მცირე ანაზღაურება აქვს, ხოლო შემდეგ, როდესაც რეზერვისტად ფორმდება, ნაციონალური სადაზღვევო ინსტიტუტის მეშვეობით, იგი ჩვეულებრივ სამუშაო ანაზღაურებას იღებს.



ისრაელელი რეზერვისტები - სამხედროები, რომლებიც 11 თვე შვებულებაში არიან.

## შვეიცარია - ქვეყანა, სადაც ყველა მამაკაცი რეზერვისტია

რეზერვისტთა ჯგუფების ინიციატორად მსოფლიოში ყველაზე მყარი ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყანა - შვეიცარია ითვლება.

1907 წლის 12 აპრილს, შვეიცარიამ მიიღო ახალი სამხედრო კანონპროექტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რეზერვისტთა სისტემას. აღნიშნული კანონპროექტი ძალაში 1911 წლიდან შევიდა, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი საბოლოოდ მოირგო.

2003 წლის 18 მაისს, შვეიცარიელმა ამომრჩეველმა მოიწონა სამხედრო რეფორმის პროექტი - "ჯარი XXI საუკუნე", რომელმაც შვეიცარიის არმიის რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა. მიმდინარე წელს შვეიცარიას 220 ათასი მილიციელი და 80 ათასი რეზერვისტი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიას მყარი ნეიტრალიტეტი აქვს გამოცხადებული, მას ჰყავს არმია, რომლის შემადგენლობის დიდ ნაწილს რიგითი მოქალაქეებისგან დაკომპლექტებული რეზერვისტთა ჯგუფები ქმნიან. შვეიცარიაში, შეიძლება ითქვას, კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ყველა მოქალაქე რეზერვისტია.

კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა შვეიცარიელი მამაკაცისათვის სამხედრო სამსახური აუცილებელია, ხოლო ქალებისთვის - ნებაყოფლობითი.

შვეიცარიას, საჭიროების შემთხვევაში, 400 ათასი ქალისა და მამაკაცის მობილიზება შეუძლია.

ამ ქვეყანაში, როგორც წესი, ყველა რეზერვისტი გადის ტრენინგს. ყველაზე ხშირად მათ სროლას ასწავლიან და ისინიც ნებისმიერ დროს მზად არიან ბრძოლისათვის.

რეზერვისტებს მთელ ევროპაში ყველაზე ინტენსიურ სწავლებებს სწორედ შვეიცარიაში უტარებენ. ყოველ მათგანს საკუთარი იარაღი თუ სამხედრო აღჭურვილობა სახლში აქვს.



შვეიცარია რეზერვისტთა შენაერთების ჩამოყალიბებაში ისრაელისთვის იქცა მაგალითად.

## ყველაზე ორგანიზებული რეზერვისტთა სტრუქტურა

მსოფლიოში ყველაზე კარგად ორგანიზებული სარეზერვო სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებშია შექმნილი. იქ სამი ტიპის სარეზერვო ჯგუფი არსებობს: შერჩეული რეზერვისტები, პირადი მზადყოფნის რეზერვისტები და გადამდგარი სამხედროები.

შერჩეული რეზერვისტების ჯგუფი (Selected Reserve), პრეზიდენტის განკარგულებაში მყოფი ყველაზე სწრაფად მობილიზებადი რეზერვისტთა ჯგუფია. პირადი მზადყოფნის რეზერვისტთა ჯგუფში (Individual Ready Reserve) არიან პროფესიონალი ჯარისკაცები, ვინც სამოქალაქო სამსახურშია, მაგრამ რომელთა გამოძახებაც შესაძლებელია აქტიური ჯარისკაცების ჩასანაცვლებლად. მესამე ჯგუფი კი (Retired Reserve), უმეტესწილად, 715 ათასი გადამდგარი სამხედრო პირისაგან შედგება. ამერიკის შეერთებული შტატების სარეზერვო ჯგუფში მომსახურე ყველა მოქალაქის მთავარი მიზანი ქვეყნის დაცვა და მშვიდობის შენარჩუნებაა.

შეერთებულ შტატებში რეზერვისტების მობილიზაცია ელვისებურად ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, ყველა წევრს მისივე სარეზერვო პუნქტი აფრთხილებს, სადაც ასევე მოკლე დროში ხდება მომზადება.

შტატებში რეზერვისტთა აქტივირება ნიშნავს იმას, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ამერიკის ჯარში, ან სხვა ქვეყანაში იწვევენ.

ქვეყანაში სარეზერვო ჯარში სამსახურისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფულად ანაზღაურებას.

ამერიკის ყველა რეზერვისტი, მისი სამხედრო რანგის შესაბამის ანაზღაურებას იღებს. სარეზერვო სამსახურში ყოფნის პერიოდში კი რეზერვისტები, დახმარების სახით, საკვებს და საცხოვრებელ ბინას ან, სურვილის შემთხვევაში, ფულად კომპენსაციას იღებენ.

მუდმივად საბრძოლო მზადყოფნის მიზნით, რეზერვისტების ფიზიკური მომზადება შეერთებული შტატებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

ჩვეულებისამებრ, რეზერვისტები წელიწადში ერთ თვეს სარეზერვო სამსახურის გავლას უთმობენ. ამასთან, თვეში ერთი შაბათკვირის განმავლობაში ისინი ტრენინგებს გადიან, ყოველწლიურად კი ტესტებს აბარებენ.

რეზერვისტებს ამზადებენ და კვალიფიკაციას უმაღლებენ იმ კონკრეტულ სფეროში, რაშიც მოქმედება საომარ მოქმედებებში ჩართვის შემთხვევაში მოუწევთ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეერთებული შტატების რეზერვისტთა სტრუქტურას ახასიათებს, მოსამსახურეთა განათლებაზე ზრუნვაა.

შეერთებული შტატები ყველა რეზერვისტს განათლების მისაღებად საჭირო თანხას გადასცემს.

ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ასევე, რეზერვისტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ყოველი მათგანი უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის პოლისით.

შეერთებული შტატების კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტორი სარეზერვო სტრუქტურებში მომსახურეთათვის სამუშაო გამოცდილების მიღებაში ხელშეწყობაა. რეზერვისტებს სათანადო მომზადების გავლის შემდეგ, სერტიფიკატებსაც კი ურიგებენ.



ამერიკის შეერთებულ შტატებში რეზერვისტთა ყველაზე მოქნილი სისტემაა.

# ვინ განდევნის ძროხებს კოპიტნარის აეროპორტის საფრენი ბილიკებიდან

## ქუთაისის აეროპორტით კერძო ავიაკომპანია ინტერესდება

*ქუთაისის აეროპორტის დირექცია სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტისგან ავიაკომპანია "საქრთველოს ნაციონალური ავიახაზებისთვის" ლიცენზიის ჩამორთმევას მოითხოვს. აეროპორტის ხელმძღვანელობასა და ავიაკომპანიას შორის ურთიერთობა მაშინ დაიძაბა, როცა ამ უკანასკნელმა ქუთაისის (კოპიტნარის) აეროპორტის გრძელვადიანი იჯარით აღება განიზრახა. ავიაკომპანიას ამ აეროპორტში ინფრასტრუქტურის, სამგზავრო და სატვირთო კონტროლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ნავიგაციისთვის სასურველი პირობების შექმნა - თუნდაც, საფრენი ბილიკებიდან ძროხების განდევნა სურს.*

ეთერ მამულაშვილი

საუბარია აეროპორტის მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობაზე და არა საჰაერო ხომალდების ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებზე, რომლის ნებისმიერი ფორმით გასხვისებას მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს. ქუთაისის აეროვაგზალში, რომელიც მგზავრთა კომფორტული მომსახურებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის, "ნაციონალური ავიახაზები" მზად არის, სოლიდური თანხა გადაიხადოს და მასში სერიოზული ინვესტიციებიც დააბანდოს. მეტიც, როგორც ავიაკომპანიაში ირწმუნებიან, მათ უკვე მოძებნეს უცხოელი პარტნიორი და 2 მილიონი ამერიკული დოლარი - აეროპორტის შენობის რეკონსტრუქციისთვის, თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. **"ჩვენ შევიმუშავეთ აეროპორტის განვითარების ისეთი ფართო გეგმა, რომელიც არამარტო ჩვენს კომპანიას, არამედ სახელმწიფოს მოუტანს დიდ შემოსავალს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს, ვიდრე დღეს ბიუჯეტი ამ აეროპორტიდან იღებს. ჩვენი გეგმის მიხედვით, ქუთაისის აეროპორტი, საკუთარი მდებარეობის წყალობით, ერთ-ერთი მთავარი ღერძი გახდება ტრანსკონტინენტურ გადაზიდვებში,"** - აცხადებენ ავიაკომპანიაში.

დღეს ქუთაისის აეროპორტის საშუალებით ქართული ავიაკომპანიებიდან რეგულარულ რეისებს მხოლოდ ერთი, ხსენებული ავიაკომპანია ახორციელებს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სხვა დანარჩენი ავიაკომპანიები კოპიტნარის აეროპორტის სარგებლობაზე უარს ამბობენ, აეროპორტის მომსახურების დაბალი დონეა. "ნაციონალური ავიახაზების" ხელმძღვანელის გიორგი კოდუას თქმით, დღეს ქუთაისის აეროპორტის მდგომარეობა შემაძრწუნებელი და სავალალოა. **"აქ არ ხდება იმ ელემენტარული პირობების დაცვაც კი, რაც ავიაციის თვალსაზრისით აეროპორტებისთვის არის დაწესებული. გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციულ შენობაში თითქმის მთლიანად მოშლილია ინფრასტრუქტურა, უკვე კარგა ხანია, აეროპორტში მგზავრთა და ტვირთების შემოწმება არ ხდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გიორგი კოდუამ. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ნებისმიერ მგზავრს სულ მარტივად, ყოველგვარი ბარიერების გარეშე შეუძლია აკრძალული და სიცოცხლისათვის საშიში ნივთების ქვეყნიდან გატანაც და შემოტანაც.

ამის ფონზე, ალბათ, უკვე წვრილმანია ის ფაქტი, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე არ არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და მოუწესრიგებელია მგზავრთა რეგისტრაციის პროცესი. და კიდევ ერთი: ავიაკომპანიის იურიდიული სამსახურის უფროსმა მირიან სარიშვილმა ჩვენთან საუბარში ის დღე გაიხსენა, როცა მათ, თვითმფრინავის პილოტებსა და ეკიპაჟის სხვა წევრებს, აეროპორტში დაშვების დროს დასაფრენ ბილიკებზე ნებივრად წამოწოლილმა ძროხებმა დამატებითი მანევრების შესრულება აიძულეს. ძროხა ჯერ არა, მაგრამ ავიაციის ისტორიაში ყოფილა რამდენიმე შემთხვევა, როცა თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზად უწყინარი ბეღურა, ან სხვა რომელიმე ფრინველი ქცეულა.

აეროპორტის ადმინისტრაცია ავიაკომპანიის ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ აეროვაგზალი ყველა ტექნიკური საშუალებებით არის აღჭურვილი. აეროვაგზლის ხელმძღვანელობა "ნაციონალური ავიახაზებისთვის" აეროპორტის შესაძლო იჯარით გაცემას აპროტესტებს. მათი თქმით, **"აეროპორტის ერთ რომელიმე კომპანიაზე გადაცემა გამოიწვევს სხვა ავიაკომპანიების ფუნქციონირების არა მარტო შეზღუდვას, არამედ საერთოდ შეწყვეტას და აქედან გამომდინარე, აეროპორტის და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას".**

თავის მხრივ, "ნაციონალურ ავიახაზებში" აეროპორტის ადმინისტრაციის ასეთ არგუმენტს აბსურდულს და უსუსურს უწოდებენ. **"თუკი ჩვენ აეროპორტი იჯარით გადმოგვეცემა, ჩვენ მოგვიწევს ზრუნვა იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ავიაკომპანიები და მათი რეისები მოვიზიდოთ. აეროპორტის შენახვა და მოვლა, თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, არც ისე იაფი ჯდება, ამას მხოლოდ ერთი ავიაკომპანია საკუთარი რეისებით ვერ აუვა. ამიტომ იმის თქმა, რომ ჩვენ აეროპორტში რეისებს შევზღუდავთ, რბილად რომ ვთქვა, სისულელეა,"** - ირწმუნება მირიან სარიშვილი. იმას, რომ აეროპორტი შეიძლება რომელიმე ავიაკომპანიის რეისების შეზღუდვით იყოს დაინტერესებული, ექსპერტებიც აბსურდად მიიჩნევენ. საქართველოს ფრენითი შემადგენლობის ასოციაციის პრეზიდენტი ალეკ ნურბეკიანი ამბობს, რომ დღეს მსოფლიოში და საქართველოშიც, მოქმედ აეროპორტებს გაცილებით უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ერთ რომელიმე ავიაკომპანიას. **"როცა რომელიმე აეროპორტის მესაკუთრე კერძო ავიაკომპანია ხდება, მისი შემოსავალი ერთი-ორად იზრდება,"** - აღნიშნა ნურბეკიანმა "24 საათთან" საუბარში.

"ნაციონალურმა ავიახაზებმა" ქუთაისის, იგივე კოპიტნარის აეროპორტის იჯარით აღების თხოვნით ყველა შესაბამის უწყებას ჯერ კიდევ წლის დასაწყისში მიმართა, ანუ მაშინ, როცა ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა, რის გამოც ავიაკომპანიის სურვილი არ დაკმაყოფილდა. ხელისუფლებაში ბენდუქიძის გამოჩენამ "ნაციონალურ ავიახაზებს" საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელების იმედი გაუჩინა. მართალია, გამოქვეყნებულ საპრივატიზაციო ნუსხაში ფოთის, თბილისის და ბათუმის აეროპორტების გვერდით, ქუთაისის აეროვაგზალი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ნუსხის განახლება და ახალი ობიექტების დამატება პერიოდულად მოხდება.

მირიან სარიშვილის ინფორმაციით, ამჟამად ბენდუქიძის სამინისტრო მათი კომპანიის წინადადებას იხილავს. არ არის გამორიცხული, რომ საკითხი ავიაკომპანიის სასარგებლოდ გადაწყდეს და მინისტრმა კოპიტნარის აეროპორტი გასაყიდად გამოიტანოს, მით უმეტეს, როცა ბენდუქიძე საერთაშორისო სტატუსის მქონე, თბილისის აეროპორტს ასე იოლად "შეელია".

## ყველაზე დიდი პრივატიზაცია რუსეთის ისტორიაში

*რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 29 სექტემბერს ნავთობკომპანია "ლუკოილის" აქციების სახელმწიფო პაკეტს სპეციალური აუქციონზე გაყიდის. წინასწარი ინფორმაციით, ამ პაკეტის საწყისი ფასი ორ მილიარდ დოლარს შეადგენს.*

რუსეთის ფედერალური საკუთრების ფონდმა რუსეთის ნავთობგიგანტის "ლუკოილის" აქციების დაახლოებით 7,6 პროცენტის 1,93 მილიარდ დოლარად გაყიდვა გადაწყვიტა.

"ლუკოილის" აქციების შესყიდვის მსურველთა შორის მთავარ პრეტენდენტად ამერიკული კომპანია "ConocoPhilips" სახელდება (ეს კომპანია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტშიც მონაწილეობს). რამდენიმე დღის წინ კი ცნობილი გახდა, რომ რუსული ნავთობკომპანიის აქციებით დაინტერესება დევიდ გუგენხაიმის კომპანია "Dabir"-მაც გამოთქვა.

აქციების ყიდვის ახალი მსურველის გამოჩენამდე ითვლებოდა, რომ რუსული კომპანიის აქციებს სწორედ ConocoPhilips-ი შეისყიდდა. ეს ვარაუდები განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელი ჯეიმს მალვოი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ისეთ გარემოებაში ეწვია, როცა შეხვედრას "ლუკოილის" ხელმძღვანელი და მთავარი აქციონერი ვაგიტ ალეკპეროვი ესწრებოდა.

ცნობისათვის, Conoco უკვე თანამშრომლობს "ლუკოილთან" რუსეთის ჩრდილოეთით გარკვეული ნავთობის საბადოს ათვისებაში.

როგორც ჩანს, რუსული ნავთობკომპანიის აქციების გაყიდვა რუსეთში 2004 წლის ყველაზე მსხვილი საპრივატიზებო გარიგება იქნება. ამ პროცესისგან მიღებულმა თანხამ, მინიმუმ, 55 მილიარდი რუბლი უნდა შეადგინოს. **"თუ აუქციონი შედგა, ეს რუსეთის პრივატიზაციის ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება იქნება. აქედან შემოსული თანხები "სლავნეფტის" და "სვიაზინვესტის" გაყიდვებიდან შემოსულ თანხებს გადააჭარბებს,"** - განაცხადა რუსეთის ფედერალური საკუთრების ფონდის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა კირილ ტომაშჩუკმა.

მიმომხილველების აზრით, ეს გარიგება მიუთითებს, რომ დასავლური კომპანიების სწრაფვა რუსული ენერგორესურსებისკენ უფრო მეტია, ვიდრე "იუკოსის საქმის" გამო აღძრული შიში.

ცნობისათვის, 2002 წელს ლონდონის ბირჟაზე "ლუკოილის" აქციების 5,9 პროცენტი 775 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამასთან, "ლუკოლის" მიერ მოპოვებული ნავთობის მოცულობა ოპეკის წევრი ქვეყნის - ლიბიის მიერ მოპოვებული ნავთობის ოდენობას უტოლდება.

*24 საათი*

## "თბილგაზს" ვალების თავისით გასტუმრება არ შეუძლია

თამარ დვალი

*სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" ახალმა გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ გუშინ 1550-კაციან კოლექტივსა და საზოგადოებას კომპანიის ახალი სამოქმედო გეგმა წარუდგინა. თუკი სახელმწიფო "გაზექსპორტის" მიმართ დაგროვილ ვალებს გაისტუმრებს, მორჩილაძე, თავის მხრივ, გადამხდელუნარიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას გვპირდება. რაც შეეხება თბილისის გარკვეულ უბნებში ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტას, გენერალური დირექტორის თქმით, ეს პრობლემა რუსეთიდან შეზღუდული რაოდენობით მოწოდებულმა ბუნებრივმა აირმა გამოიწვია. მისივე თქმით, "გაზექსპორტთან" თუ მოლაპარაკება შედგა და ძველი დავალიანების გადახდა მოხერხდა, მაშინ თბილისს უწყვეტი გაზმომარაგება ექნება.*



"თბილგაზს" ვალების თავისი ძალებით გასტუმრების შესაძლებლობა არა აქვს, ეს საკითხი უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს," - აცხადებს კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი.

იური ლობოდინის ფოტო

ყველაზე მწვავე კითხვები, რომელიც მორჩილაძის მიმართ დაისვა, "გაზექსპორტის" მიმართ დაგროვილ ვალებსა და თბილისის უწყვეტ გაზმომარაგებას შეეხებოდა. მორჩილაძე პირველი მაღალჩინოსანი არ არის, რომელიც წინამორბედთა მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას უჩივის. მას 200 მილიონამდე დაგროვილი ვალი და მოუქნელი სისტემა დახვდა.

**"გაზექსპორტი" ჩვენგან ძველი დავალიანების გადახდას სამართლიანად ითხოვს. მართალია, მან თბილისს გაზი ზამთარში მოაწოდა, მაგრამ ამით "თბილგაზს" ვალები დაუგროვდა. ახლა ამ ვალების გადახდის დრო მოვიდა. სამწუხაროდ, "თბილგაზს" თავისი ძალებით ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა არა აქვს, ეს საკითხი უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს. ის, რომ მიმდინარე დავალიანება აღარ დაგროვდება, ამის გარანტიას მე ვიძლევი. ცუდია, როდესაც "თბილგაზისა" და "გაზექსპორტის" ურთიერთობა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში განიხილება. მომავალი წლიდან "თბილგაზს" განსაკუთრებული დოტაციები და სახელმწიფოს მხრებზე ყოფნა აღარ დასჭირდება. დარჩება მხოლოდ ერთი სახის დახმარება, რომელსაც კანონპროექტის თანახმად, ქალაქის მერია სამ წელიწადს გაგვიწევს,"** - აღნიშნა მორჩილაძემ.

ამ დახმარებაში კი ის იგულისხმება, რომ "თბილგაზი" ქალაქის ბიუჯეტიდან წლიურად 15 მილიონ ლარს იღებს. ამდენივე თანხა ერიცხება მას ფედერალური ბიუჯეტიდანაც. თუმცა, როგორც "თბილგაზის" ხელმძღვანელი აცხადებს, ფედერალური ბიუჯეტიდან მათ ჯერ არც ერთი თეთრი არ მიუღიათ. რაც შეეხება ქალაქის მთავრობის მიერ დარიცხულ თანხებს, ამჟამად მათ 5 მილიონი ლარიღა აქვთ გასასტუმრებელი.

"თბილგაზი" ამჟამად საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში არ არის. მის გასხვისებაზე მორჩილაძე არ საუბრობს და როგორც თავად აღნიშნავს, "თბილგაზი" თუნდაც იმიტომ ვერ მოხვდება ამ ნუსხაში, რომ მისი ინვესტირება დღეს არამიმზიდველია.

რაც შეეხება გაზის დატაცებას, ამ საკითხის მოსაგვარებლად მორჩილაძე კანონპროექტში ცვლილებების შეტანას გეგმავს. **"სექტემბრისთვის მზად იქნება კანონი, რომელიც გაზის დატაცებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გაითვალისწინებს. ქურდობის ფაქტების შემცირებასთან ერთად, ამით ტექნიკური უსაფრთხოების პირობების დარღვევით გაზის გაყვანის შემთხვევების ოდენობაც შეიზღუდება,"** - მიიჩნევს "თბილგაზის" დირექტორი.

ამასთან, ახალი დირექცია "თბილგაზში" ფართომასშტაბიან რეორგანიზაციასაც გეგმავს.

**"სააქციო საზოგადოება "თბილგაზში" ახალი მოდელი ამუშავდება. კომპანიაში უქმდება ე.წ "პრივილეგირებულთა ფენა", რაც ნიშნავს, რომ გაკოტრების პირას მიყვანილ საწარმოში ხელმძღვანელი პირები ვეღარ ისარგებლებენ უპირატესობით. ორგანიზაციაში ამუშავდება ახალი ანტიკორუფციული სქემები, რომელთა მიზანიც კომერციული და ტექნიკური დანაკარგების ერთმანეთისგან გამიჯვნა და გაზის კომერციულ დანაკარგებზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებაა. ერთიანი, გუნდური მუშაობისა და მთავრობის მხარდაჭერის შემთხვევაში, მომავალ წელს "თბილგაზი" გადახდისუნარიან ორგანიზაციად იქცევა და, ვალების დაგროვების ნაცვლად, თბილისელთა ოჯახებს ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს,"** - განაცხადა საკუთარ თანამშრომლებთან შეხვედრისას "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ.

ახალი ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმას თანამშრომლების დიდი

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის მიმდინარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი სესია გაიმართა. ვაშინგტონის ბრუკინგის ინსტიტუტში შეიკრიბნენ ამ მილსადენის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი მაიკლ თაუნსენდი და კასპიის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს წევრები. სესიაზე პროექტის პრეზენტაციაც შედგა. ვაშინგტონში გამართული შეხვედრის პარალელურად, პროექტის სოციალურ სფეროზე პასუხისმგებელი ინვესტორებისთვის გათვალისწინებული სესია ნიუ-იორკში შედგა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კრედიტორებმა ფინანსური პაკეტის დამტკიცების, გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების მეორე აუდიტი ჩაატარეს. მან მოიცვა გარემოსდაცვითი და სოციალური ორგანიზაციის მართვის, კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა ისეთი საკითხები, როგორიცაა დაბინძურების პრევენცია, ნარჩენების მართვა, კლდოვანი მასალის მოცილების გეგმა, ეროზიის კონტროლი და სხვა. აუდიტის წინასწარი მონაცემებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ფარგლებში წარმატებით ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს მენეჯმენტი, დამკვიდრებულია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის დამაკმაყოფილებელი პრაქტიკა და აღინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა დაბინძურების პრევენციის სფეროში, ასევე ჩამდინარე წყლების გაუვნებელყოფის გეგმებისა და ლელიანის სისტემების ეფექტურ მუშაობაში. შეგახსენებთ, რომ ახალციხის რაიონის სოფელ აწყურთან რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოკვლეულია ძვ. წ-აღ-ის V-I საუკუნის უძველესი ნაქალაქარი და ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნით დათარიღებული უნიკალური სამარხი. გათხრები მილსადენის პროექტის ფარგლებში ფინანსდება. **მედია-ნიუსი**

"ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**30 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
თიანეთის გზატკეცილის, გლდანის IV მიკრორაიონის, მორეტის, ვართაგავას ქუჩების მაცხოვრებლებს.

**30 აგვისტოს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის(ნაწილობრივ) და ვაჟა-ფშაველას(ნაწილობრივ) გამზირის, თამარაშვილის, ანტონოვსკაიას, ცინცაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.



# ერაყს ტაილანდის სამხედრო ძალები ტოვებენ

გასაღები შიიტ მუსლიმთა უწმინდესი ადგილის იმამ ალის მეჩეთისა, რომლის გარშემოც მთელი სამი კვირის მანძილზე შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა, ერაყელ შიიტთა ლიდერს აიათოლა ას-სისტანს გუშინ შუადღისას გადაეცა. რამდენიმე დღის წინ, ენ-ნაჯაფში ას-სისტანი იმამ ალის საფლავის გადარჩენის მოწოდებით ჩავიდა. "მაჰდის არმიის" მებრძოლებსა და მოქთადა ას-სადრისთან ას-სისტანის მოლაპარაკების შემდეგ აჯანყებულებმა მავზოლეუმი დატოვეს. ას-სადრის მომხრეებსა და ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და ამერიკელ სამხედროებს შორის სამკვირიან სისხლიან დაპირისპირებას ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არაბული ტელეკომპანიის "ალ-არაბიას" ცნობებით, განადგურებულია ქალაქის ყველა ცენტრალური ისტორიული ნაწილი.



*"მაჰდის არმიის" მებრძოლებსა და მოქთადა ას-სადრისთან ას-სისტანის მოლაპარაკების შემდეგ აჯანყებულებმა მავზოლეუმი დატოვეს.*

ენ-ნაჯაფში საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტის ფონზე განსაკუთრებით საინტერესო ერაყული კამპანიის ინიციატორის გუშინდელი განცხადებაა. ჯორჯ ბუში, რომელმაც, უკანასკნელი ცნობებით, სამ შტატში რეიტინგით თავის მეტოქეს კერის გადაუსწრო, მოულოდნელად განცხადებას აკეთებს ერაყულ კამპანიასთან მიმართებაში დაშვებული შეცდომების გამო. მისი თქმით, ერაყში აშშ-ბრიტანეთის ჯარების შეჭრის შემდეგ მოსალოდნელი ვითარების გათვლებისას იგი შეცდა. მან ეს განცხადება, ფაქტობრივად - აღიარება, გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსი"-სთვის გუშინ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. პენტაგონის ოფიციალური მონაცემებით, ერაყში ძალისმიერი ოპერაციების დაწყების შემდეგ უკვე 969 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, აქედან 828 - მიმდინარე წლის 1 მაისის შემდეგ. თეთრი სახლი კი 1 მაისიდან ინტენსიური ბრძოლების შეწყვეტას იუწყებოდა.

ენ-ნაჯაფში ბრძოლების შეწყვეტის პარალელურად, ტაილანდმა ერაყის ცენტრალურ რაიონებში დისლოცირებული საკუთარი სამხედრო კონტინგენტის კუვეიტში გადაყვანა დაიწყო. ერაყში დისლოცირებული, ტაილანდის სამხედრო ნაწილი 420 ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შედგებოდა. ეს იყო ინჟინერთა და სამხედრო ექიმების საჯარისო შენაერთი, რომელიც ბანგკოკმა ახლო აღმოსავლეთში 2003 წლის სექტემბერში გაგზავნა აშშ-სთვის მხარდასაჭერად. კოალიციური ძალების ამ აზიური ნაწილის სამსახური ჰუმანიტარული სფეროთი შემოიფარგლებოდა. ტაილანდის საჯარისო შენაერთის გამოყვანა ერაყიდან თვით ქვეყანაში ოპოზიციის მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო. ტაილანდში ოპოზიციის აღშფოთება გასული წლის დეკემბერში ბაღდადთან ორი ტაილანდელი სამხედრო პირის დაღუპვამ გამოიწვია.

*24 საათი*

# ჰექსოგენის კვალი და შესაძლო ტერორისტები

სამშაბათს მომხდარი ავიაკატასტროფების მიზეზი, როგორც ირკვევა, ტერაქტი იყო. ამ ფაქტის აღიარება რუსეთის ხელისუფლებას საბოლოოდ მაინც მოუწია. როსტოვის ოლქში თვითმფრინავ "ტუ-154"-ის კატასტროფის ადგილას ასაფეთქებელი ნივთიერების, სავარაუდოდ, ჰექსოგენის კვალია აღმოჩენილი. გუშინ ამის შესახებ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა სერგეი იგნატჩენკომ განაცხადა. ახლა უშიშროების ფედერალური სამსახური ტერაქტის ვერსიაზე უკვე ღიად საუბრობს. მისივე თქმით, ტულის ოლქში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის "ტუ-134"-ის ნამსხვრევების შესწავლისას ასაფეთქებელი ნივთიერების რაიმე კვალი, ჯერჯერობით, აღმოჩენილი არ არის.

ამასობაში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო ტულის და როსტოვის ოლქებში მომხდარი ავიაკატასტროფების გამოძიებაში ჩეჩნურ კვალს ამოწმებენ. ჰექსოგენი აფეთქებებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ხმაურიან საქმეში ფიგურირებდა, რომლებზე პასუხისმგებლობასაც რუსეთის ხელისუფლება, როგორც წესი, ჩეჩენ სეპარატისტებს აკისრებდა. როგორც გაზეთ "კომერსანტის" ინტერნეტ-გვერდი იუწყება, "ტუ-134"-ის და "ტუ-154"-ის ბორტზე იყვნენ ჩეჩენი ქალები, რომელთა ბედით, სხვა მგზავრების ნათესავებისგან განსხვავებით, დღემდე არავინ დაინტერესებულა. დაღუპულ მგზავრთა სიაში გამომძიებელთა ყურადღება ორმა ქალმა - ჯებირხანოვამ და ნაგაევამ მიიპყრო. პირველი ავიაკომპანია "სიბირის" კუთვნილი "ტუ-154"-ით მოსკოვიდან სოჭში მიფრინავდა, მეორე კი "ვოლგა-ავიაექსპრესის" "ტუ-134"-ით - მოსკოვიდან ვოლგოგრადში. "სიბირის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ჯებირხანოვა რეისის მგზავრებიდან ერთადერთია, რომელსაც ნათესავები არ გამოსჩენია. დოკუმენტების მიხედვით, ჯებირხანოვა მეორე სალონის ბოლოსთან ახლოს, 19 F ადგილზე იჯდა. აქედან ცხრა რიგია თვითმფრინავის კუდამდე, სადაც ძრავები და ტუალეტი მდებარეობს. როგორც სპეციალისტები თვლიან, ასაფეთქებელი მოწყობილობის აწყობისა და აფეთქებისთვის ეს ყველაზე მოსახერხებელი ადგილია. თავის მხრივ, ავიაკომპანია "ვოლგა-ავიაექსპრესის" წარმომადგენლებმა ასევე დაადასტურეს, რომ მგზავრ ამანტა ნაგაევას ბედითაც არავინ დაინტერესებულა. ჩეჩნეთის შს სამინისტროს მონაცემებით, ამანტა ნაგაევა ჩეჩნეთის ვედენოს რაიონის სოფელ კიროვში დაიბადა, შემდეგ საცხოვრებლად გროზნოში გადავიდა. "ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა", - ასე დაახასიათეს ის შს სამინისტროში. იყო თუ არა ის დაკავშირებული ბოევიკებთან, ამის შესახებ სამინისტრო მონაცემებს არ ფლობს. გარდა ამისა, როგორც "რია-ნოვოსტი" იუწყება, ამანტა ნაგაევას ცხედარი დღემდე არ არის ნაპოვნი.

ჩეჩნური ვერსიის პარალელურად, გუშინ რუსულ საინფორმაციო საშუალებებში აღნიშნულ ტერაქტში საერთაშორისო ტერორისტების მონაწილეობაც აქტიურად განიხილებოდა. "გაზეტა.რუ" იტყობინებოდა, რომ რუსეთში მომხდარ ავიაკატასტროფებზე პასუხისმგებლობა ნაკლებად ცნობილმა ისლამურმა დაჯგუფებამ აიღო. დაჯგუფება საკუთარ თავს "ისლამბულის ბრიგადას" უწოდებს. დაჯგუფების წარმომადგენელთა თქმით, თვითმფრინავები "მოძრაობის გმირებმა" გაიტაცეს და წარმოქმნილი პრობლემების მიუხედავად, "საქმე ბოლომდე მიიყვანეს". გარდა ამისა, დაჯგუფება აცხადებს, რომ ამ ტერაქტს სხვა აქციები მოჰყვება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩეჩნეთში მუსლიმების მკვლელობა არ შეწყდება. სახელწოდება "ისლამბულის ბრიგადა" აქამდე ერთადერთხელ გამოჩნდა. 31 ივლისს "ალ-ქაიდას" "ისლამბულის ბრიგადამ" პაკისტანის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის შაუკათ აზიზის მკვლელობის მცდელობაზე აიღო პასუხისმგებლობა. გუშინ გავრცელებულ განცხადებაში "ალ-ქაიდა" ნახსენები არ არის.

*24 საათი*

# კუბასა და პანამას შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა

ლევან ბელაშვილი

*კუბა პანამასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს წყვეტს. ამგვარი გადაწყვეტილება ჰავანაში 26 აგვისტოს, მას შემდეგ მიიღეს, რაც პანამის ხელისუფლებამ ფიდელ კასტროს წინააღმდეგ შეთქმულების ოთხი მონაწილე შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა. კუბის ხელისუფლების განცხადებაში ნათქვამია, რომ დიპლომატიური ურთიერთობები "განუსაზღვრელი დროით" წყდება.*



*ფიდელ კასტროს მომხრეები პანამის ხელისუფლების გადაწყვეტილებას პრეზიდენტ მოსკოსოს რეზიდენციის წინ აპროტესტებენ.*

2004 წლის აპრილში პანამაში რამდენიმე კუბელი ემიგრანტი გაასამართლეს, რომელთაც ბრალი ფიდელ კასტროზე განუხორციელებელი თავდასხმის ორგანიზებაში ედებოდათ. ცოტა ხნის წინ პანამის ხელისუფლებამ ისინი შეიწყალა.

უნდა აღინიშნოს, რომ კუბის მთავრობა პანამის მხარეს აფრთხილებდა, რომ თუ შეთქმულების მონაწილეებს შეიწყალებდნენ, მათთან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტდა. პასუხად, პანამის პრეზიდენტმა მირეია მოსკოსომ სამშაბათს კუბის ელჩი კარლოს ზამორა ქვეყნიდან გააძევა.

თავად კუბის მთავრობამ ივლისში 75 დისიდენტიდან 6 გაათავისუფლა, რომლებიც წინა წელს დააპატიმრეს და ხანგრძლივი ვადით იხდიდნენ სასჯელს. ევროკავშირი კუბელი დისიდენტების გათავისუფლებას მიესალმა და ფიდელ კასტროს ყველა პოლიტიკური ტუსაღის გათავისუფლებისაკენ მოუწოდა. ევროკავშირის განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ექვსი პატიმრის გათავისუფლება "კუბის ხელისუფლების მხრიდან პოზიტიური ჟესტია", მაგრამ იქვე ხაზგასმულია, რომ ევროპის ქვეყნები ყველა პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მომხრეები არიან. ევროკავშირის განცხადებით, ისინი ადამიანის უფლებების, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე კუბასთან დიალოგის განახლებისათვის მზად არიან.

რაც შეეხება აშშ-ს, ვაშინგტონი ოთხი კუბელი დისიდენტის შეწყალებაში თავის როლს ყოველმხრივ უარყოფს. აღნიშნულ საკითხში ამერიკის მონაწილეობის თაობაზე ეჭვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც სამი შეწყალებული პატიმარი დაუყოვნებლივ მაიამიში გაემგზავრა.

ჯორჯ ბუშს, რომლის "კუბური პოლიტიკა" ფლორიდაში მცხოვრებ კუბური წარმოშობის ამერიკელებს აღიზიანებს, მაიამიში წინასაარჩევნო შეხვედრა 27 აგვისტოს ჰქონდა დაგეგმილი. უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლის არჩევნებში ბუშს სწორედ ფლორიდაში მოპოვებულმა ხმებმა გაამარჯვებინა. ამდენად, პრეზიდენტის პოლიტიკურ მრჩევლებს კუბური წარმოშობის ამერიკელთა მხრიდან თეთრი სახლის ამჟამინდელი პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილების გამო საკმაოდ დიდი თავსატეხი გაუჩნდათ.

პანამაში მრავალი მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, რომ ბუშის ადმინისტრაციამ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, პანამის პრეზიდენტი მირეია მოსკოსო აიძულა, ოთხი კუბელი დისიდენტი გაეთავისუფლებინა. მოსკოსოს პრეზიდენტობის ვადა შემდეგ კვირას იწურება და, ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილება დაჩქარებულ ტემპებში იქნა მიღებული. პანამის მომდევნო პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი მარტინ ტორიხოსი, რომელიც უფლება-მოვალეობების შესრულებას 1 სექტემბრიდან შეუდგება, შეწყალების წინააღმდეგ გამოდიოდა.

როგორც თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი ამ საკითხის გადაწყვეტაში არ ჩარეულან. "ეს გადაწყვეტილება პანამის მთავრობამ დამოუკიდებლად მიიღო. ჩვენ ამ საქმესთან დაკავშირებული არც ერთი პირის შესაწყალებლად ლობირება არ გაგვიწევია", - ირწმუნება სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ადამ ერელი.

პრეზიდენტმა მოსკოსომ, რომელიც ბუშის ადმინისტრაციასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობები აკავშირებს, ასევე განაცხადა, რომ აშშ-ს მხრიდან არავითარ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. მისი თქმით, ის დარწმუნებული იყო, რომ ეს ხალხი კუბასა და ვენესუელაში ექსტრადირებული იქნებოდა, სადაც მათ აუცილებლად მოკლავდნენ და მისი ეს გადაწყვეტილება ყოველგვარი უცხო ქვეყნის ხელისუფლების გავლენის გარეშე იქნა მიღებული.

საქმის პოლიტიკური მგრძნობიარობის გამო, აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა ოთხი მსჯავრდებულის მიერ ტერაქტის მცდელობის დაგმობაზე უარი განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ გლობალურ ტერორიზმს ომი გამოუცხადა.

საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ექსპერტმა კუბის საკითხში, ჯულია სვეიგმა განაცხადა, რომ აშშ-ს მხრიდან განცხადების არარსებობა ბევრ რამეზე მეტყველებს. მისი თქმით, ეს "ყველაზე აბსურდული დარღვევა გახლავთ, რაც კი ამ ადმინისტრაციას გაუკეთებია." სვეიგის აზრით, შეწყალების პროცესში თეთრი სახლის ჩარევა, შესაძლოა, საჭირო არც იყო. იგი აღნიშნავს, რომ ბუშის ძმას, ფლორიდის გუბერნატორ ჯებ ბუშს კუბური წარმოშობის ამერიკელებში დიდი გავლენა გააჩნია და, ამდენად, პანამასა და კუბელ ემიგრანტთა დიასპორას შორის პირადი და საქმიანი კავშირების საკმაოდ დიდი ქსელი არსებობს. "ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური და დიპლომატიური ქრონიზმის სუნი ასდის", - აცხადებს ჯულია სვეიგი.

ოთხი შეწყალებულიდან ერთ-ერთი, ლუის პოსადა კარილესი, რომელიც ვენესუელის მთავრობის მიერ იძებნება, კარაკასის ციხიდან რამდენიმე წლის წინ გაიქცა. ის სასჯელს 1976 წელს კუბური თვითმფრინავის აფეთქებისათვის იხდიდა, რომელსაც 73 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 74 წლის პოსადა აშშ-ს მოქალაქე არ არის და, ამდენად, უცნობია, დატოვა თუ არა მან პანამა. პოსადა ეჭვმიტანილია, ასევე, 1997 წელს ჰავანაში ექვსი სასტუმროს აფეთქების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რის შედეგადაც ერთი იტალიელი ტურისტი დაიღუპა და 11 ადამიანი დაშავდა.

დანარჩენი სამი - გასპარ ხიმენესი, პედრო რემონი და გილერმო ნოვო სამპოლი აშშ-ს მოქალაქეები არიან. მაიამის გაზეთი "New Times"-ი იუწყება, რომ 69 წლის ხიმენესმა 1977 წელს მექსიკაში კუბის კონსულის გატაცებას შეუწყო ხელი და საკონსულოს თანამშრომელი მოკლა. 60 წლის რემონმა კასტროს მომხრე ერთ-ერთი აქტივისტი და კუბელი დიპლომატი მოკლა. ხოლო, 65 წლის ნოვო აშშ-ში 70-იანი წლების ბოლოს ჩილელი დიპლომატის ორლანდო ლეტელიერის მკვლელობისათვის იქნა გასამართლებული. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ ის უდანაშაულოდ ცნო, ნოვომ დიდი ჟიურის წინაშე სიცრუის გამო ოთხწ-

# ნაჩუქარი თოფი - ხალხთა შორის მშვიდობის სიმბოლოდ

ნიკა თარაშვილი

ლიბიის არაორდინალურმა მმართველმა უცნაური საქციელით კიდევ ერთხელ გააოცა მსოფლიო. მუამარ კადაფიმ ტრიპოლიში ვიზიტით მყოფ იტალიის პრემიერ-მინისტრს "ხალხთა შორის მშვიდობის სიმბოლოდ", არც მეტი არც ნაკლები, თოფი აჩუქა. "მე მეტად აღარ მჭირდება", - განმარტა ლიბიის ლიდერმა და ბერლუსკონის გაოცებული მზერა რომ შენიშნა, დასძინა, - "ეს იარაღი ჩემმა ბაბუამ თქვენ ჯარისკაცებს წაართვა 1915 წელს სირტის ბრძოლაში".

ბერლუსკონი შეიშმუშნა, მაგრამ საჩუქარზე უარი მაინც ვერ თქვა. ბატონი სილვიოს დაბნევის მიზეზი გასაგებია - ტრიპოლი იტალიისგან იმ ზარალის კომპენსაციას ითხოვს, რომელიც იტალიის საოკუპაციო არმიამ ლიბიას 1911 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე მიაყენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აქამდე კადაფი მსგავსი საკითხების განხილვისას დიპლომატიურობას იჩენდა და ასეთი აშკარა მინიშნებისაგან თავს იკავებდა.

მიუხედავად ექსცენტრულობისა, კადაფის პოლიტიკურმა ალღომ ამჯერადაც არ უმტყუნა. მან ზუსტად შეარჩია დრო საკითხის წინა პლანზე წამოსაწევად. სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც გასული ექვსი თვის მანძილზე უკვე მეორედ ჩადის ლიბიაში, ცინიკური შენიშვნა ადვილად გადაყლაპა. თავმოყვარე იტალიელის საქციელის ახსნა ადვილად შეიძლება, თუ გავიხსენებთ, რომ იტალიის პოლიტიკოს-ბიზნესმენს ლიბიასთან ურთიერთობებში მხოლოდ ორი რამ აღელვებს: ნავთობი და იმიგრაცია. ასე რომ, არაოფიციალური სადილის დროს ბერლუსკონიმ დაივიწყა წყენა და ლიბიელ კოლეგას ქვეყნის საავტომობილო გზების აღდგენისათვის საჭირო თანხის მოძიებაში თანადგომა აღუთქვა. სანაცვლოდ, იტალიის მთავრობა მხოლოდ ერთს - ტრიპოლის მიერ არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის შესახებ კადაფის მიერ 2003 წელს ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებას ითხოვს. აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია ლიბიაში ლტოლვილთა ბანაკების შექმნაზე და ერთობლივ საზღვაო პატრულირებაზე. ბერლუსკონის თქმით, მარტო ამა წლის ივლისიდან დღემდე 1500 ადამიანი ცდილობდა ლიბიიდან იტალიაში შეღწევას.

აფრიკიდან იმიგრანტთა ნაკადების შეჩერების სხვადასხვა პროექტები ბოლო დროს აქტიურად განიხილება არა მარტო იტალიაში, რომელსაც გეოგრაფიული სიახლოვის გამო ყველაზე მეტი ხარჯის გაწევა უხდება ამ მოვლენასთან საბრძოლველად, არამედ ევროკომისიაშიც. მაგალითად, ევროკავშირის იუსტიციისა და უსაფრთხოების ახალ კომისარს როკო ბუტილიონეს (სხვათა შორის, იგი იტალიელია) მიაჩნია, რომ ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ, ერთიანი ევროპის საგარეო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხარჯები ცალ-ცალკე უნდა გაიღოს. ამასთანავე, იტალიელები ერთიანი ევროპული სასაზღვრო პოლიციის შექმნის წინადადებით გამოდიან, რომელიც არალეგალური იმიგრანტების ნაკადს გაუმკლავდება.

ჯერჯერობით, ლიბიელები უმწეოდ შლიან ხელებს. "ტრიპოლის ბევრი რაიონი იმიგრანტთა მიერ კონტროლდება. ისინი იქ თავიანთ წესებს ამყარებენ, ნარკოტიკებით ვაჭრობენ, ეწევიან პროსტიტუციას", - აცხადებს ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ რაჰმან შალგამი. თუმცა, ყველაფერში დამნაშავე ისევ ევროპელები არიან - "მანამ, სანამ ტრიპოლის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები მოქმედებს, ქვეყანა არალეგალურ იმიგრანტებთან ბრძოლას ვერ შეძლებს", - ისევ დასავლეთს ადანაშაულებს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მსგავსი არგუმენტები დიდი ხანია იტალიაში ირონიას იწვევს. აპენინებზე დარწმუნებულნი არიან, რომ ლიბია, კადაფის "პანაფრიკული" პოლიტიკის წყალობით, იმიგრანტებისთვის შესანიშნავ პლაცდარმადაა გადაქცეული. მას შემდეგ, რაც ლიბიამ "შავი კონტინენტის" ქვეყნების წარმომადგენელთათვის ვიზები გააუქმა, ათასობით ლტოლვილი ცენტრალური და სამხრეთ აფრიკიდან ლიბიის სანაპიროებისკენ ერთადერთი მიზნით - ევროპაში გადასასვლელად გაემართა. ხოლო ტრიპოლიმ შესანიშნავი საშუალება მიიღო ევროპული ქვეყნების შანტაჟისათვის, რომლებიც ასეთი "შემოსევის" შედეგად ყველაზე მეტად ზარალდებიან.

დღეს ლიბია, არალეგალურ იმიგრანტებთან ბრძოლის საბაბით, ევროკავშირისგან ფულს, თვითმფრინავებსა და აღჭურვილობას იღებს. მაგრამ მთავარი, რასაც კადაფი ითხოვს, ლიბიაში იარაღის შეტანაზე ემბარგოს მოხსნაა.

## ორი სიტყვით

**იაპონია.** ქვეყანას კიდევ ერთხელ ემუქრება სტიქია, მხოლოდ, ამჯერად უკვე ტაიფუნი "ჩაბა", რომელიც მეტეოროლოგთა განცხადებით, იაპონიის სამხრეთ კუნძულებს უახლოვდება. იაპონიის მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზებით, გუამის მხრიდან მოახლოებულმა ტროპიკულმა შტორმმა ჩრდილო-აღმოსავლეთით აიღო გეზი და უახლოესი ორი დღის განმავლობაში, კოკისპირული წვიმისა და ქარიშხლის სახით, კუნძულ ოკინავასა და დასავლეთ იაპონიის წყნარი ოკეანის სანაპიროს დაატყდება თავს. ციკლონის ცენტრში ქარის სიჩქარე 180 კმ/სთ-ს აღწევს. ამ სეზონზე უკვე რიგით მეთექვსმეტე, ტაიფუნი "ჩაბა" მიმდინარე წელს ყველაზე ძლიერი იქნება. მისი გავლენა, როგორც მოელიან, ასევე ხაბაროვსკის მხარესა და სახალინზე გავრცელდება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ავსტრალია.** ავსტრალიის მთავრობა აპირებს, 320 მილიონი დოლარი გამოყოს ფრთოსანი რაკეტების განვითარებაზე. "ჰაერი-მიწა"-ს ტიპის რაკეტებს შეუძლიათ სამიზნის განადგურება 400 კმ-ის რადიუსში. ავსტრალიის თავდაცვის მინისტრის რობერტ ჰილის განცხადებით, ფრთოსანი რაკეტები და მართვადი ბომბები ქვეყნის საჰაერო ძალებს რეგიონში დომინირებას მოუტანს. ოპოზიციური ლეიბორისტული პარტია და სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სარაკეტო პროგრამა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ავსტრალიის ურთიერთობებზე უარყოფით გავლენას იქონიებს, თუკი ავსტრალიის ხელისუფლება არ ახსნის, რაში სჭირდება მას ეს რაკეტები. **ბი-ბი-სი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ სანაოსნო არხი, სახელწოდებით "დუნაი-შავი ზღვა", გახსნა, რასაც ევროპის მხრიდან მძაფრი კრიტიკა მოჰყვა. არხის მშენებლობა, რომელშიც გერმანული ფირმა "მობიუს ბაუ" მონაწილეობდა, მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო, მიუხედავად საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა და რიგი ქვეყნების პროტესტისა. პროტესტი კი, უპირველეს ყოვლისა, მეზობელმა რუმინეთმა გამოხატა. გამოხატული უკმაყოფილების ფონზე მშენებლობის გაგრძელება გააკრიტიკეს რუმინეთის პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ, ევროკავშირმა და აშშ-მ. ევროკომისია მოითხოვდა, არ დაწყებულიყო სამშენებლო სამუშაოები მანამდე, სანამ დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტიზა არ ჩატარდებოდა. ექსპერტთა შეფასებით, საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების გარეშე პროექტის განხორციელების დაწყებით უკრაინამ მთელი რიგი ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები დაარღვია. მათ შორისაა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენცია, კონვენცია მდინარე დუნაის გამოყენებისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, უკრაინა-რუმინეთის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პროტესტის მიუხედავად, გახსნაზე ლეონიდ კუჩმამ აღნიშნა, რომ დამატებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავს. "ჩვენ უკვე არაერთი ექსპერტიზა ჩავატარეთ და თუკი ვინმე არაა საქმის კურსში, ჩვენ შეგვიძლია მას ამის შესაძლებლობა მივცეთ," - განაცხადა კუჩმამ. თანაც იქვე დაამატა, რომ უკრაინა ახალ სანაოსნო არხს კი არ აშენებს, არამედ ტრადიციულ სატრანსპორტო კორიდორს აღადგენს, რომელიც 1957 წლიდან მოქმედებდა და რომლითაც წელიწადში 4 ათასი საზღვაო ტრანსპორტი სარგებლობდა. კუჩმას სიტყვებით, ზღვისა და დუნაის დონეს შორის განსხვავება უკრაინულ ნაწილში მხოლოდ 40 სმ-ს შეადგენს, მაშინ, როცა რუმინულ ნაწილში იგი 30 მეტრს აღწევს. სანაოსნო არხის - "დუნაი-შავი ზღვა" - ამოქმედებას 2003 წლის 10 ივნისის პრეზიდენტის განკარგულება ითვალისწინებდა. მშენებლობის პირველი ეტაპზე 3.3 კმ-ის სიგრძისა და 7.65 მეტრი სიღრმის საზღვაო არხის აღდგენა უნდა მომხდარიყო. უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროს გათვლებით, "დუნაი-შავი ზღვის" არხის მშენებლობა მდინარე ბისტრაიას შესართავში დუნაის ტვირთბრუნვას 60 პროცენტმადე გაზრდის, რომელიც დღემდე 1-2 პროცენტით განისაზღვრებოდა. აქამდე, დუნაის დელტით სატრანსპორტო გზების სფეროში მონოპოლისტი რუმინეთი იყო. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ინდოეთი.** ინდოეთის შტატ ასამში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი, "წითელი" ხარისხი დაფიქსირდა. უსაფრთხოების ძალებისა და არმიის ქვედანაყოფებმა რესპუბლიკის ამ აღმოსავლეთ რეგიონში ყველა საკვანძო ობიექტი დაიკავეს. ასამის შტატი ცნობილია თავისი ნავთობითა და ჩაის პლანტაციებით. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები ასამის რიგ რაიონებში აფეთქებათა შემდეგ მიიღეს. აფეთქების შედეგად დაღუპულია 10 ადამიანი, ხოლო 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის - ქალები და ბავშვები, დაჭრილია. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**კორეა.** ჩრდილოეთ კორეაში გლოვობენ. გუშინ მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები კომუნისტური კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის საყვარელი ცოლის გარდაცვალების შესახებ იტყობინებოდნენ. როგორც "ვოშინგტონ პოსტი" იუწყება, ყოფილი მოცეკვავე და კორეელთა "პატივცემული დედა", კუ იენ ფი მკერდის კიბოთი გარდაიცვალა. გაზეთის ინფორმაციით, იგი დიდი ხანია ამ ავადმყოფობით იტანჯება და აპრილში ოპერაციაც კი გაიკეთა პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში. იმ სამ ქალს შორის, რომლებიც ოფიციალურად კიმ ჩენ ირის მეუღლეებად ითვლებიან, კორეელთა კომუნისტ ბელადს 52 წლის კუ იენ ფი ყველაზე გამორჩეულად უყვარდა. **24 საათი**

# ყოფილი საბჭოეთი რუსულს ენად არ ცნობს

*საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსულ ენას მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ იმპერიის დაშლის შემდეგ, ბუნებრივია, რუსულმა დაკარგა ძველი სტატუსი. მართალია, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში (რასაკვირველია რუსეთის გამოკლებით) მცხოვრებ დაახლოებით 100 მილიონამდე ადამიანს ჯერ კიდევ ესმის რუსული ენა, მაგრამ სულ რაღაც 10 წელიწადში ამ სახელმწიფოების პოლიტიკოსებსაც კი, შესაძლოა, ერთმანეთთან სასაუბროდ თარჯიმანი დასჭირდეთ.*

ნინო ტიკარაძე

სტატისტიკური მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებში ყოველწლიურად მცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავს ეთნიკურ რუსებს უწოდებენ, მშობლიურ ენად კი რუსულ ენას აღიარებენ. ტაჯიკეთში, მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში დაახლოებით 400 ათასი ეთნიკური რუსი ცხოვრობდა, ამჟამად კი მათი რიცხვი 60 ათასს შეადგენს. უკრაინაში, ოფიციალური მონაცემებით, 2003 წელს 7.8 მილიონი რუსი დაფიქსირდა მაშინ, როცა 1989 წელს 12.2 მილიონი იყო. შესაბამისად, რუსული სკოლების რიცხვიც შემცირდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი კუჩმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში იმ პირობით მოვიდა, რომ რუსულ ენას მეორე სახელმწიფო ენად გადააქცევდა, ახლა აცხადებს, რომ ამ ენისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება არ შეიძლება და საჭიროც არ არის. ამდენად, უკრაინაში რუსული უკვე "უპერსპექტივო" ენაა.

რუსულენოვანი მოსახლეობის რიცხვის შემცირების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ასევე თურქმენეთი. კერძოდ, მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა ნიაზოვმა ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი გააუქმა და ამას ეთნიკური რუსული მოსახლეობის რეპრესიებიც მოჰყვა, 100 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა საგულდაგულოდ დაემალა თავისი წარმომავლობა. ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ, რუსულ ენას ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის საშუალების სტატუსი მიენიჭა, მაგრამ ბოლო წლებია მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა თურქმენეთის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის შესამცირებლად. ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა სკოლა თურქმენული გახდა. დარჩა მხოლოდ 2000 წელს რუსეთისა და თურქმენეთის პრეზიდენტების ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი პუშკინის სახელობის რუსულ-თურქმენული სკოლა. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება თურქმენულ ენაზე მიმდინარეობს. პრაქტიკულად, არც ერთი სასწავლო დაწესებულება არ ამზადებს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, გარდა ერთისა, ქალაქ თურქმენაბადში არსებული ერთადერთი პედაგოგიური ინსტიტუტი. თურქმენეთში აკრძალულია ლიტერატურის რუსულ ენაზე გამოცემა, არც რეკლამების გაკეთებაა ნებადართული ამ ენაზე. რუსულენოვანებს სამსახურში არ იღებენ.

ბალტიისპირეთის ქვეყნები - ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, რომლებიც არც საბჭოთა პერიოდში გამოირჩეოდნენ რუსული ენის სიყვარულით, თავი დაიგულეს რა ევროკავშირის მფარველობის ქვეშ, თავიდან იშორებენ ყველაფერს, რაც მათ რუსულ რეჟიმთან აკავშირებთ. ლატვიაში, მაგალითად, რუსული ენა მხოლოდ კერძო საუბრების დროს თუ გამოიყენება. სახელმწიფო განათლების სისტემას გეზი რუსული ენის შეზღუდვისკენ აქვს აღებული. სახელმწიფო განათლების ახალი პროგრამა 2004 წლის 1 სექტემბრიდან საშუალო სკოლის უფროს კლასებსა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებში სწავლების წარმართვას მხოლოდ ლატვიურ ენაზე ითვალისწინებს. ლიტვაში 1995 წელს მიღებული "სახელმწიფო ენის შესახებ" კანონის თანახმად, რუსულ ენას არაოფიციალური ენის სტატუსი მიენიჭა. ქვეყანაში მცხოვრებ რუსულის მცოდნე ადამიანთა რიცხვი თანდათან მცირდება. უკვე ეთნიკურად რუსი ახალი თაობაც კი აღარ სწავლობს რუსულ ენას სკოლაში. 1999 წლიდან რუსული ენა საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდებიდანაც ამოიღეს. იმავე წელს ესტონეთში მიღებულმა კანონმაც შეზღუდა რუსული ენის და გაზარდა ესტონური ენის უფლებები.

ამიერკავკასიის ქვეყნებიდან საქართველო ყოველთვის იცავდა საკუთარი ენის უფლებებს. ჯერ კიდევ 1978 წელს, კომპარტიის დიდი სურვილის მიუხედავად, რუსული ენა ქვეყნის სახელმწიფო ენად მაინც არ გამოცხადდა. ამ იდეის განხორციელების ნებისმიერ მცდელობას საპროტესტო აქციები მოჰყვებოდა ხოლმე. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, პოსტ-საბჭოთა საქართველოდან რუსულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი წავიდა. შესაბამისად, შემცირდა რუსული სკოლების რიცხვიც, თუმცა ისინი მიზანმიმართულად არ დაუხურავთ.

დიდად არც სომხეთი წყალობს რუსულ ენას. იქ მცხოვრები ეთნიკური რუსების სიმცირით თუ ვიმსჯელებთ, (საერთოდ, სომხეთი, ისტორიულად, ჰომოგენური მოსახლეობით გამოირჩევა), დღეს რუსული ენის სწავლების განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მისი პოზიციები შეზღუდა 1993 წელს მიღებულმა კანონმა ენის შესახებ, რომლის მიხედვითაც სომხეთის ტერიტორიაზე სწავლისა და სწავლების ენად მხოლოდ სომხური ენა გამოცხადდა. ამგვარი კატეგორიულობა მხოლოდ 1999 წელს მიღებულმა სპეციალურმა კონცეფციამ "შეარბილა", როცა ქვეყნის 30 სკოლაში რუსული ენის საგულდაგულო სწავლება შემოიღო.

ბოლო დრომდე რუსული ენის შეზღუდვასთან დაკავშირებით პრობლემები არ ყოფილა ბელორუსიში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში რუსეთთან აზრთა სხვადასხვაობამ დსთ-ს ამ სახელმწიფოებშიც ნიადაგი შეამზადა იმისთვის, რომ აქაც რუსული ენის პრობლემები წარმოშობილიყო.

და მაინც, ძირითადი მიზეზი, რის გამოც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსული ენა იდევნება, პოლიტიკურია. კერძოდ, ამ ქვეყნების ხელისუფლება არამც თუ მშობლიურისა და რუსული ენის ერთ დონეზე დაყენებას თვლის ქვეყნის თვითმყოფადობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საფრთხედ, არამედ მისი, როგორც ერთერთი უცხო ენის განვითარების შესაძლებლობაზეც უარს ამბობს.




# საინგილოს "დედა სამშობლოში" დაბრუნება

დალი კუპრავა

*გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სტუმრად აზერბაიჯანის ქართველი მოსწავლეები იყვნენ. მართალია, ისინი თბილისში, და, მით უმეტეს, სამინისტროს შენობაში პირველად იყვნენ, მაგრამ მინისტრს პირველად არ შეხვედრიან. "ჩვენ ვიცნობთ, ჩვენთან ბევრჯერ იყოო"- თქვეს კახის და ალიაბადის ქართული სკოლების მოსწავლეებმა.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*"დიდი მადლობა საქართველოს, რომ ინგილო ბავშვებს დედა სამშობლოში ყოფნის ბედნიერება მისცა."*

19 აგვისტოდან 31 აგვისტომდე საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით აზერბაიჯანის ქართული და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები ბორჯომსა და კოჯორში ისვენებენ.

"ძალიან კარგები არიან, ზრდილობიანები, მოკრძალებულები და რომ იცოდეთ როგორი ბედნიერები არიან საქართველოში ყოფნით," - ამბობს განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე მანანა კობახიძე, რომელმაც გუშინ ინგილო მოსწავლეთა "კოჯრის დანაყოფი" სამინისტროში სტუმრად მიიყვანა. მისივე თქმით, ჩამოსულებს შორის აზერბაიჯანელი მოსწავლეები არ არიან, თუმცა საქართველოს მხარისგან მოწვევა აზერბაიჯანის ორივე ეროვნების მოსწავლეებს ჰქონდათ. აზერბაიჯანის ხელისუფლების არჩევანი ძალიან დასაფასებელია - მეტ ქართველს მიეცა სამშობლოს მონახულების საშუალებაო.

"დიდი მადლობა საქართველოს, რომ ინგილო ბავშვებს დედა სამშობლოში ყოფნის ბედნიერება მისცა. ყველანი კმაყოფილები არიან და ამას გულწრფელი ბავშვური ემოციებით გამოხატავენ,"- გვითხრა აზერბაიჯანის დელეგაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა, - "უჭირთ ქართულად ლაპარაკი, უფრო სწორად, ეუხერხულებათ, რომ ინგილოურ დიალექტს არიან მიჩვეულები. თუმცა, ვუხსნი, რომ ჩოხატაურელი და ყვარლელი მოსწავლეების ენასაც ადგილობრივი დიალექტის ელფერი დაჰკრავს და ამის გამოსწორება შესაძლებელია".

ჩვენი მხრიდან კი დავამატებთ, რომ დღეს ინგილოთა ახალგაზრდა თაობას ენის დეფექტის გამოსწორების დიდი შესაძლებლობა აქვს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას საინგილოში რამდენიმე ვიზიტის დროს კახის, ბელაქნისა და ზაქათლის ქართულენოვანი სკოლები ასი პროცენტით მომარაგდა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო თვალსაჩინოებებით.

ამ მიზნით სამინისტრომ ბიუჯეტიდან 51 ათასი ლარი გამოყო, მნიშვნელოვანი ნაწილი კი შეგროვდა ქართული საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების - ბიზნესმენების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და რიგითი მოქალაქეების მიერ. ამას გარდა ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელშეწყობით განხორციელდა 14 ათასი ლარის ღირებულების საბავშვო და პედაგოგიური პერიოდიკის გამოწერა. კომპლექტში ცხრა დასახელების ორ-ორი ეგზემპლარი გაზეთია, რომელსაც სკოლები მიმდინარე წლის სექტემბრიდან მიიღებენ.

"მე ახლა ქართულად ზღაპრებსაც ვკითხულობ,"- ამბობს უფროსკლასელი ალიაბადელი მერი და მახსენდება დიდი ხნის ამბავი. უნივერსიტეტში ქართული ენის გამოცდაზე ჩემთან ერთად გოგონა იჯდა საინგილოდან და როცა მან თქვა:"ქალი კამელიებით "ქართულად წავიკითხეო, გამომცდელმა რომ შეაქო, გამიკვირდა, რაღა დროს ქალი კამელიებითაა- მეთქი, ჩავიცინე. დღეს, ისტორიაში უკეთ გარკვევის შემდეგ, უკვე ის მიკვირს, როგორ მოახერხა ამ ხალხმა და ენა არ დაივიწყა. კიდევ ის მიკვირს, საინგილოში საქართველოს "დედა სამშობლოდ" მოიხსენიებენ-ხოლმე და სულაც არ ვგრძნობ თავს უხერხულად, ისე, როგორც პატრიოტიზმზე დაწერილი თემის კითხვისას, ან ფსევდოპოლიტიკური "სპიჩის" მოსმენისას.

# საქანელას ქუჩა ვარდების რევოლუციის მოლოდინში

## უკანონო მშენებლობებით ამოგუდული პენსიონერი სახელმწიფო კომისიას ითხოვს

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქანელას ქუჩა ერთი პატარა ქვაფენილიანი გრეხილია, რომელიც ელბაქიძის დაღმართს მარჯვენა სანაპიროსთან აერთებს. ეს არის თვალისგან მოფარებული და მთავრობისგან მივიწყებული ადგილი, სადაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მგლის კანონი მეფობს - ვინც ძლიერია, ის იმარჯვებს.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*მდიდარმა მეზობლებმა ერთადერთი კარი და სარკმელი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, ამოუქოლეს, ერთი ოთახი გვერდზე მიუშენეს, ერთიც თავზე დააშენეს და მოსპეს კაცი.*

საქანელას ქუჩის №35-ში ცხოვრობს ნაციონალური მოძრაობის წევრი, პენსიონერი თემურ ლოლიშვილი და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ის იჩაგრება. იჩაგრება კი არა, მის ოჯახს გუდავენ და ხუთავენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ადრე მის საცხოვრებელ მიწურ ოთახს ნახევარსარდაფი ერქვა, მაგრამ ახლა სრულიად ბნელი სარდაფია. მდიდარმა მეზობლებმა ერთადერთი კარი და სარკმელი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, ამოუქოლეს, ერთი ოთახი გვერდზე მიუშენეს, ერთიც თავზე დააშენეს და მოსპეს კაცი, როგორც თავად ამბობს, ფიზიკურად და მორალურად, რაც მისთვის ყველაზე აუტანელი გამხდარა. საქმე ის გახლავთ, რომ თემურ ლოლიშვილი განათლებული კაცია და იცის, ვის როდის მიმართოს, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში მის ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. ოთხი წლის განმავლობაში მისი განცხადებები არ მოჰკლებია არცერთ კომპეტენტურ ორგანოს - დაწყებული გამგეობიდან, დამთავრებული არქმშენინსპექციით. არც ისეთი ჩინოვნიკი მისულა მასთან, რომელიც მისი ოჯახის აუტანელი მდგომარეობით არ აღშფოთებულა და უკან თავის ქნევითა და მუქარით არ გაბრუნებულა, ამათ ვანახებთ სეირსო. ერთს ისიც უთქვამს - 3 ათას დოლარიან ჯარიმას ავკიდებთო, მაგრამ მშენებლობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობდა. ამასობაში ის სურათი მივიღეთ, რომელიც დღეს გვაქვს - სარდაფში ნათურას თუ არ აანთებ, თითს ვერ მიიტან ცხვირთან; დრო და დრო თევზივით თუ არ ამოყვინთავ და სუფთა ჰაერს თუ არ ჩაისუნთქავ, კანალიზაციის და შლამის სუნით დაიხრჩობი; წვიმის დროს სამაშველო სამუშაოებს დაუყოვნებლივ თუ არ ჩაატარებ, წყალი წაგილებს და ა.შ. არადა ამ პირობებში მთელი ოჯახი დაინვალიდდა.

მეზობლები კი ახლომახლო ტერიტორიებს ეპოტინებიან და, როგორც თემურ ლოლაშვილი ამბობს, ყველაფრის მითვისებას ცდილობენ. ამ ყველაფერში კი თემურ ლოლაშვილის ნალოლიავები 30 წლის ეზო-ბაღიც არის. მაინც რა თაფლი სცხია ამ ტერიტორიას, იკითხავს ადამიანი. ჯერ ერთი, ეს არის თვალისგან მოფარებული ცენტრალური ადგილი, სადაც შეიძლება რაღაც-რაღაცების ჩუმად აშენება და მეორეც, ეს არის სასტუმრო "ივერიას" მიმდებარე ტერიტორია. როგორც ამბობენ, იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც სასტუმროს ადგილზე ხუთვარსკვლავიანი კომპლექსის აშენებას აპირებენ, უბანში უკვე დადიან და ადგილმდებარეობას სწავლობენ. ერთი სიტყვით, საქანელას ქუჩაზე კარგი ფულის სუნიც ტრიალებს.

ამჟამად თემურ ლოლიშვილს წერილები გაგზავნილი აქვს საქართველოს პრეზიდენტისა და ქალაქის მერის სახელზე, მაგრამ შიშობს, ვაითუ რამე მოხდეს და ადრესატებმა ჩემი განცხადებები ვერ ნახონო. ქანცგაწყვეტილი პენსიონერი იმ წერილებში შეძლებისდაგვარად ყველაფერს წერს, მაგრამ ადგილზე ნანახთან ეს ზღვაში წვეთია. სწორედ ამიტომ ითხოვს პენსიონერი სპეციალურ კომისიას, რომელმაც ადგილზე უნდა ნახოს ყველაფერი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღევანდელი ქალაქის მერის უკომპრომისობა და შემართება გვაფიქრებინებს, რომ ესეც მალე მოხდება.

ფოსტა

# "ზურაბ, ხომ გავახარე ჩემი პატარა საჩხერე!"

## ყველას თავისი აქვს სათქმელი (ზოგს სატრაბახო, საამაყოც)

ზაზა გომართელი

მე ზემო იმერეთიდან ვარ და ეს მეამაყება, ჩემი მამაპაპისეული ეზო-ბაკე (ასე ეძახიან ზემო იმერეთში ადგილ-მამულს) და ვცდილობ ჩემი გვარის, კუთხის და მთელი ქვეყნის ტრადიციებს არ ვუღალატო. მჯერა, ასე ფიქრობს დღეს თითოეული ქართველი, მით უმეტეს, ამ დაძაბულ, რთულ პერიოდში.

ახლაც აქ ვარ, ჩემს კუთხეში და ჩემი აქ ყოფნა მთელი ერის სიხარულს დაემთხვა.

საქართველოს თითოეულ წარმატებას - პოლიტიკურს, კულტურულს თუ სპორტულს, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს დღეს და წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც საჩხერის კინოთეატრის დიდი ეკრანის წინ მთელ ქალაქთან ერთად ვიზეიმე ამ ქალაქის საამაყო შვილის, გიორგი ასანიძის გამარჯვება.

ვიცით, საქართველო სავსეა გმირებით (ამაში ეჭვიც არ მეპარება), თუნდაც სულ რამდენიმე დღის წინ ცხინვალის კონფლიქტთან დაკავშირებით დაღუპულ ბიჭებს ვიხსენებ, მაგრამ იმათგან, ვინც დღეს ცოცხალია და არანაკლებ ასახელებს თავის ქვეყანას, ერთ-ერთი გმირია გიორგი. ჩემი, ჩვენი, მთელი საქართველოს საჩხერიდან. დიახ, მთელი ერის შვილია და იცით რა ხდებოდა იქ? - ათენის ოქრომ იმ ღამეს მთელი საჩხერე გაანათა!!!

დიახ, ასე იყო. მე კი 1981 წლის 13 მაისის თბილისის ღამე გამახსენდა "დინამოს" წარმატების შემდეგ, ის ერთი ჭიქა შამპანურიც, რომელიც იქ შევსვი, გულწრფელად მთელ საქართველოს გავუნაწილე. არ დამავიწყდება გიორგის ზარი ათენიდან, სულ რამდენიმე წუთში დარეკილი ახალგაზრდა 31 წლის გამგებლის მობილურზე (რომელიც, რა თქმა უნდა, ყველასთან ერთად ზეიმობდა) - ზურაბ, ხომ გავახარე ჩემი პატარა საჩხერე! ეს სიტყვები მთელს ქვეყანას ეკუთვნოდა და ამაში ეჭვი არც არავის შეპარვია.

ასეა, ასე ვცხოვრობთ, ჭირითა და ლხინით.

სულ რამდენიმე კილომეტრშია აქედან ოსეთი, ჩვენი ძმებითა და დებით დასახლებული, მაგრამ ვიცი, რომ ასევე გაუხარდებოდა ყველა ნორმალურად მოაზროვნე ოსს ეს ოქრო და ისიც ვიცი, რომ მათი ოქროც ჩვენი საერთო სიხარული იქნება. იმასაც მივხვდი, რომ არ ულალატებს ეს ახალგაზრდა კაცი საჩხერის გამგებლის იმ ფესვგადგმულ ტრადიციებს, რომელიც ისტორიულად იმერეთის ამ კუთხის წარმომადგენლებსა და მეზობელ ოსებს შორის იყო. არ ვუღალატებ მეც, თუნდაც ამ კუთხეში ორიოდე დღე დავყო ხოლმე, მაგრამ ვიცი, თბილისიდან გამოყოლილი ის იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მთელ საქართველოს გაწვდება.

რა ფერებით არის სავსე დავით კაკაბაძის ზემო იმერეთის პეიზაჟები, რა სილამაზე აქვს გადმოცემული თავის სურათებში დიდ მხატვარს - ასეა დღესაც, იმერეთი ისევ ლამაზია - სხვიტორით, სავანეთი, არგვეთით, გორისით და ათენის ოქროთი განათებული საჩხერეთი. და მე მადლობელი ვარ ღმერთის, რომ აკაკის, პაოლო იაშვილის, გიორგი წერეთლის, ივანე გომართელის, მუხრან მაჭავარიანის სამშობლოში ერთი ლამაზი დღე დავყავი.

**P.S. თავს ვიხრი ყველა იმ ქართველის წინაშე (რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყვნენ ისინი), ვინც ათენიდან მთელს საქართველოს უდიდეს სიხარულს ჩუქნის.**

**Post P.S. მართლაც, იმ ღამეს გიორგი ასანიძის ოქრომ მთელი საჩხერე გაანათა.**

# ბასილიზმის სასამართლო პროცესი

*იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერს, რაც ბასილ მკალავიშვილს უკავშირდება, წივილ-კივილი და წყევლა-კრულვა ახლავს, ცხადია, უხმაუროდ ვერც მისი სასამართლო პროცესის პირველი დღე ჩაივლიდა. ასე რომ, გუშინ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად იყვნენ ეგზალტირებული შავოსანი ქალები და წვეროსანი მამაკაცები, თუმცა მათ ხმაურსა და აქციების გამართვის მუქარას სასამართლოს გადაწყვეტილებებზე გავლენა არ მოუხდენია - მოსამართლემ არ დააკმაყოფილა განსასჯელი მკალავიშვილისა და მასთან ერთად განსასჯელის სკამზე მსხდომი მისი თანამზრახველების პეტრე ივანიძის, მიხეილ ნიკოლოზიშვილის, ავთანდილ გაბუნიას, ავთანდილ ჯანაძის, მერაბ კოროშინაძის და აკაკი მოსეშვილის ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა.*



*განსასჯელების ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა მოსამართლეს არ დაუკმაყოფილებია.*



*სასამართლოს შენობასთან შეკრებილი მკალავიშვილის მომხრეები მის გათავისუფლებასა და იმ ხალხის დაპატიმრებას ითხოვდნენ, ვინც სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ ბრძანება გასცა.*

იური ლობოდინის ფოტოები

როგორც ცნობილია, ბასილ მკალავიშვილი და მისი თანამზრახველნი, რომლებიც კარგა ხანი იმყოფებოდნენ ძებნაში იელოვას მოწმეების ლიტერატურის განადგურების გამო, 12 მარტს ხმაურიანი სპეცოპერაციის შედეგად დააპატიმრეს. მათ სხვისი ქონების განადგურებასა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ადანაშაულებენ, რისთვისაც, საპროცესო კანონმდებლობით, ოთხიდან რვა წლამდე პატიმრობა ელით. გუშინ კი სასამართლოს შენობასთან შეკრებილი მკალავიშვილის მომხრეები მის გათავისუფლებასა და იმ ხალხის დაპატიმრებას ითხოვდნენ, ვინც სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ ბრძანება გასცა. სახელდახელო საპროტესტო აქციაზე სხვა მოთხოვნებიც იყო, მაგალითად ისეთი, როგორიცაა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. სასამართლოს შენობაში კი დაახლოებით იგივე შინაარსის გამოსვლებს ადვოკატების მხრიდან რამდენიმე კონკრეტული შუამდგომლობაც ახლდა. კონკრეტულად, თავად განსასჯელი ირწმუნებოდა, რომ ციხეში ორჯერ "კინალამ" ინფარქტი დაემართა, რის საფუძველზეც მისი ადვოკატი მკალავიშვილისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვდა. ასევე მკალავიშვილის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა ადვოკატის მეორე შუამდგომლობა: თავად მკალავიშვილი ამბობს, რომ პროკურორი მამუკა კერესელიძე ნარკომანია, ამიტომ ადვოკატმა მისთვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარება ითხოვა. მესამე შუამდგომლობით დაცვის მხარე საქმის გასაცნობად დროს ითხოვდა - ჩვენთვის გამოძიების დასრულების შესახებ არავის უცნობებია და არც საქმეს გავცნობივართო. არც ერთი შუამდგომლობა მოსამართლეს, უსაფუძვლობის გამო, არ დაუკმაყოფილებია, რამაც ადვოკატების პროტესტი გამოიწვია და მათ პროცესი, შესაბამისად კი, განსასჯელები დაცვის გარეშე დატოვეს.

**"ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრება არის ხელისუფლების პოლიტიკური შეკვეთა. ჩვენთვის არავის უცნობებია გამოძიების დასრულების შესახებ. ისიც კი არ ვიცოდით, თუ სასამართლო დღეისთვის იყო დანიშნული. პრესკონფერენციაზე გვინდოდა საზოგადოებისთვის გაგვეცნო, როგორ ირღვევა საქართველოში ადამიანის უფლებები, მაგრამ ეს პრესკონფერენცია ხელისუფლებამ დაბლოკა და არც ერთი ჟურნალისტი არ მოვიდა,"** - განაცხადა მკალავიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა სერგო შერბიამ.

თვით სასამართლო პროცესი კი, დაზარალებულებისა და მოწმეების გამოუცხადებლობის მოტივ-

# ყაჩაღური დაჯგუფების წევრი ცხელ კვალზე დააკავეს

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს. დაკავებულია ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი, გოჩა აბრამია. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გოჩა აბრამიას დაჯგუფება საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ამ დაჯგუფების სხვა წევრების დადგენა-დაკავებას ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები უახლოეს ხანში ვარაუდობენ.

გოჩა აბრამია გუშინ საღამოს, მის მიერ გატაცებულ ავტომანქანასთან ერთად დააკავეს. ამჯერად მას შესაბამის ბრალდებას წარუდგენენ, თუმცა სამართალდამცველების აზრით, მისი ბრალდებები საქმის ძიებისას კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მისი და მისი დაჯგუფების წევრების მიერ ჩადენილი სხვადასხვა სახის დანაშაულების გამოაშკარავების იმედი აქვთ.

როგორც გაირკვა, გოჩა აბრამიამ გუშინ, ელიავას ბაზრობაზე "კამაზის" ტიპის ავტომანქანა დაიქირავა და მძღოლს თელეთის მიმართულებით ქვიშით დატვირთული "კამაზით" გამგზავრება სთხოვა. გაწეული მომსახურებისთვის მძღოლი და აბრამია თანხაზეც შეთანხმდნენ. კრწანისის დასახლებასთან გოჩა აბრამიამ მძღოლს იარაღის მუქარით დამორჩილება უბრძანა. მას ხელ-ფეხი შეუკრა, პირი აუკრა, მანქანიდან გადმოაგდო და ტყეში დატოვა. ავტომანქანა ქვიშისგან ტყეშივე დაცალა, მანქანა გაიტაცა და გაუჩინარდა. ხელ-ფეხშეკრული მძღოლი შემთხვევით გამვლელებმა იპოვეს და მომხდარი პოლიციას შეატყობინეს. ქვემო ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიულად გადაკეტეს გზები და ავტომანქანის გამტაცებელი დააკავეს. ის უკვე წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. ჩვენი ინფორმაციით, დაზარალებულ მძღოლსა და დაკავებულ ყაჩაღს შორის დაპირისპირება უკვე შედგა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ, ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის გზატკეცილზე აღურიცხავი სამრეწველო საქონლით დატვირთული "ფორდის" მარკის მიკროავტობუსი დააკავა. როგორც ქვემო ქართლის საფინანსო პოლიციის უფროსი კოკა წულაია აცხადებს, მიკროავტობუსი ქვემო ქართლში აზერბაიჯანიდან "წითელი ხიდის" გავლით შემოვიდა. მიკროავტობუსის მძღოლის მტკიცებით, ტვირთი, რომელიც რამდენიმე პირს ეკუთვნის, მიკროავტობუსში ნეიტრალურ ზონაში დაიტვირთა. ამ დროისათვის ამოღებული საქონელი ლილოს ტერმინალშია გადატანილი, სადაც ექსპერტები მის საბოლოო ღირებულებას დაადგენენ. წინასწარი შეფასებით კი, საქონელი 15000 ლარის ღირებულებისა უნდა იყოს. ტვირთის მეპატრონეებს მის დასაბრუნებლად საქონლის საერთო ღირებულების 83 პროცენტის გადახდა მოუწევთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ქუთაისში შინაგანი ჯარის მე-2 ოპერატიული ბრიგადის სანივთე სამსახურის უფროსი, ზემდეგი მურთაზ მახარაძე დააკავეს. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მახარაძემ ქუთაისის ბაზრობაზე მოქალაქე სულიკო გაჩეჩილაძეს შინაგანი ჯარის კუთვნილი, 90 ლარის ღირებულების სამი წყვილი ფეხსაცმელი მიჰყიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** შს სამინისტროს ქობულეთის განყოფილების თანამშრომლებმა ქურდობის ფაქტზე პოლიციელი მანუჩარ ლაზაშვილი დააკავეს. ლაზაშვილმა ქობულეთში თბილისიდან დასასვენებლად ჩასული ნინო ანდრონიკაშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან აუდიომაგნიტოფონი და მობილური ტელეფონი მოიპარა. მანუჩარ ლაზაშვილი შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. პოლიციელს ქურდობისთვის 3-დან 7 წლამდე პატიმრობა ელის. ეს ბოლო დროს აჭარაში პოლიციელის დაკავების უკვე მესამე ფაქტია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** შს სამინისტროს ბათუმის სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე მინდია გაბეჩავა დააკავეს. გაბეჩავას კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 13 აბი სუბოტექსი ამოიღეს, რომლის საერთო წონა 5 გრამს შეადგენდა. გაბეჩავა თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ ავტომანქანაში აღმოჩენილი სუბოტექსი მას არ ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ დაკავებული ანალოგიური ბრალდებით ადრეც არის ნასამართლევი. ამჯერად მას თავისუფლების 20 წლით აღკვეთა ან სამუდამო პატიმრობა ელის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ჭიათურის ზონის სოფელ ვაჭევში მცხოვრებნი - ლერი შეყილაძე და ოთარ ცერცვაძე, რომლებმაც თბილისში, გაგარინის მოედანზე დაჭრეს თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში მცხოვრები დავით გიორგაძე და მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში მცხოვრები თამაზ უდესიანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა სამმართველომ სამტრედიაში ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი შოთა ბოლქვაძე, გიორგი ბოკუჩავა და ვაჟა არველაძე დააკავა. ბოლქვაძის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატი ამოიღეს ტყვიებითა და ოთხი მჭიდით. პოლიციის ვარაუდით, სამივე დაკავებული ყაჩაღური ბანდის წევრია. ამჟამად ისინი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელმა სამართალდამცველებმა გუშინ 27 წლის, ადრე ნასამართლევი იუზა ხურცილავა დააკავეს, რომელსაც ავტომანქანის გატაცება ედება ბრალად. პოლიციაში აცხადებენ, რომ ხურცილავამ ქუთაისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის კუთვნილი ავტომანქანა გაიტაცა, რის შემდეგაც წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში ხეს შეეჯახა და სხვადასხვა დაზიანებები მიიღო. ამ დროისათვის დაკავებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა 1995 წლიდან ძებნილი, ბოლნისის რაიონის პროკურორის თანაშემწის დავით ფოლადაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავით ფანგანი დააკავეს. იგი თავს მესტიის რაიონს დავით ქავთარაძის სახელით აფარებდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** აფხაზ სეპარატისტთა ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ენგურის ხიდზე დე ფაქტო ხელისუფლება "უსაფრთხოების დამატებითი ზომების" მიღებას აპირებს. ჯერჯერობით, გალის რაიონში აფხაზ ძალოვანთა დამატებითი კონტინგენტი დასაშვებ ნორმებს არ აღემატება. რაც შეეხება ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრას, ამ საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს სამშვიდობო მისიისა და რუსი სამშვიდობოების წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებას. მიიღებენ თუ არა აფხაზები მონაწილეობას ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრებში, კვლავ უცნობია. **მედია-ნიუსი**

# ვინ იქნება შემდეგი?

ვინ იქნება შემდეგი მაღალჩინოსანი სამართალდამცველი, რომელსაც ქრთამის აღების ბრალდებით კოლეგები დააკავებენ და ციხის გზას გაუყენებენ, ჯერჯერობით უცნობია. **"კორუფციული საქმიანობის შესახებ ვფლობთ ინფორმაციას მაღალი რანგის ჩინოვნიკების შესახებ. მათი გამოაშკარავების მიზნით, შს სამინისტრო სერიოზულ ღონისძიებებს უახლოეს დღეებში ჩაატარებს. ეს არც მუქარაა და არც გაფრთხილება, ეს არის ის ფუნქცია, მიზანი და მეთოდები, რომლითაც შს სამინისტრო ხელმძღვანელობს,"** - ეს განცხადება გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელმა ზაზა ქაჩიბაიამ გააკეთა.

შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ საგანგებოდ გამართული ბრიფინგის თემა კი გუშინ დილით სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ერთ-ერთი გამომძიებლის მიერ ჩადენილი დანაშაული გახლდათ.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი გიორგი რამიშვილი გუშინ სპეცოპერაციის შედეგად ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. ვისგან, რა ვითარებაში და როდის აიღო ქრთამი ახალგაზრდა გამომძიებელმა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გენინსპექციაში არ აკონკრეტებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გამომძიებელმა გიორგი რამიშვილმა ერთ-ერთი დაზარალებულის ნათესავისთვის გარკვეული პროცესუალური შეღავათების გაწევის მიზნით, მისგან ქრთამის სახით 1300 დოლარი აიღო.

**"გამომძიებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შესაბამის კვალიფიკაციას პროკურატურა მიანიჭებს,"** - აცხადებს შსს-ს გენინსპექციის ხელმძღვანელი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალდამცველის მიერ ქრთამის აღების ფაქტი თავისუფლების 6-დან 15 წლამდე აღკვეთით ისჯება.

ერთი სიტყვით, მექრთამე სამართალდამცველების მიმართ გენერალური ინსპექცია დაუნდობელ ბრძოლას აცხადებს. ზაზა ქაჩიბაიამ გუშინ გარკვეული მინიშნება გააკეთა, რომ შემდეგი მაღალჩინოსანი სამართალდამცველი, რომლის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ დეტალები უახლოეს დღეებში, სწორედ მაშინ გახდება ცნობილი, როცა მას დააკავებენ, გუშინ დაკავებული მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელზე მაღალი რანგის იქნება.

*24 საათი*

# თავდამსხმელებმა გაქცევა ვერ მოასწრეს

თავდამსხმელი ყაჩაღებისგან სასტიკად ნაცემი დედა-შვილი ნორა და ნარგიზ ფეიქრიშვილები მესამე დღეა, საგარეჯოს რაიონის საავადმყოფოში გადაუდებელ მკურნალობას გადიან. მათი დამზარალებლები - ქურდული ტრადიციების მიმდევარი ნუგზარ მარისახაშვილი, თამაზ ქვრივიშვილი და ნოდარ გულაშვილი კი უკვე წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან.

ყველაფერი გუშინწინ, გვიან ღამით მოხდა, როცა თითქმის ყველა სახის იარაღით აღჭურვილი სამი ყაჩაღი ფეიქრიშვილების საცხოვრებელ ბინაში შეიჭრა და ოჯახში მყოფებისგან ძვირფასეულობა და ფული მოითხოვა. როგორც საგარეჯოს პოლიციის უფროსმა რამაზ ხატიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, სახლში მყოფ ორ შეშინებულ ქალბატონს თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ ისინი ყაჩაღთა რისხვას მაინც ვერ გადაურჩნენ. თავდამსხმელები თან ბინას "ასუფთავებდნენ", თან ოჯახის წევრებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

**"მეზობლებმა სასწრაფოდ პოლიციას მიმართეს. ოპერატიული ჯგუფი რამდენიმე წუთში უკვე ადგილზე იყო ჩასაფრებული. ყაჩაღები სავსე ჩანთებით მშვიდად ტოვებდნენ სადარბაზოს. ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც კი დაკავების საფრთხე იგრძნო, უკან გაიქცა, ისევ ფეიქრიშვილების სახლში შებრუნდა და ნაცემი ქალბატონი მძევლად აიყვანა. დანარჩენი ორიდან ერთ-ერთი სახურავზე მიიმალა, მეორემაც მოასწრო იქვე გაუჩინარება. პოლიციასა და თავდამსხმელებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. საბედნიეროდ, დაზარალებულ ქალბატონს მხოლოდ ოცი წუთის განმავლობაში მოუწია მძევლობაში ყოფნა. სამივე თავდამსხმელის დაკავება შევძელით,"** - გვითხრა საგარეჯოს პოლიციის ახალმა უფროსმა.

სამართალდამცველებმა ყაჩაღებს იარაღი და ფეიქრიშვილების ოჯახიდან გატაცებული ნივთები ადგილზევე ჩამოართვეს. სხვა საოჯახო ნივთებთან ერთად თავდამსხმელებს ფეიქრიშვილების კუთვნილი 1500 ლარიც აღმოაჩნდათ.

ერთი სიტყვით, ბოლო დღეებში ცხელ კვალზე გახსნილმა დანაშაულების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ნუგზარ მარისახაშვილი, თამაზ ქვრივიშვილი და ნოდარ გულაშვილი პოლიციამ სწორედ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე დააკავა.

*24 საათი*

# ოფიცრებს პატიმრობა შეუფარდეს

გორის უშიშროების სამსახურის თანაშრომლების მიერ დაკავებულ სამ სამხედრო მოსამსახურეს - თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის სამხედრო ნაწილის საწყობის გამგეს ამირან თედეშვილს, თავდაცვის სამინისტროს ცეცხლის მართვის ცენტრის საწყობის უფროსს, მაიორ ლევან მაღალთაძესა და ამავე უწყების ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, ვიცე-პოლკოვნიკ ელგუჯა ნიკოლაძეს, რომლებსაც თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფო ქონების დატაცება ედებათ ბრალად, გუშინ სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც ცნობილია, გორის უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა მოკვლევა უკვე ჩაატარეს. როგორც გაირკვა, ამირან თედეშვილი ეჭვმიტანილია საბრძოლო იარაღის - 60 ხელყუმბარის მითვისებაში, რადგან მოკვლევის შედეგად ყუთებში ხელყუმბარების ნაცვლად რიყის ქვები აღმოჩნდა, ხოლო ელგუჯა ნიკოლაძეს - ქართულ-ოსური კონფლიქტის საომარი მოქმედების დროს სანგრების გასამაგრებელი ხე-ტყის მასალის არამიზნობრივად გამოყენებაში ედავებიან. რაც შეეხება ლევან მაღალთაძეს, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, მას სახელმწიფო ქონების მიტაცებაში ადანაშაულებენ. იგი სამხედროებისთვის განკუთვნილ საწვავს (ორი ტონა დიზელი) თავად განკარგავდა.

მოქმედი კანონმდებლობისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, დაკავებულ სამხედროებს 7 წლამდე პატიმრობა ელით.

**თუ შეამჩნევთ, რომ ქუჩასა თუ ავტომაგისტრალზე ვინმე არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, რითიც საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, თუ შენიშნეთ რამე კანონდარღვევა, ან შეიქმნით ექსტრემალური სიტუაციის მომსწრე, დარეკეთ:**

**80-02**

**ამ ნომერზე მობილური ტელეფონიდანაც კი უფასოდ დაუკავშირდებით საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს. იგივე სახის ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ ტელეფონის ნომერზე:**

**53-11-50**

**თუ კანონდარღვევა დედაქალაქშია შემჩნეული, ამის შესახებ უნდა აცნობოთ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეოს ტელეფონის ნომერზე:**

**77-50-61**

# საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოება

პირველი გვერდიდან

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის კეთილდღეობის არაკეთილმოსურნენი ჩვენზე არანაკლებ კარგად აცნობიერებდნენ ამას და არაერთგზის უცდიათ კიდეც ამ ფუძის მოშლა, ან შერყევა მაინც. ეს ადვილი ნამდვილად არ იყო და ჭკვიანი მტერი თავისი უკეთური მიზნების მისაღწევად საჭირო ძალას ჩვენსავე სისუსტეში ეძებდა. ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ ცნობიერებას და ქართველთა ერთსულოვნებას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის ერთგულ შვილებთან ერთად ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა ბიწი არ შეჰხებოდა იმ ღირებულებებს, რომელთა დაზიანება-დამახინჯება ქართველების, როგორც ერის, ყოფნას საეჭვოს გახდიდა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ისტორიულად თავსდატეხილი ქარიშხლების მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქართველი ერის გამოტარება ურთულეს გზაზე და როს დადგა ჟამი, როცა დაღლილ, უამრავ ბრძოლაში გათანგულ მრავალჭირნახულ ქვეყანას სული უნდა მოეთქვა, თავი იჩინა ახალმა განსაცდელმა; XIX საუკუნის საქართველოში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც ერის მოსაშთობად გასატარებელი კომპლექსური ღონისძიებების მაგალითს წარმოადგენს. ამ პერიოდში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა - მართლმადიდებლურმა რუსეთის სახელმწიფომ, მიიღო რა თავისი მფარველობის ქვეშ ასევე მართლმადიდებლური საქართველო, ერთპიროვნულად (ფაქტობრივად ძალმომრეობით) გააუქმა სამეფო ტახტი (1801 წ.), რაც ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლას ნიშნავდა და შემდეგ, დაინახა რა, რომ ამ პირობებშიც კი ეკლესია რჩება ერის გაერთიანებისა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, დაიწყო საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის ხელყოფაც: რუსეთი თანმიმდევრულად აუქმებს ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს საპატრიარქოს (1811 წ.), ხოლო შემდეგ ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოს (1820 წ.) და ქმნის საქართველოს საეგზარქოსოს. საეგზარქოსოს სათავეში რუსეთის უწმიდესი სინოდის მიერ თავდაპირველად ინიშნება იმპერიისათვის მისაღები ქართველი მღვდელმთავარი - ვარლამ ერისთავი, ხოლო შემდეგ, როგორც წესი, ერთმანეთს ენაცვლებიან რუსი ეგზარქოსები, რომლებიც თუმცა კი მეტნაკლებად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან ქართველებისადმი ლოიალობით, ყველა მათგანი საქართველოში რუსეთის იმპერიული ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა. ფაქტობრივად, საქართველოს ეკლესია, როგორც რელიგიურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გადაიქცა ინსტრუმენტად რუსეთის იმპერიის ხელში, რომლის პოლიტიკური ინტერესი გამოიხატებოდა ქართული ეროვნული ცნობიერების მოშლაში; დღევანდელი გადასახედიდან ფრიად საგულისხმოა და საინტერესოც, თუ როგორ ცდილობდა ამ იდეის ხორცშესხმას უკვე არა მეზობელი, არამედ "მამა და მარჩენალი" რუსეთი. ეს გამოიხატა შემდეგში:

- სრულიად საქართველოში მიზანმიმართულად გადაჰყავდათ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი რუსულ ენაზე; ამის პარალელურად, იყო სერიოზული მცდელობები, რომ სამეგრელოში სასწავლო პროცესი მეგრულ ენაზე ეწარმოებინათ;
- იგივე ხდებოდა საღვთისმსახურო პრაქტიკაში, საიდანაც იდევნებოდა ქართული ენა და ქართული ტრადიციული გალობა, სანაცვლოდ შემოჰქონდათ რუსული ენა და წეს-ტრადიცია, სამეგრელოსა და სვანეთში კი - შესაბამისად მეგრული და სვანური ენები (რაც მოსახლეობის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა);
- მიზანდასახულად ხდებოდა მეგრელების, აჭარლების, სვანებისა და სხვათა არაქართველებად წარმოჩენა;
- ქართული საეკლესიო (იგივე ეროვნული) სიწმიდეები საქართველოდან რუსეთში გაჰქონდათ და ეს ხდებოდა ზოგიერთი ეგზარქოსისა და რუსი "ჩინოვნიკების" ხელით, რასაც აადვილებდა იმ პერიოდის ზოგიერთი ჩვენი მედროვე თანამემამულის დანაშაულებრივი გულგრილობა და სიხარბე.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებისათვის სრულიად მიუღებელნი იყვნენ რუსეთის უწმიდესი სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრებად დადგენილი უმაღლესი სასულიერო იერარქები, რომელთათვისაც უცხო იყო ქართული ენა, ქართული ღვთისმსახურება, ქართული ეროვნული და საეკლესიო ტრადიციები. თუ მანამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დიდ სიხარულსა და ეროვნული სულის ზეიმს წარმოადგენდა ხსენება წმიდათა - ვახტანგ გორგასლისა, არჩილისა, დავით აღმაშენებლისა და თამარისა, ცოტნე დადიანისა და დემეტრე თავდადებულისა, ქეთევან დედოფლისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და სხვათა, რაც ხალხში ეროვნული ცნობიერების გაღვივებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა, ამჯერად უკვე ეგზარქოსების ინტერესებში ეს ნამდვილად არ შედიოდა.

იმპერიის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ საქართველოში დასაბამი მისცა ეკლესიისაგან ქართველი ხალხის გაუცხოების პროცესს; ასე რომ, როცა ვაანალიზებთ XIX საუკუნის მოვლენებს, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეკლესია (როგორც საზოგადოებრივ-რელიგიური ორგანიზაცია) თუ არ ითვალისწინებს იმ ერის სულიერ და პოლიტიკურ სულისკვეთებას, რომლის წინამძღოლად (და მსახურად) არის ღვთივდადგენილი, განწირულია იზოლაციისათვის. ეკლესია თავისი არსით არის უნივერსალური, ანუ მარად თანამედროვე ორგანიზმი და, აქედან გამომდინარე, მან ყველა დროსა და ეპოქაში უნდა იპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი და სიმაღლე, საიდანაც მადლიან, ცოცხალ და მართალ სიტყვას დროულად მიაწვდის საზოგადოების ყველა ფენას, მაგრამ, თუ ასეთი ადგილი და სიმაღლე ვერ გამოიძებნა, ამით ეკლესიის, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეულის მნიშვნელობა არ კნინდება, არამედ წარმოჩინდება მხოლოდ მის (როგორც საზოგადოებრივ-რელიგიური ორგანიზაციის) წარმომადგენელთა სისუსტე, უარეს შემთხვევაში საკუთარ დანიშნულებასთან შეუსაბამობა, რასაც კიდეც ვხედავთ XIX საუკუნეში: მაშინ, როცა ქართული საზოგადოებისათვის აქტუალური იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენა, დიამეტრულად განსხვავებული იყო ეკლესიის იმჟამინდელ მეთაურთა (და არა მარტო მეთაურთა) ინტერესები. სწორედ ეს გახდა ეკლესიისა და საზოგადოების გათიშვის ფაქტობრივი მიზეზი, მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ მოციქულის სიტყვით შეიძლება აიხსნას: "სადაცა განმრავლდეს ცოდვა, მუნ გარდაემატოს მადლი". ასეთ მადლად ქართველ ერს მოევლინენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით, რომლებმაც ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დაიწყეს ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რადგან ერის მოწინავე შვილების მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ სამღვდელოების წარმომადგენელთათვის ამის მიღწევა შეუძლებელი იყო; 1905 წელს თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა კი საბოლოოდ ცხადყო ჭეშმარიტად პატრიოტი სამღვდელოებისა და საზოგადოების მოწინავე ნაწილის ერთი მიზნის წინაშე გამთლიანების აუცილებლობა, რამაც შესაძლებელი გახადა 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. განსაკუთრებული გახსენებისა და არდავიწყების ღირსნი არიან იმჟამად საზოგადოებაში დიდად დაფასებულნი და მიღებულნი: ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (ილია ჭავჭავაძის მოძღვარი), ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და სხვანი. ისინი არა მხოლოდ სულიერი მამები, არამედ იმ პერიოდის ქართული თანამედროვეობის უდიდესი საზოგადო მოღვაწენი იყვნენ.

1921 წლის 15 აპრილს, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, რევკომის სპეციალური დეკრეტით საქართველოს ეკლესია გამოცხადდა კანონგარეშე ორგანიზაციად და კვლავ დაიწყო ეკლესიისაგან საზოგადოების მოწყვეტის პოლიტიკა. სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ საზოგადოებაში გამოჩენა და საღვთისმსახურო წესების აღსრულება. მიუხედავად ამისა, 20-იან წლებში საზოგადოება და ეკლესია ჯერ კიდევ მჭიდრო ურთიერთკავშირში რჩებოდნენ. ამის დასტურია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმ. ამბროსი ხელაიას მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი და ის მხარდაჭერა, რასაც მას ხალხი უცხადებდა. თუმცა, ბოლშევიკური მთავრობის მიზანდასახულმა ანტიეკლესიურმა პოლიტიკამ მაინც მიაღწია იმას, რომ XX საუკუნის 30-60-იან წლებში ეკლესია პრაქტიკულად იზოლირებული აღმოჩნდა საზოგადოებისაგან, რაც ნათლად ჩანს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ერთ-ერთ წერილში: "...დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვართ, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ გასაგები მიზეზების გამო. ძალიან გართულებულ მდგომარეობაშია ჩვენი ეკლესია..." ასეთი მძიმე ვითარება სუფევდა ეკლესიაში იმ პერიოდისათვის, როცა 1977 წელს სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტახტზე ავიდა იმჟამინდელი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ახალგაზრდა, განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე და ფრიად სათნო გარეგნობის მქონე კათოლიკოსის გამოჩენა მოღრუბლულ ცაზე ცისარტყელის გამონათებად აღიქვა და უნდა ითქვას, არც შემცდარა. აღსაყდრების 25 წლისთავის იუბილეზე უწმიდესი და უნეტარესი ილია II იხსენებს: "როდესაც კათოლიკოს-პატრიარქად ამირჩიეს, მთავარ მიზნად დავისახე ინტელიგენციის დაახლოება ეკლესიასთან, რომელნიც ხელოვნურად იყვნენ ერთმანეთისაგან დაშორებულნი"... და ბოლოს დასძენს: "... ეს იყო უმძიმესი ოცდახუთი წელი". არსებული მდგომარეობა კათოლიკოსისაგან ითხოვდა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას იმისათვის, რომ საზოგადოება დაბრუნებოდა ეკლესიას; რა გზით და რა საშუალებით? ამისათვის საჭირო იყო მეცნიერებთან, მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან დაახლოება, რადგან საზოგადოება მათ თავის ელიტარულ ნაწილად აღიქვამს. ეს ბრწყინვალედ ესმოდა ახლადარჩეულ კათოლიკოს-პატრიარქს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიზანდასახული დაუღალავი შრომის შედეგად მოახერხა ინტელიგენციის დაახლოება ეკლესიასთან, რასაც თვით საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოქცევა მოჰყვა.

80-იანი წლების ბოლოს საოცარი ძალით იფეთქა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ამ პროცესმა კიდევ ბევრ ადამიანს დაანახა ტაძრისკენ მიმავალი გზა და შედეგმაც არ დააყოვნა, ხალხი მასობრივად დაიძრა ეკლესიისკენ; ის ხომ ამ დროს ერთადერთ ეროვნულ ორგანიზმს წარმოადგენდა საბჭოთა სისტემის პირობებში. აშკარად გაიზარდა ეკლესიისადმი საზოგადოების კეთილგანწყობა. საქართველოს ეკლესია თავისი გაზრდილი ავტორიტეტით სულ უფრო საინტერესო ხდება სახელმწიფო აპარატისათვის, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ახლად ჩამოყალიბებული არასამთავრობო სექტორისათვის, რადგან ეკლესიას გაუჩნდა ის მძლავრი საზოგადოებრივი რესურსი, რომელსაც სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და არავისთვის აღარ არის სულერთი და ინტერესმოკლებული, თუ როგორ და რა მიმართულებით იქნება გამოყენებული აღნიშნული პოტენციალი. ეს მოვლენა, ბუნებრივია, იპყრობს იმ ქვეყნების სპეცსამსახურების ყურადღებასაც, რომელთაც საქართველოში პოლიტიკური ინტერესები აქვთ და რა თქმა უნდა, მცდელობას არ აკლებენ, რათა მათთვის სასურველი მიმართულებით "შეუწყონ ხელი" მოვლენების განვითარებას, რასაც მთლიანობაში მოჰყვა ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად ტრაგიკული მოვლენები: სახელმწიფო გადატრიალება, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ფაქტობრივი გასვლა სახელმწიფოს იურისდიქციიდან, ათასობით ჩვენი მოქალაქის (მათ შორის მრავალი ახალგაზრდის) სისხლისღვრა ე. წ. ეთნოკონფლიქტებსა თუ სამოქალაქო ომში. შემდგომი წლების განმავლობაში ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს შიდა პოლიტიკური ინტრიგები, მძიმე სოციალური პირობები, უკიდურესად განადგურებული ეკონომიკა, აქტიურად მზარდი კორუფცია, ტერიტორიული პრობლემების მოუგვარებლობა, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში ყოვლად გაუგებარი რყევები და ამ ყველაფერმა ჩვენს მოქალაქეებში გამოიწვია დაბნეულობა, მომავლის წინაშე შიში და სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობის სინდრომი, რაც საქართველოს დამოუკიდებლობას და თვით სახელმწიფოებრიობას საეჭვოს ხდიდა. ამ პერიოდში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქვეყანაში ყველაზე დიდ ნდობას მოსახლეობა უცხადებს ეკლესიას, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა დამატებით ნიშანს იმისა, რომ საქართველოს ეკლესია იქცა მძლავრ საზოგადოებრივ-რელიგიურ ორგანიზაციად.

ამ პირობებში საქართველოს ხელისუფლება მრავალი სამუშაო შეხვედრების, კონსულტაციებისა და დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ღებულობს საკმაოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან აფორმებს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რასაც, თავის მხრივ, მხარს უჭერდა სხვადასხვა რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. საინტერესოა, რა ხდება ამ მოვლენების პარალელურად და შემდგომ პერიოდში?

ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიზაციის პროცესში მიღწეული წარმატება (მიუხედავად თვით შეთანხმების ტექსტში არსებული სერიოზული ხარვეზებისა, რაც მომავალში გასწორებას საჭიროებს), როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი სასულიერო პირისა და მათი მრევლის მიერ სამწუხაროდ არასწორად იქნა გაგებული (ერთი შეხედვით) და თავი იჩინა საქართველოს ეკლესიისა და ქართული საზოგადოებისთვის მანამდე უცხო პრობლემამ, რასაც ჩვენში ისტორიულად არ ჰქონდა ადგილი - გაჩნდა არამართლმადიდებლური კონფესიებისა და მიმდინარეობების მიმართ აგრესიული შეუწყნარებლობის ტენდენცია, რაც არაერთხელ გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში და რისი მოწმეც გახდა არა მხოლოდ სრულიად საქართველო, არამედ ფართო საერთაშორისო საზოგადოება. ამას დაემატა თვით მართლმადიდებელთა შორის განსხვავებული აზრისადმი შეუწყნარებლობის შემთხვევები, და მთლიანობაში დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის არატრადიციული და უცხო ტენდენციები ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის (მათ შორის ინტელიგენციისთვის) მიუღებელი აღმოჩნდა მორალურად და ზნეობრივად (სხვა მიზეზთა გამოც). საზოგადოების ამ განწყობილებამ სხვადასხვა დროს ასახვა ჰპოვა მედიაში, რაც არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა და იყო (და არის) ერთგვარი სიმპტომი, რომელიც მიანიშნებს იმ ხარვეზზე, რომელიც ბოლო პერიოდში გაჩნდა ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობაში; და ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ველარ უგებენ ეკლესიას ის ადამიანები, რომლებთანაც ეკლესიამ ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში მონახა საერთო ენა? ნუთუ, შექმნილი გაუგებრობის მიზეზი მხოლოდ ამ ადამიანების არაეკლესიური ცხოვრების წესშია, რაზედაც მიუთითებდა ერთ-ერთი საპასუხო წერილი? შეიძლება არც უამისობა იყოს, მაგრამ რამდენად საკმარისია საკითხის მხოლოდ ასეთი ახსნით დაკმაყოფილება მაშინ, როცა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, საქართველოს მოსახლეობის სულ რაღაც 6-7 პროცენტია ეკლესიური. როგორც ჩანს, არის კიდევ რაღაც სხვა მიზეზებიც, რაც ყველა შემთხვევაში იმსახურებს ყურადღებას. ამ ტიპის ხარვეზებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობისათვის. აქვე მსურს კიდევ ერთ საკითხს დავუთმო ყურადღება. ფუნდამენტალისტური ორიენტაცია, რომელიც საფუძვლად უდევს შეუწყნარებლობისა და ექსტრემიზმის პრობლემატიკას, თანდათანობით მწიფდებოდა კონკრეტულ პიროვნებებში, რაც ჩვენს თვალწინ ხდებოდა. უკვე საწყის ეტაპზევე იგრძნობოდა, რომ ეს იყო უცხო მოვლენა როგორც საქართველოს ეკლესიისათვის, ასევე თვით ქართული სინამდვილისათვის. დიდად წუხდა ამის გამო თვით კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ყოველთვის ფლობდა (და ფლობს) აბსოლუტურ ინფორმაციას ეკლესიაში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა მათი შეგონება შეუძლებელი შეიქნა. დღეს ეს ადამიანები უფრო თვითდაჯერებულნი არიან, რადგან უკანასკნელ დროს მხარდაჭერასა და სიმპათიებს გრძნობენ მაღალ იერარქიულ დონეზე, რითიც ადრე არ იყვნენ განებივრებულნი; ამით ერთგვარად წახალისებულნიც კი არიან და გაუჩნდათ პრეტენზია - ვინც მათსავით არ ფიქრობს სარწმუნოებისა და ქვეყნის გადარჩენის თაობაზე, არის მტერი და მოღალატე - აი, ეს ხდება სწორედ დღეს და თუ საით მივყავართ გადარჩენის მათეულ გზას, დიდი მკითხაობა ნამდვილად არ სჭირდება. ეს არის გზა იზოლაციისაკენ, რომლის ლოგიკური დასასრულიც არის რუსული გავლენის სივრცეში დაბრუნება (ერთმორწმუნეობის ნიშნით). ასეთი საშიშროება მართლაც არსებობს:

საქართველოში და მის ირგვლივ არსებული ვითარების სულიერი და პოლიტიკური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კონფესიათაშორისი და შიდა კონფენსიური შეუწყნარებლობა ზოგადად რელიგიურ მოვლენას კი წარმოადგენს, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში რელიგიას უფრო მაპროვოცირებელი ფუნქცია აქვს დაკისრებული, ხოლო მიზეზსაც და მიზანსაც წმინდა პოლიტიკური შინაარსი აქვს;

მიუხედავად იმისა, თუ პოლიტიკური მმართველობის რა სისტემები ცვლიდა ერთმანეთს რუსეთში, უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მისი პოლიტიკური ინტერესი საქართველოს მიმართ იოტისოდენადაც არ განელებულა, არამედ კიდეც გამძაფრდა მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისი პოლიტიკური არჩევანი გააკეთა და შემდგომი აღმშენებლობისა და განვითარებისათვის ევროპული გზა აირჩია (ყოველგვარი შუამავლების გარეშე);

საქართველოსთვის სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის დასავლური გზის არჩევანი ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის მყარი გარანტიების შექმნას. დღეს კიდევ უფრო ნათელი ხდება, რომ სსრკ-ს ძირითადი სამართალმემკვიდრე - რუსეთი - ადვილად ვერ დათმობდა ამიერკავკასიის ისეთ მშვენიერ რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პარალელურად, ჩვენს ქვეყანაში იწყება ეთნოკონფლიქტების პროვოცირება და ომის გაჩაღება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მსგავსი კონფლიქტების პროვოცირების არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ამას ერთვოდა ეკონომიკური დივერსია და ბევრი სხვა სახის მავნებლობა, რაც საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია და ყველაფერი ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ საქართველოს უარი ეთქვა თავის არჩევანზე. დღეს, პრაქტიკულად, მოხსნილია კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყო აღნიშნული პრობლემების ავტორი. თუმცა, ერთი რამ აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ სხვის მიერ დადგმულ ტრაგიკულ სცენებში ისევ ჩვენ ვმონაწილეობდით ისე, რომ ბევრი ადამიანი ამას, შესაძლოა, ვერც კი აცნობიერებდა და როცა გავაცნობიერეთ, მოვლენების უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. დღესაც იგივე ხდება... ჩვენს თვალწინ ვითარდება ანტიქართული პოლიტიკური გეგმის საკმაოდ მზაკვრული ვარიანტი, რომელსაც რელიგიური ელფერი დაჰკრავს, მიზნად ისახავს რელიგიურ ნიადაგზე საზოგადოების დაპირისპირების წარმოქმნას საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიულ კურსთან. და, სამწუხაროდ, ამ ყოვლად დაუშვებელი დაპირისპირების პროვოცირება ხდება სწორედ ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ ანტიდასავლური ქადაგებებით (ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ეს ადამიანები გულწრფელად ფიქრობენ, რომ ეროვნულ საქმეს ემსახურებიან, მაგრამ ეს არ ცვლის მოვლენების არსს), რამეთუ მოქმედ სასულიერო პირთა ასეთი მოქმედება, უნდათ მათ ეს თუ არა, ფაქტობრივად, ეკლესიას წარმოაჩენს აღნიშნული პროცესების ავანგარდში (უკიდურეს შემთხვევაში, სულ მცირე, საეჭვოს ხდის მის პოზიციას) და, ფაქტობრივად, ხელს უწყობს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში კრიზისის მომწიფებას. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში მიღწეული იქნება ანტიქართული გეგმის ავტორის მთავარი მიზანი, რადგან მსგავსი რამ დამანგრევლად იმოქმედებს როგორც სახელმწიფოზე, ისე თვით ეკლესიაზე. მიმაჩნია, რომ დროულად უნდა იქნას გაკეთებული შესაბამისი დასკვნები თითოეული ჩვენგანისა და უპირველესად ამ სასულიერო პირების მიერ და გადაიდგას ის ნაბიჯები, რაც სახელმწიფოს და თვით ეკლესიას აარიდებს იმ საშიშროებას, რომელიც ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. საქართველოში არსებული ფუნდამენტალისტური ორიენტაციის ადამიანების დღეს უკვე ორგანიზაციულად მოწესრიგება და სხვადასხვა რეგისტრირებული კავშირების სახით ჩამოყალიბება წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ოფიციალური ეკლესიისა და სახელმწიფოს მიმართ. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება, ფართო საზოგადოებას აქტიურად განვუმარტოთ რელიგიური ფუნდამენტალიზმის რაობა და მისი სულიერი და პოლიტიკური ასპექტები, რათა ადვილი გასაგები გახდეს, თუ რა საშიშროებასთან გვაქვს საქმე სინამდვილეში და რომ ფუნდამენტალისტური ორიენტაცია ვერ მოხსნის იმ პრობლემებს, რომლითაც აპელირებენ ხოლმე ჩვენს მიერ ხსენებული ჯგუფის წევრები და მათი სულიერი ლიდერები, არამედ იგი წარმოადგენს რელიგიური ექსტრემიზმის წყაროს და ნიადაგს უმზადებს არც მეტი, არც ნაკლები, ტერორიზმს, რაც მოცემულ სპეციფიურ საკითხში ცნობილ კანონზომიერებას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს თემა ერთგვარად ტაბუდადებულადაც კი ითვლება, რის გამოც ბევრი ადამიანი არიდებს თავს მასზე საუბარს, რაც ამ საშინელების აყვავება-გაფურჩქვნას ხელსაყრელ გარემოს უქმნის. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე საუბრის მცდელობას ნამდვილად აქვს ადგილი ცალკეულ პირთა მხრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში საუბრის ტონი არის აგრესიული, ადგილი აქვს ხოლმე არაკორექტულობას ოპონენტთა მიმართ და კადნიერ დამოკიდებულებას ზოგადად ეკლესიის, წმინდა სინოდის, საქართველოს საპატრიარქოსა და თვით წმიდა წერილის მიმართაც კი. სამწუხაროდ, რიგით მორწმუნე ადამიანში (და არა მხოლოდ მასში) ეს იწვევს უკურეაქციას და შესაბამისად არაერთი მათგანი, რომელიც მანამდე უკიდურესად კრიტიკულად აფასებდა ფუნდამენტალისტების მოქმედებებს, ან ამ უკანასკნელთა მხარეს გადაიხარა, ან კიდევ თვით ეკლესიის მიმართ დაბრკოლდა. ვფიქრობ, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და ყველა ვითარებაში უნდა შევინარჩუნოთ ზომიერება, სიმშვიდე და კორექტულობა (მიუხედავად იმისა, თუ ვის ან რას ეხება საუბარი), რათა ადამიანს თავისუფალი და სწორი არჩევანის საშუალება დაუტოვო;



ბესო გულაშვილის ფოტო

*დღევანდელ ქართულ სახელმწიფოში ეკლესია ერის ერთიანობის მთავარ გარანტად მოიაზრება.*

**ეკლესია თავისი არსით არის უნივერსალური, ანუ მარად თანამედროვე ორგანიზმი და, აქედან გამომდინარე, მან ყველა დროსა და ეპოქაში უნდა იპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი და სიმაღლე.**

ქართული სახელმწიფო ძლიერი ვერ იქნება, თუ მას ძლიერი ეკლესია არ ეყოლა, ეკლესიას კი სულიერი და ფიზიკური ძლიერებისათვის სჭირდება ჭეშმარიტი რწმენისადმი ერთგულება და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, ჩვენმა წინაპრებმა იგი დღემდე უბიწოდ შემოინახეს, ხოლო საზოგადოების მხარდაჭერა სახეზეა, რამეთუ მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ნდობას უცხადებს ეკლესიას;

იმ შემთხვევაში, თუ იმძლავრა ფუნდამენტალისტურმა ორიენტაციამ (ან თუნდაც ლიბერალურმა), ეს არნახულ საფრთხეს შეუქმნის საქართველოში თვით მართლმადიდებლობას - როგორც მოციქულთა მიერ ნაქადაგებ რწმენას და ჩვენი ეროვნული ცნობიერების საფუძველს;

ხოლო, მოსახლეობის ის 80 პროცენტზე მეტი, რომელიც ენდობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, დიდად სათუთი და მოსაფრთხილებელია, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობაში სავარაუდოდ არიან არაქართველებიც და არამართლმადიდებლებიც და აქვე იმასაც დავსძენთ, რომ მართლმადიდებელი მოსახლეობის სულ რაღაც 6-7 პროცენტია ეკლესიური და სხვა დანარჩენი კულტუროლოგიურად და ნათლობით აკუთვნებს თავს მართლმადიდებელ ეკლესიას, ძნელი არ უნდა იყოს იმ დასკვნის გაკეთება, რომ რელიგიურ ნიადაგზე განვითარებულმა განსხვავებული აზრისადმი შეუწყნარებლობამ და აგრესიამ (და მთელი რიგი რეალობების გაუთვალისწინებლობამ), ადვილად შესაძლებელია, ეკლესიისადმი ნდობის მაჩვენებელი დასწიოს საგრძნობლად დაბლა და პირიქით კი მოხდეს, გაზარდოს უნდობლობის მაჩვენებელი - მით უფრო, რომ სავარაუდოდ, არსებობს ის ძალებიც, ვინც ამით დაინტერესებულიც კია. ასე რომ, მოდით, გულწრფელად ვაღიაროთ, რომ მართლმადიდებლობის დაცვას არავითარი საერთო არა აქვს აგრესიასთან, ხოლო ფუნდამენტალიზმი საქართველოს და მის მოქალაქეებს სიკეთეს ნამდვილად არ მოუტანს; შესაბამისად, არსებული ვითარების უყურადღებოდ დატოვება უკიდურესად მძიმე სინამდვილის წინაშე დაგვაყენებს და მხოლოდ ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ "მე რა შემეძლო", "მე რა შუაში ვარ", "აბა, მე რა უნდა მექნა" და ა. შ. ვერ შეამსუბუქებს უკვე მომხდარს. დავფიქრდეთ იმაზე, რომ მაშინ, როცა რუის-ურბნისის ძეგლისწერა იქმნებოდა, სახეზე იყო რელიგიური შემწყნარებლობის მართლაც უნიკალური ფენომენი. ხოლო რისი შეწყნარებაც ნამდვილად არ შეიძლება, ეს არის არაკომპეტენტურობა, ზნედაცემულობა და ბევრი სხვა რამ, რაც შეუფერებელია მართლმადიდებელი ადამიანისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. მოდით, ამ პრობლემებს დავუპირისპირდეთ. დღეს ჩვენ უმთავრესად აქცენტი უნდა გავაკეთოთ ურთიერთობისა და დიალოგის კულტურის ამაღლებისა და ჯანსაღი ეკლესიური ცხოვრების პროპაგანდის აუცილებლობაზე.

*დასკვნა*

**XX საუკუნეში საბჭოთა იდეოლოგიის მძიმე წნეხი არა მარტო თითოეულმა ადამიანმა და მთლიანად საზოგადოებამ, არამედ თვით ეკლესიამაც განიცადა და ბევრი რამ გვაქვს დღესაც დასაძლევი, რასაც სჭირდება დრო, მოთმინება და ქმედითი ნაბიჯები; ფაქტია, რომ დღეს ქართული სახელმწიფო და საზოგადოება გამოხატავს სურვილს და მზადყოფნას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და სხვადასხვა ევროპულ სტრუქტურებსა და მსოფლიო ორგანიზაციებში გაერთიანებისათვის. მავანთა მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მრევლის წინაშე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დასავლური სტრუქტურების საქართველოსადმი მტრულ ძალად წარმოჩენა ნიადაგს უმზადებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესთა დაპირისპირებას, რაც ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. ვფიქრობ, რომ მონდომების შემთხვევაში, ჯერ კიდევ შესაძლებელია შექმნილი პრობლემის უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად დაძლევა. ძალა ერთობაშია; სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების ერთობას კი ნამდვილად შეუძლია, ქვეყნის მრავალმხრივ განვითარებას და უსაფრთხოებას შეუქმნას მყარი გარანტიები, რათა ჩვენს მომავალ თაობებს "დაწყნარებული და მყუდრო ცხოვრება აქუნდეს ყოვლითა კეთილმსახურებითა და პატიოსნებითა", ამინ!**

თუ სამოთხეში მოხვედრა მოგინდათ



B2

ინგლისური კინორეალიზმი



B3

კლინტონის „ჩემი ცხოვრებიდან" ამოშლილი ქალები



B7

# ექსპედიცია თურქეთის საქართველოში



ხანძთა.



ბასიანის ველი.



ხახული.

ქართული კულტურა წარმოუდგენელია იმ ხუროთმოძღვრული ქმნილებების გარეშე, რომლებიც, ბედისწერის გამო, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. ოშკი, ხახული, იშხანი, ბანა, ოთხთა ეკლესია თუ პარხალი მსოფლი კულტურის საგანძურის ნაწილია.

12-18 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენთა ჯგუფი, ჯაბა სამუშიას ხელმძღვანელობითა და დახმარებით, "თურქეთის საქართველოს" ეწვია. ექსპედიციის მიზანი ამ რეგიონში არსებული ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მონახულება და ხანძთის სავანის დასუფთავება იყო.

ექსპედიცია თავდაპირველად ბანას ტაძარში გაჩერდა. ეს უნიკალური ძეგლი დღეისათვის უკვე დანგრეულია. თავისი არქიტექტურით იგი განსხვავებულია თვით ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაშიც. ბანა საუკუნეების მანძილზე ანცვიფრებდა მნახველს, დღეს კი იგი შველას ითხოვს.

ამის შემდეგ ექსპედიციამ ქალაქი ოლთისი და მისი ცნობილი ციხე მოინახულა. დავით კურაპალატის დედაქალაქში ამჟამად ქართველები აღარ ცხოვრობენ. ოლთისის ციხეში საუკუნეების მანძილზე არსებული ცნობილი ეკლესიის მაგიერ, ამჟამად მუსულმანთა სალოცავია, რომელშიც ერთ-ერთი უცნობი წმინდანია დასაფლავებული.

ოლთისიდან გზა ბასიანის ველისაკენ ავიღეთ. ეს ადგილი ქართველთა სამხედრო წარმატების ნიშანსვეტია. რვა საუკუნის წინ ეს ადგილები ერთ-ერთი უდიდესი ომის მნახველი გახდა.

ამის შემდეგ იყო არზრუმი, თორთუმის ციხე, ხახული, ოშკი, იშხანი. გზად უზუნდერეში, ოშკის ტაძარში, ერთი წლის წინ აღმოჩენილი დავით კურაპალატისა და ბაგრატ კურაპალატის გამოსახულებიანი ქვები მოვინახულეთ. 2003 წლის ოქტომბერში ერთ-ერთ ამ ქვაზე ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ მანამდე უცნობ წარწერას მიაკვლია. მას განზრახული ჰქონდა, თურქეთის მხარესთან შეთანხმებით, მათი გამოთავისუფლება. ჯაბა სამუშიას ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნული ქვები კედლიდან გამოიტანა მკვლევარმა ვ. სილოგავამ. ამ დროს ძველი მეჩეთის კედელი დაინგრა, რის გამოც ქვები ჟანდარმერიაში გადაიტანეს. ამჟამად ეს უნიკალური ქვები მარტოსულად დგას უზუნდერეს ჟანდარმერიის ეზოში.

არტანუჯის ციხის მონახულების შემდეგ, ექსპედიცია ხანძთაში ავიდა. ეს ძეგლი დანგრევის პირასაა. ეზო და ინტერიერი ბალახს დაუფარავს. თითქმის მთელი დღე ხანძთის დასუფთავებას დაეთმო. ბალახისაგან კი გათავისუფლდა გრიგოლ ხანძთელის სავანე, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია...



იშხანი.



ოშკი.



დოლისყანა.

ამბები

## გასტროლებზე აჭარაში

პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დასი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეწვევა და ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ხუთ სპექტაკლს წარმოადგენს. თეატრალიზებული აქციის სახელწოდებაა „გამარჯვებულ აჭარას მიესალმება ოთხი საერთაშორისო გრან-პრის მფლობელი პანტომიმის თეატრი". გასტროლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 6.950 ლარით დააფინანსებს.

როგორც პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დამაარსებელმა ამირან შალიკაშვილმა (უფროსი) განაცხადა, ბათუმის თეატრში სპექტაკლების დასრულების შემდეგ, დასი ეწვევა ხულოსა და ქობულეთს, სადაც პანტომიმის ადგილობრივი თეატრის მსახიობები სტუმრებთან ერთად, საკონცერტო პროგრამას შეასრულებენ.

აჭარაში დაგეგმილ გასტროლებზე, რომელიც 31 აგვისტოდან დაიწყება, წარმოდგენილი იქნება სპექტაკლები: " "დონ ჟუანი", "კრიმანჭული", "სტუმარ-მასპინძელი", "ფიროსმანი-მეფე" და პანტომიმური ნოველები "ოცნება და სინამდვილე". გასტროლები ერთი კვირა გაგრძელდება.

*მედია-ნიუსი*

## დელეგაცია იყალთოში

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დელეგაციამ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII) დაათვალიერა.

როგორც მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა, კომპლექსში შექმნილი ვითარება და ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა ჯერჯერობით საგანგაშო არ არის, თუმცა თუ პრევენციული ღონისძიებები დროულად არ განხორციელდება, შესაძლოა სავალალო შედეგი მივიღოთ. სამონასტრო კომპლექსის წყალგაყვანილობისა და სადრენაჟე სისტემები მწყობრიდან გამოსულია, ხოლო ქედებიდან ჩამომდინარე წყლებმა, შესაძლოა, შენობების დაზიანება გამოიწვიოს.

პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება საქართველოს საპატრიარქოს ალავერდის ეპარქიამ იკისრა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროც გეგმავს.

*მედია-ნიუსი*

## კურიოზი მუზეუმში



ეს არასასიამოვნო კურიოზი გერმანელ მხატვარს ლონდონში დაემართა. ბრიტანეთის თანამედროვე ხელოვნების ცნობილი გალერეის, "ტეიტის" დამლაგებელმა სანაგვეში გადაუძახა ცნობილი მხატვრის ნამუშევარს, რომელიც, რატომღაც ნაგავი ეგონა. პოლიეთილენის პაკეტში გახვეული, კარდონისა და ქაღალდისგან დამზადებული ექსპონატი მართლაც, გადასაგდებად გამზადებულ ტომარას ჰგავდა. ამიტომაც, დამლაგებელი წამითაც არ დაეჭვებულა და ასეც მოიქცა. შედეგად კი ექსპონატი დაიშალა. რას წარმოიდგენდა ქალბატონი მოპსი, რომ პაკეტში გახვეული მისთვის უცნობი მასალა, გერმანელი მხატვრის დამზადებული ინსტალაციის ნაწილი იყო. "ავტოდესტრუქციული ხელოვნების პირველი საზოგადოებრივი დემონსტრაცია", - ასე ერქვა გუსტავ მეცგერის ნამუშევარს, რომელიც გალერეის დამლაგებელმა გადააგდო. ამ ყველაფრის შემდეგ, 78 წლის მხატვარი იძულებული გახდა სასწრაფოდ შეექმნა განადგურებული ნამუშევრის შემცვლელი. ამას გარდა, გალერეის ხელმძღვანელობამ მეცგერს მორალური ზარალისთვის კომპენსაციაც (რაოდენობა უცნობი რჩება) გადაუხადა.

## მოიკითხეთ ახალი ბიორკი



ჩრდილოეთის პატარა ქვეყნისთვის კარგა ხანია, რაც ბიორკ გუდმუნსდოტირის შემოქმედება ძირითადი მუსიკალური საექსპორტო პროდუქტია. პოსტ-პანკური Sugarcubes-ის რიგებში, ჯერ კიდევ 1988 წელს, მასების ცნობიერებაში დარეგისტრირებულმა, 1993 წელს გამოსცა სოლოალბომი "დებიუტი", რომელიც მილიონობით ეგზემპლიარი გაიყიდა.

სახელწოდების მიუხედავად, ეს ჩანაწერი ბიორკისთვის არ შეიძლება სადებიუტოდ მივიჩნიოთ, რადგანაც დებიუტი ისლანდიელ გოგონას 11 წლის ასაკში ჰქონდა. მართალია, ამ ჩანაწერის ტირაჟი ისლანდიის მუსიკალური ბაზრისთვის იყო გათვლილი, მაგრამ მაინც... სამართლიანობა უნდა დავიცვათ.

ბიორკის ახალი ალბომი Medulla, ვოკალური შესაძლებლობებისა და ძიებების პოლიგონად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ არამხოლოდ ბიორკის, არამედ ჩანაწერზე მიწვეული მუსიკოსებისთვისაც. სტუმრებს შორის კი არიან: ტანი ტაგაკი და ერთ დროს Faith No More-ის შემადგენლობაში მყოფი მაიკ პატონი. ალბომის გამოსვლისთანავე, პრესაში უკვე გაჩნდა მოსაზრებები, თითქოს, სახელგანთქმული ისლანდიელი მომღერალი ახალს არაფერს სთავაზობს მსმენელს. თუმცა, ყველაფერს მაინც სჯობს ალბომის შეძენა და არა სხვათა მოსაზრებების ზეგავლენის ქვეშ ყოფნა.

# თუ სამოთხეში მოხვედრა მოგინდათ

თამარ ამაშუკელი



ადრე ისე უბრალოდ კი არ აგებდნენ, "გრძნობით ანთებდნენ" და წლებს გადასცემდნენ, როგორც ნიკორწმინდას.



რატომ გადავწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ახლა უნდა ავაშენოთ ყველაზე დიდი მონასტერი და ისიც აუცილებლად თბილისის თავზე.



მონასტრები კი ისევ გარინდულნი დგანან და უკვე მერამდენე წელია გვიხმობენ: სადა ხართ, სადა ხართ, სადა ხართ?

მშენებლობის მანია რომ დიდი ხანია შეგვეყარა, ეს უკვე ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ჯერ იყო და მთელ სახელმწიფოს ლოჯები მივუშენეთ, მერე ესეც არ ვიკმარეთ, ძველ სახლებს დავერიეთ და მთელი თბილისის "ნუცუბიძედ" ქცევა გადავწყვიტეთ. მერე მშენებლობამ ისე გაგვიტაცა, რომ საერო ნაგებობებით სამშობლოს დამახინჯება არ ვიკმარეთ და ახლა სასულიეროს მივადექით. და დაიწყო "ფართო მასშტაბიანი" მშენებლობები ყველგან, სადაც შეიძლება და არ შეიძლება. დოლიძის დასაწყისში, ხილიანის ბოლოში, ნუცუბიძის I, II, III კვარტლებში, გლდანის გადასახვევსა თუ გადმოსახვევში, მისახვევსა თუ მოსახვევში, მოკლედ, ყველგან დაწყებული თუ დასრულებული ეკლესიები სოკოებივით მომრავლდა. მერე რა არის ამაში ცუდიო, მკითხავენ?- ცუდი არაფერია, თუ მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა. და მერე ვინ თქვა, რომ ეკლესიათა ასეთი სიმრავლე რწმენის გამსაზღვრელიაო. ყოველ უბანს, ქუჩას და მალე ეზოსაც, რომ საკუთარი ეკლესია ექნება, ვცხონდებით? - არა მგონია. ადრე რამდენიმე სოფელს ერთი საერთო ეკლესია ჰქონდა და ეკლესიასაც ამიტომ უკეთდებოდა რამდენიმე კარი. თითოეული კარი თითო სოფლისა იყო. ადრე ეკლესიაში წასვლა რიტუალი იყო და ცოტა ძალისხმევასაც მოითხოვდა, ანუ ერთი სოფლიდან მეორეში, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში უნდა წასულიყავი. ახლა კი აქვეა "ახლოში", გადაირბენ და გადმოირბენ.

ახლა საქართველოში ახალი მოდაა, მოდა ეკლესიების მშენებლობისა. ჩვენში ხომ მოდა არსებობს, არა მარტო სამოსის, არამედ საჭმლის, სიგარეტის, რესტორნის, კაფესი, მწერლის, პოეტის, უბნის... მერე რა, რომ ყველას ერთნაირი გემოვნება არა აქვს. ჩვენთან ახლა მოდაშია ყველას დასანახად პირჯვრის გადაწერა. მაღაზიების, სუპერმარკეტების, რესტორნების კურთხევა. ახლა თავმოყვარე კაცი უკურთხებელ რესტორანში პურს არ შეჭამს. სამარშუტო ტაქსებში კი ატეხილი პირჯვრის წერა, თქვენი არ ვიცი და მე კი ნამდვილად დისკომფორტს მიქმნის, რადგან ჩემი თავი ყველაზე ნაკლებ მორწმუნე მგონია. ახლა ერთი ეკლესია თუ არა გაქვს კაცს აგებული, აბა ისე რა კაცი ხარ, და ეს მაშინ, როცა ძველი ეკლესია-მონასტრები ლამისაა თავზე დაგვენგრეს. აგერ ჩვენი ნაქები და საამაყო აწყურის ციხიდან ნანგრევებიღა შემოგვრჩა და ცოტა ხანში ისიც აღარ იქნება, თუ არ მივხედეთ. ქართული ხუროთმოძღვრების VII საუკუნის უნიკალური ძეგლის ატენის სიონის საყრდენი კედელი გამოინგრა, წყლის ჩაჟონვის გამო კი ცვენა დაიწყო XI საუკუნის ფრესკებმა. XIII-XIV საუკუნეების ულამაზესი ძეგლი თისელის სამონასტრო კომპლექსს მალე ალბათ "ბალახი შეჭამს" და მერე ვიკითხოთ ვინ შეჭამა თისელიო? ვარძიას გაზაფხული და შემოდგომა, წვიმა და თოვლი ემუქრება. იყალთოს დანგრევა, სამშვილდეს კი განადგურება, ჩვენ კი მოდას აყოლილები "კონვეიერული სისტემით" ახალ ეკლესიებს ვაშენებთ. უბრალოდ საოცრებაა როგორ იტევს ერთი ბეწო საქართველი, ამდენ "ფულიან" და თანაც თავგადადებული მორწმუნეს.

ჩვენი წინაპრები ეკლესიის სტილზე დიდხანს ფიქრობდნენ, უფრო დიდიხანს კი აშენებდნენ. ვიღაც წლობით იჯდა და რელიეფში საოცრებას აქანდაკებდა და შემდეგ მისი შექმნილი ვიღაცას ლექსს აწერინებდა. ვიღაცას ხელს აჭრიდნენ, ესაო და მეორე სვეტიცხოველი არ ააგოსო. ყოველი ეპოქა რაღაცას ცვლიდა, თუნდაც ერთ დეტალს, ფანჯრის მოხაზულობასა თუ სვეტის თავს. მერე ამ სვეტის თავიდან თუ სარკმლის მოხაზულობიდან, მეცნიერები უამრავს იგებდნენ. დღეს კი იგივე კომპანია, რომელიც მაღალსართულიანი კორპუსებით თბილისს ამახინჯებს, ეკლესიასაც აგებს და თავს არ იწუხებს რელიეფზე, სვეტის თავზე, კანკელებზე, ახალ ფორმებზე, გარემოსთან სინთეზზე. აღარავინ არჩევს ქვას, აღარავინ ეძებს ყინწვისის ანგელოზის ცისფერს, აღარავინ ცდილობ ქვა გააცოცხლოს და არავინ ცდილობს სამოთხის ნაწილი მიწაზე განათავსოს. უბრალოდ ვიღაცა სამოთხეში ადგილის "დაჯავშნას" ერთი "კარგი" ეკლესიის აგებით ცდილობს და მეტი არაფერი.

ადრეც ბევრს აშენებდნენ და ზოგს მაშინაც სვეტიცხოველი გამოსდიოდა, ზოგს კი არა. ზოგმა ჟამთა სვლას გაუძლო და ზოგმაც ვერა. ალბათ მეტყვიან ახალი "ხუროთმოძღვრები" - ხელოვნებას დრო, დისტანცია სჭირდებაო, ახალს, ნოვატორულს კი შეჩვევა-შეგუებაო. გეთანხმებით, მაგრამ რა არის ახალი თქვენს არქიტექტურაში? თქვენ, არსაკიძის კოლეგებო, ხომ მხოლოდ ძველის ასლს და იმასაც უსახოს აკეთებთ. მითხარით, მაჩვენეთ რა არის ახალი, რა არის ის, რითაც XXV საუკუნეში XXI ვიამაყებთ. რა არის ახალი თქვენს არქიტექტურაში, გარდა დამახინჯებული, ვიღაცის კომფორტს შეწირული ძველი თბილისისა და ყოველ ასახვევ - ჩასახვევში მხოლოდ ზომით განსხვავებული ეკლესიებისა. განა ამით მოიწონებს თავს XXI საუკუნის ხუროთმოძღვრება.

იქნებ ეს ელიას მთაზე მშენებარე სამების მონასტერია?! სადაც, ჩემი აზრით, მთლიანად დაირღვა ქართული არქიტექტურის ძირითადი პრინციპი: გარემოსთან სინთეზი, მასთან შერწყმა თუ, როგორც გალაქტიონმა თქვა, მასში "მიჰკარგვ-მოჰკარგვა." ზუსტად ამ სინთეზმა შექმნა ჯვრის მონასტერი, რითაც აგერ უკვე 15 საუკუნეა ვამაყობთ. სამების მონასტერი კი ჩვენს პატარა, მიხვეულ–მოხვეულ თბილისს თავზე ადგას და თითქოს "არც მიწისაა და არც ცისა". რატომ გადავწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ახლა უნდა ავაშენოთ ყველაზე დიდი მონასტერი და ისიც აუცილებლად თბილისის თავზე. თბილისისა, სადაც ყველაფერი პატარა, ერთმანეთში გადახლართული და არქიტექტურულად შერწყმული იყო. რატომ გადვწყვიტეთ, რომ თბილისს მაღალსართულიანი, დიდი ვარდისფერი სახლები და დიდი ეკლესიები მოუხდება!

საპატრიარქო კი რატომღაც კურთხევას აძლევს და თვალებს ხუჭავს ყველაფერზე. ნუთუ ამდენი, ღმერთო მაპატიე და, უსახო ეკლესიების შენებას არ სჯობია ერთი ან რამდენიმე კარგი ეკლესია ავაშენოთ? არ სჯობია ძველის გვერდზე, ახალი კი არ ავაშენოთ, არამედ იმ ძველს მივხედოთ. ნუთუ ეს ნაკლები მადლია. ნუთუ ეკლესიის აშენებით ისაზღვრება რწმენა, ან იქნებ რაოდენობას აქვს მნიშვნელობა.

ადრე კი ისე აგებდნენ, რომ სიზმარი გეგონებოდა. ადრე "მკვეთრი და მოქნილი ხაზთა დასრულება" ვიღაცისთვის "ნატვრის ასრულება" იყო. ადრე ისე უბრალოდ კი არ აგებდნენ, "გრძნობით ანთებდნენ" და წლებს გადასცემდნენ, როგორც ნიკორწმინდას. ადრე ასე იყო, ახლა კი არავინ იცის, ვინ, რას და როგორ აგებს. მთავარია, რომ აგებს და ამით ფიქრობს, რომ სამოთხის "ბილეთს" ყიდულობს.

საპატრიარქო კი ისევ დუმს და ბოლოსდაბოლოს მის საკუთრებაში გადასული ეკლესია-მონასტრების აღდგენის ნაცვლად, კურთხევას ახალ უსახურ ეკლესიათა აგებას აძლევს. ჩვენი ნაქებ-ნადიდები ეკლესია - მონასტრები კი ისევ გარინდულნი დგანან და უკვე მერამდენე წელია გვიხმობენ: სადა ხართ, სადა ხართ, სადა ხართ?

# ინგლისური კინორეალიზმი

## "სუსტი" პროტესტი ტეტჩერს და ჰოლივუდს

ქეთი ჯანელიძე

**ინგლისურ კინოში რეალიზმის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზები და საფუძვლები**

80-იან წლებში, როცა სახელმწიფომ კინოს დაფინანსებაზე, ფაქტობრივად, უარი თქვა, ინგლისურმა კინემატოგრაფმა, თავი სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა. "რკინის ლედიმ", - მარგარეტ ტეტჩერმა, კინემატოგრაფის სახელმწიფო დაფინანსება მაქსიმალურად შეამცირა, მოახდინა სტუდიების პრივატიზაცია და მიანიშნა, რომ ფინანსურად წარუმატებელი კინოპროექტების მხარდაჭერას არ აპირებს. კინოს მოღვაწეები უამრავ საპროტესტო წერილს წერდნენ და სხვადასხვა გზებით ბრძოლას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ.

სწორედ ამ პერიოდში, ფაქტობრივად, გროშების ფასად, თავისი საუკეთესო სურათები გადაიღეს კენ რასელმა, პიტერ გრინუეიმ, დერეკ ჯარმენმა.

სიტუაცია მხოლოდ 1997 წელს შეიცვალა, როცა მიიღეს ცნობილი კანონი კინემატოგრაფისათვის შეღავათების შესახებ, რომლის თანახმადაც, ბრიტანულ კინოწარმოებაში ჩადებული ფული საერთოდ თავისუფლდებოდა გადასახადებისგან.

სამი წლის განმავლობაში, ბრიტანულ კინოში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა ათმაგად გაიზარდა, ისტორია გამეორდა და ინგლისურ კინოში ამერიკული ინვესტიციები ისევ ჩაიდო. ამერიკულმა სტუდიებმა გაბედეს და ერთობლივი მასშტაბური პროექტების წარმოება დაიწყეს. ინგლისურ სტუდიებში კი, თავბრუდამხვევი მრავალმილიონიანი ბლოკბასტერების გადაღება. "ლარა კროფტი" ანჯელინა ჯოლის მონაწილეობით და ახალგაზრდა ჯადოქარი "ჰარი პოტერი" ბრიტანული ექსპორტის კოზირად იქცა.

დიდი ინვესტიციების მოზიდვის მიუხედავად, ბრიტანული კინო კვლავაც, არც ისე მდიდარია. 7,5 მლნ დოლარი ფილმისთვის ნორმალურ ბიუჯეტად ითვლება. ამასთან, ინგლისში სამუშაო ძალა ევროპაში ყველაზე ძვირადღირებულია, კინოწარმოების ფასი კი თითქმის ისეთივეა, როგორიც ამერიკაში.

რა რჩებათ რეჟისორებს? მხოლოდ ექსპერიმენტირება. ჯერ კიდევ ტეტჩერის მმართველობის პერიოდში, როცა ჯარმენი თავის შედევრებს 200 ათას ფუნტად ქმნიდა, ნათელი გახდა, რომ ყველაზე იაფფასიანი კინოში რეჟისორის ფანტაზიაა. ამის შესახებ შესანიშნავად იცის მაიკ ფიგისმა, რომლის "სასტუმროც" 2003 წლის სენსაციად იქცა, იცის მაიკ ლიმ, რომელიც თავის ფანტაზიას ნაცრისფერი გარეუბნებით ავსებს, რომელიც თავის მსახიობებთან ერთად ლონდონის გარეუბნებში დეკორაციისთვის ყველაზე უკაცურ და შემზარავ ადგილებს ეძებს.

შეღავათები არც მაიკ ლიზე, არც კენ ლოუჩზე, არც მაიკ ფიგისზე არ ვრცელდება. ინვესტორებს ინვესტიციების "უსაფუძვლოდ გაფლანგვა" აღარ აწყობთ...

ამ რეჟისორების მთავარი გმირები ნარკომანები და ნარკოდილერები, ტაქსისტები და ლოთები, რთული მოზარდები არიან, თუმცა მსგავსი მარგინალები არ წარმოადგენენ ერთადერთ სოციალურ ჯგუფს, რომელიც ამა თუ იმ რეჟისორს ყოველთვის იზიდავდა. იზრდება მოთხოვნილება სურათებზე ნაციონალური უმცირესობების ცხოვრებიდან, რა თქმა უნდა, ყოფილ მეტროპოლიაში ამ უმცირესობის მომრავლების შედეგად, - "გააკეთე, როგორც ბეკჰემმა" ინდოელი გოგონას და მისი ოჯახის ინგლისში ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ინგლისურმა იუმორმა და ინდურმა გულისამაჩუყებელმა გრძნობებმა მარტო ბრიტანეთში 17,7მლნ დოლარი შეაგროვა, - რაც რეკორდული თანხა იყო ბრიტანული კინოსთვის.

ერთი სიტყვით, უზარმაზარმა ინვესტიციებმა რეჟისორების ერთ ნაწილს მაღალი ჰონორარები, მეორეს კი ახალი თავის ტკივილი მოუტანა. პროდიუსერებს თავბრუს ახვევს "ჰარი პოტერის" მრავალმილიონიანი შემოსავლები, ისინი მხოლოდ კომერციულ წარმატებზე არიან ორიენტირებული და აღარც ფიგისის, არც მაიკლ უინტერბოტომის, არც ლის ექსპერიმენტებსა და ფანტაზიებს ადგილი აღარ რჩებათ.

ინგლისელმა რეჟისორებმა გულისამაჩუყებელი, სასიყვარულო ისტორიების საინტერესოდ თხრობა ისწავლეს, მაღალი დონისაა მონტაჟიც, კასტინგიც, ანტურაჟიც. ყველაფერი ჰოლივუდური სიზუსტითაა გათვლილი; ამასთან, არც "ინგლისური სულის კოლორიტი" იკარგება. ფართო მასების მისაზიდად ყველაფერი გათვლილია, რაც დღეს ინგლისური კინოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა და გასაკვირი არ არის, რომ მაიკ ლის და მის თანამედროვე რეჟისორებს ნამდვილი რეალობის ასახვის სურვილი უჩნდებათ.

ინვესტორებს კი რისკი არაფრად სჭირდებათ და შესაბამისად, რეჟისორის ინიციატივაც ისჯება. ამ კლიმატში, სულ რამდენიმე წლის წინ წარმატებული დებიუტის მქონე რეჟისორები უბრალოდ იკარგებიან: თუნდაც დემიენ ოდონელის "აღმოსავლეთი აღმოსავლეთია" (1998) და "ქვეყანა, სადაც გულები ისვენებენ" (2003), რომ შევადაროთ, სწორედ ზემოხსენებულ პრობლემას წავაწყდებით. თუმცა, არც უფროსი თაობის რეჟისორებს ულხინთ: "სასტუმროს" გაქირავებაში ჩავარდნის შემდეგ, ფიგისი ახალი ფილმის გადაღებებისთვის ფულს ვერ შოულობს. ინვესტორები რომ არ დააფრთხონ ლი და კენ ლოუჩი იძულებულნი არიან ძველ ნოუ-ჰაუს გაუწიონ ექსპლუატაცია. პროდიუსერები კი ახალ ფილმებში პოლიტკორექტულობისა და "კარგი გემოვნების" ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

ჯარმენის გახსენებისას, მისი საყვარელი მსახიობი, ტილდა სუინტონი აღნიშნავდა: "ხელოვნება ნელ-ნელა გართობად გარდაიქმნება, "კარგი გემოვნება" კი თავისი მკვდარი ხელით კაცობრიობის დახრჩობას ცდილობს".

ფიგისს ჩვენ არა მარტო ოსკაროსანი სურათით "ლას-ვეგასის დატოვებისას", არამედ ფილმით "დროის კოდი" ვიცნობთ, სადაც პირველად გამოსცადა ეკრანის 4 ნაწილად დაყოფა და სადაც მოქმედებები ერთდროულად ვითარდება. "სასტუმროშიც" არის ასეთი ეპიზოდები, თუმცა არც ისე ხშირად. ეს ხერხი, შესაძლოა, ბევრისთვის გაუგებარი და აღუქმელი იყოს, თუმცა ოთხეკრანიანი ეპიზოდების ყურებისა და აღქმის რეცეპტი საკმაოდ მარტივია: უნდა გავიგოთ ეკრანის რომელ სექტორში საუბრობენ პერსონაჟები და მხოლოდ ამ სექტორს უნდა ვუყუროთ, იქ ყველაზე მთავარი ხდება, დანარჩენი სამი სექტორი ეფექტურ ვიდეო რიგზე თამაშობს. ფიგისმა, "სასტუმრო" ციფრული კამერით გადაიღო, ამიტომ გიწევს თვალყური ადევნო მის მოძრაობას და კამერაც გიპყრობს. მაყურებელი, თითქოს, თავად დაიარება ვენეციის ქუჩებში, გონებაარეულ "კინოშნიკებსა" და საიდუმლო განგსტერებს შორის. თუმცა, სიუჟეტში უცებ გარკვევა არც ისე ადვილია. არც ისე მალე, ვენეციის თავბრუდამხვევ, ქაოტურ ხედებში და კინოვარსკვლავების ცნობილ სახეებს შორის (კიარა მასტროიანი, ჯულიან სენდზი, სელმა ჰეიეკი) იკვეთება ამბავი კინორეჟისორზე, რომელიც ჯონ უებსტერის "ამალფის" საკუთარი ვერსიის გადაღებას აპირებს.

მაიკ ფიგისთან ერთად, ფორმალისტად, მაიკ ლის კიდევ ერთ თანამედროვეს, ევროპული ფესტივალების ხშირ ვარსკვლავს, მაიკლ უინტერბოტომსაც ასახელებენ, ახალი ფორმებით ექსპერიმენტებს ისიც ატარებს. კინოში მოღვაწეობა, როგორც დოკუმენტალისტმა დაიწყო და დღესაც ურჩევნია, რეალური ისტორიების მიხედვით გადაიღოს. ამის გამო ხშირად მისი ფილმები, შეიძლება ითქვას, კონიუნქტურულიცაა. თუმცა ხშირად, ეპოქის სიცოცხლით სავსე სუნთქვას გრძნობს, "დღედაღამ დროისმატარებლები" ამის ნათელი მაგალითია...



შესაძლოა, მაიკ ლის არჩევანის ერთ-ერთი მიზეზი, ისიც არის, რომ მაყურებელს ხშირად ბეზრდება ლამაზი ზღაპრების ცქერა და ხანდახან რეალობაში დაბრუნებაც სჭირდება.

**და მაინც, რა არის ინგლისურ კინოში რეალიზმის წარმოქმნის მიზეზი და აქვს თუ არა ამ გარემოში შემდგომი არსებობის შესაძლებლობა?**

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დღევანდელობაში მოდა რეალიზმზე ბრიტანელებმა შემოიტანეს. 1996 წელს კანის კინოფესტივალის "პალმის რტო" მაიკ ლის "საიდუმლო და ტყუილიებმა" მოიპოვა. 2002წ. კი მან "ყველაფერი ან არაფერი" გადაიღო, რომელსაც ზოგიერთი კრიტიკოსი "საიდუმლო და ტყუილების" “ახალ ვარიაციას" უწოდებდა. ლი იმ ღარიბ ადამიანებზე იღებს, რომლებიც მრავალბინიან სახლებში ე.წ. "ღარიბ უბნებში" ცხოვრობენ, სადაც საღამოს ან გაგძარცვავენ, ან მოგკლავენ. აქ მძიმე სამუშაოს ასრულებენ, არაფერს კითხულობენ, ხშირად ავადმყოფობენ და არაფრის იმედი არა აქვთ. მაიკ ლის ირონიის მიუხედავად, იგრძნობა, რომ რეჟისორს უყვარს თავისი გმირები, რაც მაყურებლის თანაგრძნობის და ცრემლის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. ასეთი პრობლემები თითქმის ყველა ქვეყნის კინემატოგრაფს აქვს და ინგლისი არც ისე ცუდ მდგომარეობაშია. ყველას უჭირს კონკურენცია გაუწიოს ჰოლივუდის დიდ ქარხანას, რომლის არსებობაც ყველაფრის მიუხედავად, გარკვეული ბალანსის და შედარების უნარისთვის, ალბათ აუცილებელიცაა.

ინგლისურ კინოს, კრიტიკოსები ხშირად "გამოუყენებელი შესაძლებლობების კინემატოგრაფს", "მთვლემარეს" უწოდებდნენ; თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ინგლისშიც მხოლოდ ერთეულები იჩენდნენ თავს, რომლებსაც ყველაფრის მიუხედავად ჰქონდათ და აქვთ უნარი, გამოთქვან ინდივიდუალური აზრი.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის მსგავსად ინგლისურენოვან ამერიკას, მით უმეტეს არ უჭირდა და არ უჭირს ბრიტანული კინობაზრის დაპყრობა, არსებობდნენ ჯარმენი და გრინუეი, არსებობენ მაიკ ლი, მაიკ ფიგისი, უინტერბოტომი, ლოუჩი და ასეთ თუ ისეთ პირობებში ახალი სიტყვის თქმას მაინც ახერხებენ.

რა გახდა მაიკ ლის ასეთი აქტიური ინტერესის ძირითადი მიზეზი - ღარიბი, დაუცველი ადამიანების მიმართ? კინოს ისტორიაში რეალიზმის სხვადასხვა სახით გამოჩენის ლოგიკური განვითარება, თუ სიღარიბის ის მიმალული რეალობა, რომლის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად აღქმას, ტელევიზიის და დიდი ეკრანებიდან ასეთი დიდი ძალისხმევით გვაიძულებენ? ან იქნებ ღარიბი ადამიანების დრამის აღწერას მიზეზი უბრალოდ არ სჭირდება?!

შესაძლოა, მაიკ ლის არჩევანის ერთ-ერთი მიზეზი, ისიც არის, რომ მაყურებელს ხშირად ბეზრდება ლამაზი ზღაპრების ცქერა და ხანდახან რეალობაში დაბრუნებაც ჭირდება, ისევე როგორც 60-იანებში რეჟისორებმა სოციალური გმირის გამოკვეთით, მაყურებელი, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც მიიზიდეს, ვინაიდან მათ მოსწონთ, როცა საკუთარი თავის, - ეკრანის გმირთან გაიგივება შეუძლიათ. დღესაც გვჭირდება, რომ ეკრანიდან შემოთავაზებულ რეალობაში, საკუთარი რეალობა დავინახოთ და არ დავკარგოთ პროტესტის გამოხატვის სურვილი.

# ჰოლივუდელი მიცვალებულების მეორე ცხოვრება

## როგორ ვითარდება სასაფლაოს ბიზნესი კინოს მექაში

მადი სერებრიაკოვა

რას არ ნახავ ჰოლივუდში?! ჰოლივუდელი მკვდრებიც კი განსაკუთრებულები არიან და სიკვდილის განსაკუთრებული პირობებით სარგებლობენ. ჰოლივუდის სასაფლაო Forever-იდან ღამ-ღამობით ყვირილის, მუსიკისა და სროლის ხმა ისმის. არა იმიტომ, რომ ჰოლივუდელი მიცვალებულები ვერ პოულობენ საფლავში მოსვენებას. უბრალოდ, ჰოლივუდში გარდაცვლილი ვარსკვლავებითაც ბიზნესი კეთდება. სასაფლაოს მეპატრონემ Forever-ში კინოს საღამოების მოწყობა დაიწყო. ჰოლივუდის კლასიკური ფილმები პროექტორით ერთ-ერთი მავზოლეუმის კედელზე პროექცირდება. კინოს საღამოები მიცვალებულების სამყოფელში ყოველ ღამე 1700 მაყურებელს მასპინძლობს. საფლავების გვერდით აქ სკამები, მაგიდები და პიკნიკის კალათებიც მშვენივრად გრძნობენ თავს.

კინოს საყურებლად მოსული 1700 მაყურებლის გარდა, შოუში მუდმივ თანამონაწილეობას სასაფლაოს 88 000 მუდმივი ბინადარი იღებს. მარადისობას შეერთებული რუდოლფ ვალენტინი, სესილ დე მილი და სხვები, საკუთარი ფილმების მუდმივ პრომოუტერებად გვევლინებიან და მათ სახელებსა და სახეებს იქითა სამყაროდანაც წარმატებით იმოწმებენ ამ დიდიბული ბიზნესის ავტორები. რა გასაკვირია! რას სჯობია, როცა მსახიობის საფლავის ქვაზე ჩამოჯდები და მის შემოქმედებას იქიდან მიადევნებ თვალყურს.

სასაფლაო Forever-ის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ იგი Paramount-ის სტუდიას ემიჯნება. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად იზიდავს ნეკროფილთა, ან უბრალოდ, კინოს მოყვარულთა არმიებს. თუმცა ყოველთვის ასე როდი იყო. ბოლო წლების მანძილზე ჰოლივუდის სასაფლაოზე საქმე კარგად არ მიდიოდა. მისი წინა მფლობელი გაკოტრდა მიწისძვრის შემდეგ. სტიქიამ საფლავები დააზიანა, ხოლო მიწისძვრის შემდეგ მოვარდნილმა ურაგანმა ელნინიომ და წვიმებმა დატბორა და ჭაობად აქცია სასაფლაოს დიდი ნაწილი.



ჰოლივუდის სასაფლაო Forever-იდან ღამ-ღამობით ყვირილის, მუსიკისა და სროლის ხმა ისმის.

საბოლოოდ, Forever ახალი მფლობელის ტაილერ კასიტის ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელს დიდი კაპიტალი აქვს სასაფლაოს ბიზნესში და კალიფორნიაში, მისურისა და ილინოისში შვიდი სასაფლაოს მფლობელია. 1998 წელს კასიტიმ Forever 375 ათას დოლარად შეიძინა, აღადგინა გზები, შეაკეთა ვიტრაჟები, შეალამაზა საფლავები და კინოსეანსების მოწყობა დაიწყო. საღამოები, რომელსაც “ვარსკვლავების ქვეშ და თავზე” დაარქვეს მალე გახდა პოპულარული. ისინი ლოს-ანჯელესის მკვიდრმა მოსახლეობამ და ტურისტებმაც მალე აიტაცეს და შტატის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად აქციეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს კინოსეანსები არაფრით არღვევს სასაფლოს მუდმივ ბინადართა მყუდროებასა და კომფორტს. კინოს მოყვარულები სეანსების შემდეგ საკუთარ ნაგავს აკურატულად ალაგებენ და არავითარ ზიანს არ აყენებენ საფლავებსა და მის შემოგარენს. მთელი წლის განმავლობაში, სასაფლაოს მეპატრონემ მხოლოდ ორი საყვედური მიიღო მიცვალებული ვარსკვლავების შეწუხებისათვის. ისიც უმნიშვნელო: ალბათ, ერთ კინომანს საყვარელი მსახიობის საფლავის ძეგლთან შამპანურის ვახტანგურად შესმა მოუნდა.

ათენი-2004

| 27 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ნიჩბოსნობა. ბაიდარი და კანოე** | | |
| ერთადგილიანი ბაიდარი. 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | ეირიკ ვერას ლარსენი | ნორვეგია |
| ვერცხლი | ბენ ფუში | ახალი ზელანდია |
| ბრინჯაო | ადამ ვან კოვერდენი | კანადა |
| ერთადგილიანი კანოე. 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | დავიდ კალი | ესპანეთი |
| ვერცხლი | ანდრეას დიტმერი | გერმანია |
| ბრინჯაო | ატილა ვაიდა | უნგრეთი |
| ოთხადგილიანი ბაიდარი. 500მ. | | ქალები |
| ოქრო | გერმანია | |
| ვერცხლი | უნგრეთი | |
| ბრინჯაო | უკრაინა | |
| ორადგილიანი ბაიდარი. 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მარკუს ოსკარსონი - ჰენრიკ ნილსონი | შვედეთი |
| ვერცხლი | ანტონიო როსი - ბენიამინო ბონომი | იტალია |
| ბრინჯაო | ეირიკ ლარსენი - ნილს-ოლოვ ფიელდჰაიმი | ნორვეგია |
| ორადგილიანი კანოე. 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | კრისტიან გილე - ტომაშ ვილენზეკი | გერმანია |
| ვერცხლი | ალექსანდრ კოსტოგლოდი - ალექსანდრ კოვალიოვი | რუსეთი |
| ბრინჯაო | დიორდ კოზმანი - დიორდ კოლონიჩი | უნგრეთი |
| ოთხადგილიანი ბაიდარი. 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | უნგრეთი | |
| ვერცხლი | გერმანია | |
| ბრინჯაო | სლოვაკეთი | |
| **ტაეკვონდო** | | |
| 57კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ჩანგ ჯი-ვონი | კორეა |
| ვერცხლი | ნია აბდალა | აშშ |
| ბრინჯაო | ირიდია სალაზარ-ბლანკო | მექსიკა |
| 68კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ჰადი საეი-ბონეჰკოჰალი | ირანი |
| ვერცხლი | ხუანგ ჩი-ჰსიუნგი | ტაივანი |
| ბრინჯაო | სონ მიონ-სოპი | კორეა |
| **თანამედროვე ხუთჭიდი** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | ჟუჟანა ვოროში | უნგრეთი |
| ვერცხლი | ელენა რუბლევსკა | ლატვია |
| ბრინჯაო | ჯორჯინა ჰარლენდი | ბრიტანეთი |
| **სამთო ველოსიპედი** | | |
| კროსკანტრი პირველობა | | ქალები |
| ოქრო | გუნ-რიტა დალე | ნორვეგია |
| ვერცხლი | მარი-ელენ პრემონი | კანადა |
| ბრინჯაო | საბინე შპიცი | გერმანია |
| **სინქრონული ცურვა** | | |
| ჯგუფები | | |
| ოქრო | რუსეთი | |
| ვერცხლი | იაპონია | |
| ბრინჯაო | აშშ | |
| **ბალახის ჰოკეი** | | |
| | | ვაჟები |
| ოქრო | ავსტრალია | |
| ვერცხლი | ჰოლანდია | |
| ბრინჯაო | გერმანია | |
| **ცხენოსნობა** | | |
| წინაღობათა გადალახვა. პირადი პირველობა | | |
| ოქრო | სიან ო'კონორი | ირლანდია |
| ვერცხლი | როდრიგო პესოა | ბრაზილია |
| ბრინჯაო | კრის კაპლერი | აშშ |
| **მძლეოსნობა** | | |
| სპორტული სიარული. 50კმ | | ვაჟები |
| ოქრო | რობერტ კორჟენიოვსკი | პოლონეთი |
| ვერცხლი | დენის ნიჟეგოროდოვი | რუსეთი |
| ბრინჯაო | ალექსეი ვოევოდინი | რუსეთი |
| სიგრძეზე ხტომა | | ქალები |
| ოქრო | ტატიანა ლებედევა | რუსეთი |
| ვერცხლი | ირინა სიმაგინა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ტატიანა კოტოვა | რუსეთი |
| 110მ ბარიერებით | | ვაჟები |
| ოქრო | ლიუ სიანი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ტერენს ტრამელი | აშშ |
| ბრინჯაო | ანიერ გარსია | კუბა |
| შუბის ტყორცნა | | ქალები |
| ოქრო | ოსლეიდის მენენდესი | კუბა |
| ვერცხლი | შტეფი ნერიუსი | გერმანია |
| ბრინჯაო | მირელა მანიანი | საბერძნეთი |
| 10000მ. | | ქალები |
| ოქრო | სინ ჰუინა | ჩინეთი |
| ვერცხლი | ეჯეგაიეჰუ დიბაბა | ეთიოპია |
| ბრინჯაო | დერარტუ ტულუ | ეთიოპია |
| 4x100მ | | ქალები |
| ოქრო | იამაიკა | |
| ვერცხლი | რუსეთი | |
| ბრინჯაო | საფრანგეთი | |

# მიზანი ერთია - ოქრო!

კახა ფარულავილი
*ათენიდან*

გუშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა აილეს სტარტი. ისინი ტურნირს კვირას დაასრულებენ და ქართველებსაც დიდი იმედი გვაქვს, რომ თავისუფლებიც მედლით გაგვახარებენ. თუ ეს მედალი ოქროსი იქნება, ამას რა აჯობებს. მოჭიდავეებმა ჩვენს ნაკრებს უკვე სამი მედალი შესძინეს - ორი ძიუდოისტებმა და ერთიც კლასიკოსებმა. ახლა თავისუფლების ჯერია.

ტურნირის დაწყების წინ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა განაცხადა, ოქროს მოვიგებო და მოიგო კიდეც. კლასიკოსების მოძღვარმა ბეგი დარჩიამ თქვა, მე ვერაფერს გეტყვით, მოჭიდავეები თვითონ იტყვიან სათქმელსო და რამაზ ნოზაძემ თქვა კიდეც. რომ არ დავეჩაგრეთ, ჭოჭუა და ჩაჩუაც იტყოდნენ თავის სათქმელს. თავისუფლების მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ თბილისში ჩვეული სიდინჯით მითხრა, რამდენიმე კაცი მედლისთვის მებრძოლი კი მეგულება, მაგრამ მათ შორის ყველაზე რეალური ელდარ კურტანიძეაო.

ჰოდა, ჩვენც ველოდებით ელდარის გამოსვლას. ის დღეს ჭიდაობს. ელდარი უკვე ისეთ ასაკშია და ისეთ სიმაღლეზეა ასული, რომ მას ვერც არაობიექტური მსაჯობა დათრგუნავს, ვერც ტრიბუნები და ვერც რომელიმე მოჭიდავე. ის საუკეთესო ფორმაშია. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის მწვრთნელებმა ბევრი იშრომეს.

ამას წინათ სწორედ ელდარის შანსებზე დავით გობეჯიშვილს გავესაუბრე და სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმაც დამიდასტურა, რომ ელდარმა, წესით და რიგით, მედალი უნდა აილოს. რაც შეეხება ოქროს, ესეც რეალურია, მაგრამ "რუსებს ჰყავთ ძალიან ძლიერი ახალგაზრდა ბიჭი. ელდარს ევროპის ჩემპიონატზე მოუგო. მსოფლიოზე კი არ გამოსულა. მოკლედ, თუ ელდარი მის წინააღმდეგ კარგად გამოვა, სხვამ არა მგონია, სერიოზული საფრთხე შეუქმნას", - ამბობს დავით გობეჯიშვილი.

პასუხად საქართველოს ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა თქვა: "ვიცი ეგ ბიჭი. ელდარი ევროპის ჩემპიონატზე, უბრალოდ, ფორმის შესანარჩუნებლად და გასავარჯიშებლად გავიდა. უგულისყუროდ იჭიდავა და ამიტომაც წააგო. თუ ოლიმპიადაზე შეხვდა, სულ სხვანაირად გამოვა მის წინააღმდეგ. ახლა ელდარი ისეთ ფორმაშია, გამორიცხულია, შემთხვევით წააგოს. ამიტომ ყველაზე რეალური შანსი მას აქვს".

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მედალი კიდევ გვექნება. გუშინ თავისუფლებიდან ტურნირში სამი ფალავანი ჩაერთო. ოთარ თუშიშვილი (66 კგ.), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.) და ალექსი მოდებაძე (120 კგ.). ოთარ თუშიშვილი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია. მან ევროპული ბრინჯაო 2001 წელს მოიგო. პირველ წრეში მას 2003 წლის პანამერიკული თამაშების ჩემპიონი, კუბელი სერგი რონდონი დაუპირისპირდა. ოთარი ამ ორთაბრძოლისთვის სათანადოდ ვერ განეწყო. ხალიჩაზე ინერტულად გამოიყურებოდა და დამარცხდა. შემდეგ თუშიშვილი უკრაინის სახელით მოასპარეზე ელბრუს თედეევს შეხვდა. თედეევი სამგზის მსოფლიო ჩემპიონია. ბოლოს მან მსოფლიო პირველობა 2002 წელს მოიგო და ათენშიც მოსაგებად ჩამოვიდა. მან პირველ შეხვედრაში რონდონი დაამარცხა. შემდეგ კი ჩვენი თანამემამულეც გამოთიშა ასპარეზობიდან და მეოთხედფინალში გავიდა.

საქართველოს ნაკრებს ძალიან ეიმედებოდა კოლაგელი რევაზ მინდორაშვილი. ის ფორმაში იყო და, წესით, არ უნდა გასჭირვებოდა ჯგუფის დაძლევა, სადაც ქართველი ფალავნის გარდა, ბერძენმა ლაზაროს ლოიზიდისმა და ფრანგმა ვინსენტ აკამ მოიყარეს თავი. რევაზმა პირველი ბრძოლა ფრანგის წინააღმდეგ ღირსეულად ჩაატარა და მოიგო. აი, ლოიზიდისს კი ვერაფერი დააკლო, დამარცხდა და ოქროს მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა. არადა, ლოიზიდისის მთელი მონაგარი მხოლოდ ევროპული ბრინჯაოა. ბერძენმა ფრანგიც დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა.

სამწუხაროა, მაგრამ გუშინ დილის შემდეგ ქართველებს ერთადერთ ნუგეშად მძიმეწონოსანი ალექსი მოდებაძე დაგვრჩა. მან ჯგუფური ეტაპის პირველი შეხვედრა უნგრელ ოტო აუბელის მოუგო. უნგრელი ფალავანი იოლად დაამარცხა მოდებაძის მთავარმა მეტოქემ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა კურმაგომედ კურმაგომედოვმა. მთავარ ბრძოლაში მოდებაძე და კურმაგომედოვი შეხვდნენ ერთმანეთს.

მოდებაძე კურმაგომედოვთან საბრძოლველად აშკარად მზად არ აღმოჩნდა. დაღესტნელმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და ბოლომდე შეინარჩუნა. არადა, მოდებაძე უფრო აქტიური რომ ყოფილიყო, იქნებ მეოთხედფინალში სწორედ ქართველ ფალავანს ეჭიდავა. ასეა თუ ისე, სანუგეშოდ ელდარ კურტანიძე, დავით პოღოსიანი და გელა საღირაშვილი დაგვრჩნენ.

# ამერიკას ოცნება დაემსხვრა

კახა ფარულავილი
*ათენიდან*



*მანუ ჯინობილი კვლავ შეუდარებელი იყო.*

საფინალო სასტვენის შემდეგ კალათბურთის დარბაზში არ დარჩა ადამიანი, ვინც არ სკანდირებდა არგენ-ტინა! მანუ ჯინობილიმ და კამპანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს უკვე ბევრჯერ ნათქვამი, რომ გუნდი, რომელიც აშშ-ის წარმოადგენს "დრიმ თიმი" არ არის. ნუ უწოდებთ ყველაფერს "დრიმ თიმს". ამერიკელები არაერთხელ გააფრთხილეს, მაგრამ ამაოდ. "დრიმ თიმი" 91:98 დამარცხდა და ახლა მესამე ადგილისთვის იბრძოლებს.

ახლა კი თავად დარწმუნდნენ, რომ მათი ოცნება დაიმსხვრა და გარინდულებმა დატოვეს დარბაზი. ასეთი მორჩილი ამერიკა არასოდეს მინახავს. კალათბურთის დარბაზში ამერიკის დროშები თვალის დახამხამებაში გაქრა.

ეს არის ამერიკის ოცნება? შესვენებაზე, როდესაც "დრიმ თიმი" 38:43-ს აგებდა, მწვრთნელი როი უილიამსი ჯეისონ კიდსა და შაკილ ო`ნილზე ალაპარაკდა: "შაკმა თვითონ თქვა ათენში გამომგზავრებაზე უარი. ჯეისონი კი სამწუხაროა, რომ ჩვენთან ერთად არ არის. ის რომ აქ ყოფილიყო, შესაძლოა, სულ სხვა თამაში გვეჩვენებინა".

როდესაც უილიამსი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, ამერიკის ოცნება ჯერ კიდევ ცოცხლობდა. მესამე მეოთხედიდან კი სულ სხვა სცენარი განვითარდა. ამას არც უილიამსი ელოდა და არც მთავარი მწვრთნელი ლარი ბრაუნი - დაცვითი თამაშის ოსტატი, რომელმაც "დეტროიტს" წელს NBA-ის ბეჭედი მოაგებინა. თუმცა, ამჯერად მისტერ ბრაუნის გუნდში შეტევის დიდოსტატები, ტიმ დანკანი და ლებრონ ჯეიმსი ჰყავდა. აი ისინი კი ვერ გამოიყენა "დრიმ თიმის" მწვრთნელმა და შემოიტყა თავში ხელი. მოსაფიქრებლად ბრაუნს მეოთხე მეოთხედი რჩებოდა, მაგრამ ახალი ვერაფერი მოიფიქრა. ამ დღეს ამერიკის ოცნება უნდა დამსხვრეულიყო. თანაც სამაგალითოდ, რათა ამერიკელები ერთხელ და სამუდამოდ მიხვდნენ, რომ ოცნების გუნდი მხოლოდ მაშინ არის ოცნების, როდესაც ის ერთადერთი და განუმეორებელია.

არგენტინამ 8 ქულით მოიგო მესამე მეოთხედი. ჯინობილიმ 29 ქულა შესძინა გუნდს, სკოლამ - 10. ტიმ დანკანმა მხოლოდ 10 ქულა მოუტანა "დრიმ თიმს". ლებრონ ჯეიმსმა კი სულაც მხოლოდ სამი წუთი ითამაშა. ამ ოლიმპიადაზე ლარი ბრაუნი ჯეიმსს არ სწყალობდა. დაცვითი სტილის მიმდევარია და იმიტომ. უფრო თამამი და აგრესიული რომ ყოფილიყო, შესაძლოა გუშინ სხვა შედეგი მიეღო. სწორედ ამიტომ განაცხადა შაკილ ო`ნილმა უარი ნაკრებში თამაშზე. მას სურდა, "დრიმ თიმს" სათავეში ფილ ჯექსონი ჩადგომოდა და რადგან ჯექსონს ბრაუნი ამჯობინეს, "შაკიც" სახლში დარჩა.

ამერიკა ტურნირს დაემშვიდობა. ეს საბერძნეთისთვის საუკეთესო საჩუქარი იყო. საბერძნეთში ამერიკა არ მოსწონთ. არ მოსწონთ ნატო-ს ეგიდით განლაგებული მათი სამხედრო ბაზები. ხოლო მას შემდეგ, რაც ამერიკელები ერაყში შეიჭრნენ, საბერძნეთში უაღრესად გაძლიერდა პაციფისტური მოძრაობა. როგორც მითხრეს, ათენში ამერიკის საელჩოსთან თითქმის ყოველდღე წვავდნენ ჯორჯ ბუშის ფიტულს. აშშ-ის საელჩო დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმზე ყოფილა გადაყვანილი.

არ მოსწონთ ბერძნებს ამერიკა და არც ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე დაუკრავთ მათთვის ტაში. პირიქით, აქა-იქ სტვენის ხმასაც გაიგონებდით. არ მოსწონთ ამერიკელები და მთელი დარბაზი, როგორც ერთი, არგენტინას ქომაგობდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით არგენტინელებმა საბერძნეთი დაამარცხეს მეოთხედფინალში. ბერძნებმა ამერიკელებს მაინც სამხრეთელები ამჯობინეს. მთელი დარბაზი - ბერძნები, ლიტველები, არგენტინელები ერთ მუშტად შეკრულნი სკანდირებდნენ - არ-გენ-ტი-ნა, არ-გენ-ტი-ნა!

"საშინელი იმედგაცრუება განვიცადეთ. "დრიმ თიმმა" სამი თამაში წააგო და ტურნირს ამჯერადაც ფინალამდე გამოეთიშა. სამი მარცხი, მათ შორის პუერტო-რიკოსთან. ეს უკვე მეტისმეტია, მაგრამ ოლიმპიური თამაშები ხომ სიურპრიზებითაა აღსავსე", - განაცხადა როი უილიამსმა.

ეს არის ამერიკის ოცნება?

# საბაჟოზე გვირგვინოსნებს არ უშვებენ

*როგორც ირკვევა, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე აღორძინებული ტრადიცია რიგ სახელმწიფოთა საბაჟო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. არადა, ზეთისხილის რტოებით დაწნული გვირგვინი ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის. როგორც უნდა იყოს, ფაქტია: მებაჟეები ათენიდან დაბრუნებულ თანამემამულე ჩემპიონებსა თუ პრიზიორებს მთლად მოღიმარნი არ დახვდებიან.*



*ავსტრალიელ მოცურავეთა კვარტეტს გვირგვინებს კარანტინში გაუტარებენ.*

აქედანვეა ცნობილი, რომ მებაჟეები გვირგვინოსნებისგან მოითხოვენ იმ გვირგვინის ჩაბარებას, რომელიც ათენელებმა წარმატების აღსანიშნავად თავზე დაადგეს. ამ თვალსაზრისით თუ ვინმემ უნდა შემოირტყას თავში ხელი, ესენი, პირველ რიგში, ავსტრალიელები უნდა იყვნენ, რომლებმაც ათენში საკმაო რაოდენობის გვირგვინები მოიხვეჭეს. თვითმფრინავის ტრაპიდან მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე, პირველი, რისი გაკეთებაც მოუწევთ, ეს გვირგვინის რენტგენზე გაგზავნა იქნება.

ახალი ზელანდია საკუთარ მიწაზე მცენარეების შეტანას საგანგებო სერტიფიკატის გარეშე კრძალავს. აშშ და ევროპის რამდენიმე ქვეყანა საკუთარ ტერიტორიაზე შეტანილ მცენარეებს საზღვარზევე გულდასმით იკვლევს. თუ შემოწმებისას რომელიმე მათგანს რაიმე საეჭვო აღმოაჩნდება, უმალ განადგურდება სხვა დნარჩენებთან ერთად.

ავსტრალიის კარანტინის სამსახურისა და ინსპექცის განცხადებით, ოლიმპიური გვირგვინები უმაღლესი ტექნოლოგიური დამუშავების პროცესს გაივლის. ეს პროცესი კი ნახევარ თვეს გრძელდება და დაახლოებით 60 დოლარი ჯდება (თითო გვირგვინი), მაგრამ...

"ოლიმპიელებისთვის ასეთი მომსახურება უფასო იქნება, - პირობას დებს საბაჟო სამსახურის წარმომადგენელი. - როდესაც გვირგვინს შევამოწმებთ, დაახლოებით სამი კვირის შემდეგ მას ფოსტით გავუგზავნით პატრონს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიელები გვირგვინს დეკლარაციაში არ შეიტანენ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მცენარეულს გავანადგურებთ".

საინტერესოა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის 2550-ზე მეტი ზეთისხილის რტო და ზეთისხილისვე ფოთლების გირლანდები, ვარდები და ქრიზანთემები დამზადდა.

ვერ გეტყვით, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით ძალიან არიან დაშინებული თუ რა, მაგრამ ფაქტია: ახალზელანდიელმა ჩემპიონებმა ნიჩბოსნობაში შინ გამგზავრებამდე თავიდან მოიშორეს გვირგვინები.

კეროლაინ და ჯორჯინა ევერსსუინდელებმა გამარჯვებისთანავე ნაკუწებად აქციეს საკუთარი გვირგვინები და ნაწილ-ნაწილ დაურიგეს გულშემატკივრებს.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ამბობენ, რომ ზეთისხილის რტოებმა და გირლანდებმა ძალზე მოხიბლა ოლიმპიელები. ბევრი მათგანი დღემდე თავიდან არ იშორებს და ოლიმპიურ სოფელში ასე, გვირგვინოსნებად დაიარებიანო.

ანტიკურ ხანაში ზეთისხილის გვირგვინი მშვიდობისა და ღირსების სიმბოლოდ ითვლებოდა და მათ ოლიმპიაში, წმინდა ჭალაში კერფდნენ.

ახლანდელი გვირგვინები კი საბერძნეთის ყველა კუთხიდანაა, ერთი გამონაკლისის გარდა - მარათონელებს საგანგებოდ კუნძულ კრეტაზე შეგროვებული ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინებით შეამკობენ.

და მაინც, მებაჟეებზე არანაირად არ მოქმედებს არც ლამაზი თვალების ჟუჟუნი და არც სანტიმენტები. კანონი კანონია. რამდენგზის ოლიმპიური ჩემპიონიც არ უნდა იყო, საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს, რომ უცხო ქვეყნიდან შეტანილი მცენარეები გასანადგურებლად თუ არა, საკარანტინოდ მაინც გაამზადოთ.

მარკ ტერმენი, ამერიკის ინსპექციის სამსახურის მუშაკი, ხაზს უსვამს: "ნებისმიერი მცენარე, ვინც არ უნდა იყოს მისი შემომტანი, დეკლარაციაში უნდა შეიტანოს. ბოლოს, თუ რაიმე პრობლემები შეიქმნება, ჩვენ მას გავანადგურებთ".

ამერიკელისგან განსხვავებით, ბევრად თავშეკავებული აღმოჩნდა ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი: "საბერძნეთის მცენარეულობის უმეტესობა წესრიგშია, რადგან იგი ევროკავშირში შედის".

აქვე გეტყვით, რომ ზოგადად მცენარეებით ოლიმპიელთა დაჯილდოება პირველი შემთხვევა როდია.

1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე ადოლფ ჰიტლერმა გამარჯვებულები მუხის ნერგებით დააჯილდოვა და ის ნერგები ახლა ბევრ ქვეყანაში უკვე დიდ ხეებად ქცეულა.

TV-სპორტი

**შაბათი. 28 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. იტალია-ერაყი
09:40 ოლიმპიადის დღიური
10:40 ოლიმპიური პრესცენტრი
10:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. ფინალი. არგენტინა-პარაგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი
14:10 ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. "პორტუ"-"ვალენსია". გადაცემა მონაკოდან
15:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბალახის ჰოკეი. ვაჟები. ფინალი. ჰოლანდია-ავსტრალია
17:30 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი"-"ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია
19:25 ოლიმპიური პრესცენტრი
19:40 ოლიმპიური დღიური
20:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. თავისუფალი ჭიდაობა. 55კგ, 66კგ, 84კგ, 120კგ. შეხვედრები მე-3 ადგილისთვის. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ, 57კგ, 64კგ, 75კგ, 91კგ. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბორდო"-"სოშო"
00:50 ოლიმპიადის დღიური

**НТВ+СПОРТ**
07:55 "ოლიმპიური ოდისეა"
08:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:05 "ოლიმპის შვილები"
09:10 ოლიმპიური პრესცენტრი
09:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბაიდარი და კანოე. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:40 ოლიმპიური პრესცენტრი
11:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ველოსპორტი. სამთო ველოსიპედი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 ოლიმპიური პრესცენტრი
14:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი
15:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი
16:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. პირადი პირველობა. ფინალი. მეორე წრე
17:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. მხატვრული ტანვარჯიში. გუნდური პირველობა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 ოლიმპიური პრესცენტრი
19:05 "ოლიმპიური დღე". უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
19:50 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტაიკვანდო. ქალები. 67კგ. ვაჟები. 80კგ. შეხვედრები მე-3 ადგილისთვის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 ოლიმპიური პრესცენტრი
21:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. მძლეოსნობა. პირდაპირი ტრანსლაცია
00:05 "მითი და რეალობა"
00:15 "ოლიმპიური ოდისეა"
01:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ, 57კგ, 64კგ, 75კგ, 91კგ. ფინალები
02:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. თავისუფალი ჭიდაობა. 55კგ, 66კგ, 84კგ, 120კგ. ფინალები

**EUROSPORT**
06:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:45 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:30 ნიჩბოსნობა. ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 ოლიმპიადის სიახლეები
14:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
15:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. სპეციალური მიმოხილვა
17:30 მხატვრული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 ტაიკვანდო. ოლიმპიური თამაშები ათენში
20:45 ოლიმპიადის სიახლეები
21:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 "ოლიმპიკ ექსტრა"
02:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:00 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:30 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში

ფეხბურთი

# გადამწყვეტი ეტაპის წინ

ჟირესმა შემადგენლობა დაასახელა

მიხეილ აბაიშვილი



ჟირესს წარსული არ აინტერესებს, ის მომავალ მატჩზე ფიქრობს.

სულ რამდენიმე დღე და საქართველოს ეროვნული ნაკრები სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ჟირესს და მის გუნდს პირველივე მატჩში სერიოზული გამოცდა ელით - მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, თურქეთის ნაკრები. ეს მატჩი გაიმართება 4 სექტემბერს თურქეთის ქალაქ ტრაბზონში, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის მაინცდამაინც იღბლიანი არ გახლავთ. ზუსტად ორი წლის წინ ტრაბზონში საქართველოს ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატიდან ტრიუმფით დაბრუნებულ თურქთა ეროვნულ გუნდთან და 0:3 დამარცხდა. თუმცა, ამ თამაშს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელმაც გუშინ პრესკონფერენცია გამართა და გაგვაცნო იმ 21 ფეხბურთელის სია, რომლებიც თურქებთან მატჩისთვის მოემზადებიან.

"ის თამაში საერთოდ არ მინახავს და არც არავითარი სურვილი მაქვს. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და თურქეთის ნაკრები საგრძნობლად გადახალისდა. შეიცვალა ჩვენი ეროვნული გუნდიც. ზოგმა ფეხბურთელმა ოსტატობის დონე აიმაღლა, ზოგი ნაკრებში აღარც არის. მე უფრო ის მაინტერესებს, რას წარმოადგენს თურქეთის გუნდი დღეს," - თქვა ფრანგმა.

თურქებთან მატჩიდან ოთხი დღის შემდეგ, 8 სექტემბერს, ჩვენს ეროვნულ გუნდს კიდევ ერთი შესარჩევი თამაში ელის ალბანეთის ნაკრებთან. მატჩი თბილისში გაიმართება. ჟირესმა ამ ორი შეხვედრისთვის გუნდში იხმო:

**მეკარეები**:
*დევაძე ("თბილისი"),*
*გვარამაძე (თბილისის "ლოკომოტივი"),*
*ლომაია (მოსკოვის "სპარტაკი");*

**მცველები**:
*კალაძე ("მილანი"),*
*კვარაცხელია ("თბილისი"),*
*ხიზანეიშვილი (მოსკოვის "დინამო"),*
*ხიზანიშვილი ("გლაზგო რეინჯერსი"),*
*სალუქვაძე ("დინამო"),*
*ასათიანი (მოსკოვის "ლოკომოტივი");*

**ნახევარმცველები:**
*ბურდული (თბილისის "დინამო"),*
*ჯამარაული (დონეცკის "მეტალურგი"),*
*კანკავა (თბილისის "დინამო"),*
*კობიაშვილი ("შალკე"),*
*კვირკველია (თბილისის "დინამო"),*
*მჟავანაძე ("ანჟი"),*
*რეხვიაშვილი ("ვენტსპილი"),*
*ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი");*

**თავდამსხმელები:**
*არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი"),*
*ჯაკობია (ხარკოვის "მეტალისტი"),*
*იაშვილი ("ფრაიბურგი"),*
*დემეტრაძე (დონეცკის "მეტალურგი").*

ნაკრებში ერთი დებიუტანტია: თბილისის "დინამოს" საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა. მიმდინარე სეზონში მან რამდენიმე ბრწყინვალე თამაში ჩაატარა, მათ შორის, ორი დღის წინ პრაღის "სლავიასთან" და ეს გუნდის ხელმძღვანელობას მხედველობიდან არ გამორჩენია.

"კანკავასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს ვიტყვი. ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, რომელიც თავს გამოიჩენს, ეროვნული ნაკრების კარი ღიაა. მართალია, კანკავა მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ დაგვანახა, რომ დიდი მომავალი ელის. თუ ასე გააგრძელა, ნაკრებისთვის მეტად საჭირო და შეუცვლელი ფეხბურთელი გახდება. აქვე მინდა თბილისის "დინამოს" მივულოცო პრაღის "სლავიას" ბარიერის დაძლევა და შემდგომი წარმატებები ვუსურვო. "დინამომ" ზუსტად ის შემართება და საბრძოლო ჟინი გამოავლინა, რომელიც საჭიროა უეფას ტურნირების ბარიერის დასაძლევად. იმედი მაქვს, გუნდი მიღწეულს არ დასჯერდება. მართალია, შემდეგ ეტაპზე სერიოზული მეტოქე შეხვდა პოლონეთის ჩემპიონის, კრაკოვის "ვისლას" სახით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, "დინამო" არც მასთან შეირცხვენს თავს," - კომპლიმენტები არ დაიშურა კანკავასა და "დინამოს" მისამართით მწვრთნელმა.

ორი კვირის წინ თურქეთის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ბელორუსის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და მისი ძლევა ვერ მოახერხა. შეხვედრა 2:2 დასრულდა. ჟირესმა ამ თამაშზეც გააკეთა კომენტარი.

"ბელორუსთან ჩვენმა მომავალმა მეტოქემ, ერთი შეხედვით, სუსტად ითამაშა, მაგრამ ეს მოსაზრება ნამდვილად მოჩვენებითია. ჯერ ერთი, ის მატჩი ამხანაგური იყო, ჩვენ კი თურქები შესარჩევ, თანაც, სადებიუტო მატჩში შეგვხვდებიან. ასეთ დროს გაცილებით დიდია მოტივაცია და, დარწმუნებული ვარ, თურქები ყველაფერს გააკეთებენ, რათა 3 ქულა ჩაიწერონ აქტივში. თუმცა, ბელორუსთან თამაშში მაინც გამოჩნდა ზოგადი ტენდენციები და თურქთა მეტ-ნაკლებად სუსტი თუ ძლიერი მხარეები. ამ საკითხზე დაკონკრეტებას არ ვაპირებ, თუმცა, არ დავმალავ, რომ მათი სუსტი მხარეების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენებას, ხოლო ძლიერი მხარეების განეიტრალებას აუცილებლად შევეცდებით," - ამბობს ჟირესი.

საქართველოს ეროვნული ნაკრები 31 აგვისტოს თბილისში შეიკრიბება, სასტუმრო "ბატისტაში" დაბინავდება და ორი დღის განმავლობაში ვარჯიშებს "ოლიმპის" სტადიონზე გამართავს. ამავე დღეებში ჟირესი მედიასაც დიდ ყურადღებას დაუთმობს და პრესკონფერენციებს გამართავს. ნაკრები თურქეთში 2 სექტემბერს გაემგზავრება.

## "ვიტ-ჯორჯიას" ღირსება ახლა უკვე "დინამოს" ავალდებულებს

პრაღის "სლავიას" წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვების მეორე დღესვე, თბილისის "დინამოს" შემდეგი მეტოქეც გაირკვა. გუშინ UEFA-ს თასის პირველი წრის მატჩების კენჭისყრა შედგა. UEFA-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებულ გუნდებს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული გუნდებიც დაემატნენ და ასე შეგროვდა 80 გუნდი.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კრაკოვის "ვისლამ" ჩვენს "ვიტ ჯორჯიას" მოუგო, მესამე ეტაპზე პოლონელები მადრიდის "რეალთან" დამარცხდნენ, შედეგად კი UEFA-ს თასზე აღმოჩნდნენ და თბილისი "დინამოს" შესაძლო მეტოქეებად მოგვევლინენ. მოკლედ რომ ვთქვათ, კენჭიყრის შედეგად "დინამო" სწორედ "ვისლას" შეხვდება. ამ პოლონურმა გუნდმა "ვიტ ჯორჯიას" და მთლიანად ქართულ ფეხბურთს ღირსება შეულახა, ახლა კი ამ ღირსების აღდგენა თბილისის "დინამოს" მოუწევს.

პირველ მატჩს "დინამო" კრაკოვში გამართავს 16 სექტემბერს, ხოლო 30 სექტემბერს "ვისლას" თბილისში უმასპინძლებს. ქვემოთ გთავაზობთ გუშინდელი კენჭისყრის შედეგად გამოვლენილი 40-ვე წყვილის სიას. გუნდი, რომლის სახელწოდება წყვილში პირველად არის მოხსენიებული, პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს. UEFA-ს თასის პირველი ეტაპის პირველი შეხვედრები 16 სექტემებერს შედგება, ხოლო განმეორებითი მატჩები 30 სექტემებერს.

| | |
|---|---|
| გრაცერი (ავსტრია) - | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| ლაციო (იტალია) - | მეტალურგი (უკრაინა) |
| ბოდოგლიმიტი (ნორვეგია) - | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| შელბურნი (ირლანდია) - | ლილი (საფრანგეთი) |
| ჰართსი (შოტლანდია) - | ბრაგა (პორტუგალია) |
| ავსტრია (ავსტრია) - | ლეგია (პოლონეთი) |
| დუკლა (სლოვაკეთი) - | ბენფიკა (პორტუგალია) |
| პარტიზანი (სერბეთი) - | დინამო (რუმინეთი) |
| პარმა (იტალია) - | მარიბორი (სლოვენია) |
| სარაგოსა (ესპანეთი) - | სიგმა (ჩეხეთი) |
| სპორტინგი (პორტუგალია) - | რაპიდი (ავსტრია) |
| ნიუკასლი (ინგლისი) - | ჰაპოელი (ისრაელი) |
| სტიაუა (რუმინეთი) - | ცსკ (ბულგარეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) - | **დინამო (თბილისი)** |
| უტრეხტი (ჰოლანდია) - | იურგარდენი (შვედეთი) |
| მილუოლი (ინგლისი) - | ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| შალკე (გერმანია) - | მეტალურგი (ლატვია) |
| მაკაბი (ისრაელი) - | დნიპრო (უკრაინა) |
| ტერეკი (რუსეთი) - | ბაზელი (შვეიცარია) |
| ოდ გრენლანდი (ნორვეგია) - | ფაიენოორდი (ჰოლანდია) |
| აალბორგი (დანია) - | ოსერი (საფრანგეთი) |
| სევილია (ესპანეთი) - | ნასიონალი (პორტუგალია) |
| გორიცა (სლოვენია) - | აეკ (საბერძნეთი) |
| სტანდარდი (ბელგია) - | ბოხუმი (გერმანია) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) - | ზენიტი (რუსეთი) |
| ტრაბზონსპორი (თურქეთი) - | ატლეტიკი (ესპანეთი) |
| უიპეშტი (უნგრეთი) - | შტუტგარტი (გერმანია) |
| მაკაბი პ-ტ (ისრაელი) - | ჰეერენვეენი (ჰოლანდია) |
| პანიონისი (საბერძნეთი) - | უდინეზე (იტალია) |
| ლევსკი (ბულგარეთი) - | ბევერენი (ბელგია) |
| დინამო (ხორვატია) - | ელფსბორგი (შვედეთი) |
| ჰაფნარფიორდური (ისლანდია) - | აახენი (გერმანია) |
| მიდლსბრო (ინგლისი) - | ბანიკი (ჩეხეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) - | შატორუ (საფრანგეთი) |
| პაოკი (საბერძნეთი) - | ალკმაარი (ჰოლანდია) |
| ვენტსპილსი (ლატვია) - | ამიცა (პოლონეთი) |
| სოშო (საფრანგეთი) - | სტაბაკი (ნორვეგია) |
| ეგალეო (საბერძნეთი) - | გენჩლერი (თურქეთი) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) - | მარიტიმუ (პორტუგალია) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) - | ჰამარბი (შვედეთი) |

## ევროპის სუპერ-თასი

**27 აგვისტო. მონაკო. სტადიონი "ლუი-II"**

**პორტო 1:2 ვალენსია**

**გოლები:** *0:1 ბარახა (33`), 0:2 დი ვაიო (67), 1:2 კუარეშმა (78`)*

# ვისაუბროთ მიზეზებზე...

პაატა თოთაძე



"თბილისელებს" ისღა დარჩენოდათ, თავჩაქინდრულებს დაეტოვებინათ მოედანი.

მატჩის შემდეგ აეროპორტში მისულს ასეთი სურათი დამხვდა: "თბილისის" მწვრთნელს გიორგი დევდარიანს აეროპორტის სამედიცინო პუნქტში გადასხმას უკეთებდნენ. მწვრთნელს ისე უნერვიულია წაგებული მატჩის გამო, შეუძლოდ გამხდარა. მატჩამდე ყველა მომდევნო ეტაპზე ფიქრობდა, არავის დაუშვია, რომ "თბილისი" "ლეგიასთან" წააგებდა. წაგებაც არის და წაგებაც. მართალია, ქართული კლუბებისგან უარესსაც მოვსწრებივართ, მაგრამ... არ გამოდგება არგუმენტად ის, რომ "თბილისი" ახალგაზრდული გუნდია. ეს უფრო თავის დამშვიდებაა, მოტყუება თუ არა. გუშინწინდელი მარცხი მხოლოდ "თბილისის" მარცხი არ იყო, ეს ქართული ფეხბურთის დამარცხებაა, რადგან "თბილისი" ამ ფეხბურთის ნაწილია. თუ უფრო მასშტაბურად განვიხილავთ, წაგებაში დამნაშავე ქვეყნის ხელმძღვანელობის ბრალეულობასაც ვიპოვით. უფრო ზუსტად, იმ პირობებში, რომელშიც საქართველო ძველი მთავრობის წყალობით ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ქვეყანაში არაფერი განვითარებულა. პირიქით. თუ რამეში ვვარგოდით, იმაშიც აღარ ვვარგივართ. აქედან გამომდინარე, ვერ განვითარდა ფეხბურთიც. ჰოდა, ამის შედეგია ქართული ფეხბურთის მარცხიც. ამაში, ბუნებრივია, ფეხბურთის მმართველებიც არიან დამნაშავე. ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა. ყველაფერი კომპლექსურად უნდა განიხილებოდეს. მთავრობამ არ შექმნა კარგი გარემო ქვეყანაში ფეხბურთის გასავითარებლად, ფეხბურთის ფედერაციამ ამის გამოსასწორებლად ბევრი ვერაფერი იღონა. შედეგად გვაქვს უინტერესო, დაბალი დონის ჩემპიონატი, დაბალი დონის კლუბები, ფეხბურთელთა უმეტესობას გაქცევაზე უჭირავს თვალი, ცდილობს, რადგან იცის, რომ საქართველოში ვერც კლასს აიმაღლებს და ვერც გასამრჯელოდ აიღებს იმდენს, რამდენსაც უცხოეთში საშუალო დონის ქვეყნის საშუალო კლუბში. ამ ყველაფრის ფონზე რაღა გასაკვირია, რომ ახლად შექმნილი "თბილისი" პოლონეთის მეორე გუნდთან მარცხდება? გუნდს არა აქვს სათანადო სათამაშო პრაქტიკა, ანუ დაბალი დონის გუნდებთან (ქართული კლუბები კი ასეთები არიან) პაექრობაში კლასის ამაღლებაზე ხომ საუბარი ზედმეტია. ვერც იმ უნარ-ჩვევებს დაეუფლები, რაც ფეხბურთელისთვისაა აუცილებელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ გულშემატკივრობაც იმდენად კარგად იციან, რომ შეგშურდება კაცს.

მოკლედ, ყველანაირი ლოგიკით უნდა წაგვეგო, მაგრამ ამ ლოგიკას თავად მწვრთნელისა და ფეხბურთელების შეცდომებიც დაერთო. სხვაგვარად ასეთი ანგარიშით არ წააგებდა "თბილისი". მეტოქემ ჩვენს კარში სულ რვაჯერ დაარტყა და აქედან ექვსი გაიტანა. იმ ორი შემთხვევიდან ერთხელ დევაძემ აიღო მეტოქის დარტყმული, ერთხელაც ქემოკლიძემ გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან. საერთო ჯამში კი ქემოკლიძემ, რბილად რომ ვთქვათ, დამაჯერებლად ვერ ითამაშა, არაერთი შეცდომა დაუშვა. ზოგიერთის გამოსწორება მოახერხეს თანაგუნდელებმა, ზოგიერთისა - ვერა. ზოგჯერაც სხვა ცდებოდა. საუკეთესო, ალბათ, გივი კვარაცხელია იყო. ჩვენი დაცვა ბევრს სცოდავდა. გარდა ამისა, სტუმრებმა გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს და... კონტრშეტევებზე დაისაჯნენ. ქართველებზე სწრაფი პოლონელები უმალ ახერხებდნენ საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე მისვლას, კომბინაციებიც უფრო გააზრებული ჰქონდათ.

პრობლემები ექმნებოდა ნახევარდაცვას, უფრო ზუსტად კი მარცხენა ფლანგს. პოლონელთა შეტევების უმეტესობა სწორედ მარცხენა ფლანგიდან განვითარდა. ცარიელი სივრცე იქმნებოდა ჩვენს დაცვასა და ნახევარდაცვას შორის, კავშირი არ იყო რგოლებს შორის. 1:0 იყო ანგარიში, როცა ფიფიას გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა შეექმნა, მაგრამ როგორღაც მოახერხა და ვერ გაიტანა. არადა ანგარიში რომ გათანაბრებულიყო სხვანაირი თამაში წავიდოდა.

კიდევ ერთი. თამაშს იგებს მოთამაშეთა სტაბილურობა და დისციპლინირებულობა. ანუ, მთავარია შენი საქმე აკეთო, რაც არ უნდა მარტივი იყოს ის. სწორედ სტაბილური სიმარტივე იგებს თამაშს და არა ათასში ერთხელ ორიგინალური ილეთის გაკეთება. ამიტომაც მატჩის შემდეგ იმაზე საუბარი, ნახე ფეხებს შუა როგორ გაუტარა ამა თუ იმ პოლონელს ბურთი ქართველმა (ასეთი მომენტი სულ ერთხელ იყო), ისევ და ისევ თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, გასაკეთებელი კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ ბევრი აქვს. აქვს კიდეც ამის საშუალება და რაც მთავარია, უხეშად რომ ვთქვათ, სამუშაო მასალაც აქვთ. გუნდში ბევრია ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშე. მთავარია, მათთან სწორი მუშაობა წარიმართოს და, რაღა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთი წამოიწიოს. ღმერთმა ქნას, "დინამოს" წარმატება, რომელმაც აეროპორტში ტაში შემოგვაკვრევინა და ქართული სიმღერა შემოგვაძახებინა, ქართული ფეხბურთის აღმავლობის დასაწყისი ყოფილიყოს.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მსოფლიოს ფეხდაფეხ

21-ე საუკუნემ ბევრი სიახლე, წინგადადგმული ნაბიჯი, პოზიტიური და ნეგატიური მოიტანა. ადამიანის აზროვნება, მსოფლმხედველობა შეიცვალა. ბევრი ისეთი რამ გახდა ჩვეულებრივი, რაზეც ადრე ფიქრიც კი უხერხული იყო. ახალი თაობა კიდევ უფრო თავისუფალი, თამამი, შეუბოჭავი და უკომპლექსო გაიზარდა. უკომპლექსოს და შეუბოჭავს კი დროსტარების, გართობის შესაბამისი ახლებური ფორმა მოჰყვა. თბილისში, ბათუმში ბევრი ისეთი გასართობი ადგილები, ღამის კლუბები გაიხსნა, რომელთა არსებობა რამდენიმე წლის წინ შეუძლებელი იყო. დისკოთეკებზე ისეთი მუსიკის თანხლებით ცეკვავენ, ამის არამცთუ მოსმენა, წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. მთელი მსოფლიოს ღამის კლუბების house მუსიკის შემომტანად და დამნერგავად ბათუმი და კონკრეტულად კი "ბუნგალო" უნდა ვაღიაროთ. მუსიკის ეს საკმაოდ სპეციფიური სტილი დღეს თითქმის ყველა დისკოთეკამ აიტაცა. ახალმა რითმულმა, მექანიკურმა, ყოველგვარ ლირიზმსა და მელოდიურობას მოკლებულმა მუსიკამ მისი "დამუღამების" ახალი აუცილებელი პირობები მოითხოვა. სრულიად ფხიზელ გონებაზე მთელი ღამის განმავლობაში ამ მუსიკის ქვეშ ცეკვა ან თუნდაც ერთ საათზე მეტის გაძლება შეუძლებელია. ალკოჰოლი, რომელიც ყველა ღამის კლუბში უხვად იყიდება, საკმაოდ ძვირი და, შესაბამისად, თინეიჯერებისთვის მიუწვდომელია. რამდენი ჭიქა "ჯინი ტონიკით" ან "მარტინი" უნდა დალიო, house მუსიკისთვის შესაფერ კონდიციას რომ მიაღწიო? ამიტომაც სრულიად ბუნებრივად, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად ახალმა საუკუნემ საქართველოშიც ახალი ტიპის ღამის კლუბები, დისკოთეკები, ახალი მუსიკა, ახალმა მუსიკამ კი მის მოსასმენად აუცილებელი ახალი ტიპის ხელოვნურად გამახალისებელი, ენერგიის მომზღვავებელი საშუალება – "ექსტაზი" მოიტანა. ასეა მთელს მსოფლიოში და ასეა ჩვენთანაც. ქართველები რისი ქართველები ვართ, დანარჩენი მსოფლიოსგან ყველაფერი ნეგატიური თუ არ გადმოვიღეთ, ფეხის ხმას ხომ არ ჩამოვრჩებით! შედეგი კი ის არის, რომ "ექსტაზი" 21-ე საუკუნის საქართველოს ახალგაზრდობის ახალი სენი გახდა, რომელიც, სამწუხაროდ, ზაფხულში ბათუმის მცირე მასშტაბის ფონზე აშკარად საგანგაშო გამოჩნდა. წელს აჭარის ზღვის სანაპიროზე დამსვენებელ ახალგაზრდებს შორის არადაექსტაზებულ, არააჟიტირებულ, არაბუნებრივად არააღგზნებულს ძნელად ნახავ. ნარკოლოგი არ ვარ და ახალი პრეპარატის უარყოფითი მხარეების კლინიკურ გარჩევას არ ვაპირებ, რაც არ ვიცი, არ ვიცი. ერთი კი ზუსტად ვიცი - ახალგაზრდა თაობის "ექსტაზით" ამგვარი პერმანენტული გადებილება კარგი ნამდვილად არ უნდა იყოს და ადრე თუ გვიან მათ ფსიქიკაზე კვალს აუცილებლად დატოვებს.







დაექსტაზების მასობრიობის შემხედვარეს ერთი მარტივი და, მგონი, ბუნებრივი შეკითხვა მებადება – საიდან? ვის შემოაქვს, როგორ, ვინ ყიდის, სად და რატომ ან ვინ ხუჭავს ამაზე თვალს? დღეს, როდესაც საქართველოში ნარკოტიკზე პარლამენტარებს ამოწმებენ, ნარკომან პოლიციელებს ებრძვიან, მერიის წამყვან თანამშრომლებს სამსახურიდან ნარკოტიკის გამო ათავისუფლებენ; დღეს, როდესაც ერთი შეხედვით, ბარიგებს თითქოსდა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს, ასეთი რაოდენობის "ექსტაზი" საიდან ჩნდება? ნებისმიერ ღამის კლუბში ერთი-ორი საათიც რომ დაჰყო, "ექსტაზის" აღების "დვიჟენიას" უეჭველად შენიშნავ. ვინ ყიდის, ვინ ყიდულობს, ვინ რამდენი დალია და როგორი ხარისხის "ექსტაზია" გაყიდვაში - ადვილად მისახვედრია. როგორ დავიჯერო, რომ ჩვენს პროფესიონალ პოლიციას ან კლუბის ადმინისტრაციას ასეთი მასობროვი გაექსტაზება შეუმჩნეველი რჩება?

ღამის კლუბებში შესვლა მკაცრი, უმეტესად ანტინარკოტიკული კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. კი ბატონო, ამის წინააღმდეგი ვინ არის? სკურპულოზურ, ზოგჯერ საკმაოდ უტაქტო და არადელიკატურ ჩხრეკასაც კი მხოლოდ და მხოლოდ ანტინარკომანული შეგნებით აღსავსე მორჩილად ითმენ. კლუბში შედიხარ და ხედავ, რომ შენი და ერთი-ორი კაცის გარდა ყველა დაექსტაზებულია და პატრონს ვერ ცნობს. მე თუ ელემენტარული ლოგიკა არ დავკარგე, გამოდის, რომ "ექსტაზი" იქვე, როგორც იტყვიან, не отходя от кассы, დახლთან იყიდება. ღამის კლუბის შესასვლელში შენი კონტროლი და ჩხრეკა კი ანტინარკომანიასთან არავითარ კავშირში არ არის და მხოლოდ ვაჭრობაში ხელის შეშლის თავიდან აცილების და საკუთარი პროდუქციის კონკურენტგარეშე გასაღების მიზნით ხდება.

ზღვის ნაპირზე დასვენებისგან, მზისგან, ყიალისგან, ალკოჰოლისგან, გიჟური მუსიკისგან, ნათელი ღამეებისგან ისედაც ზედმეტად აღგზნებული ახალგაზრდობა ღამის კლუბების დახმარებით კიდევ უფრო ილიზიანებს ნერვულ სისტემას და შედეგიც სახეზეა. ერთხელ მაინც შეიარეთ რომელიმე დისკოთეკაზე და თავად დარწმუნდებით - "მთელი მსოფლიოს დისკოთეკებზე იგივე ხდება" - ახალი თაობის ნებისმიერი წარმომადგენელი მეტყვის. ალბათ, მაგრამ მაინცდამაინც ცუდი რატომ უნდა გადმოვიღოთ, გაუგებარია. ვის ნარკობარონობაზე ვლაპარაკობდით, თუ ყოველი მეორე ღამის კლუბი ნარკობარონად ვაქციეთ, მივუშვით, უფლება მივეცით. ყველამ ყველაფერი ვიცით, ვხედავთ და თავს იმით ვიწყნარებთ, რომ ყველგან ასეა. არ ვიცი, თქვენთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ეს არასაკმარისი არგუმენტია.

# ავანტიურა ყვითლადაც არ იღებება

გარშემო ნაცნობიც არ მყავს, რომელიც ნებაყოფლობით აღიარებდეს, რომ "სარკეს", "ბომონდს", "თბილისელებს" ან რომელიმე სხვა ამგვარი ხარისხის ჟურნალს კითხულობს. შემთხვევით თუ ვინმეს ხელში ან სახლში "სარკე" დავუნახე, შეწუხებული აუცილებლად თავს იმართლებს, რომ ეს "დებილობა" პირველად ცხოვრებაში ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იყიდა. რატომ რცხვენიათ "ბომონდის" ან "ვარსკვლავების" (კიდევ უარესი) კითხვის და ახლად შეძენილ ნომერს ჩანთაში რატომ მალავენ? უსაფუძვლო, უაზრო, სიმართლესთან არანაირი კავშირის მქონე ჭორაობის სინონიმად რატომ გადაიქცა ჟურნალი "სარკე"? როგორც კი ვინმე სულელურ ჭორს მოჰყვება, იმ წუთას პასუხსაც იღებს – შენ რა "სარკესავით" ჭორაობ. მთელი უბედურება კი ის არის, რომ ჩვენში ასეთი ტიპის ჟურნალებში ვერც კი ჭორაობენ. უბრალოდ, რაც კი გაუგიათ და ვერ გაუგიათ, ყველაზე ყველაფერს წერენ. კორესპონდენტები მთელი დღეები "პოპულარულ" ხალხზე ნადირობენ, კარებში არ შეუშვებ, ფანჯრიდან ძვრებიან, ფანჯრიდან გადააგდებ - სახლთან დაგხვდებიან. იგებენ მობილურის ნომრებს, რეკავენ, ყურმილს უკიდებენ და ისევ რეკავენ. როგორც "ახალი ჟურნალის" ერთ-ერთი ჟურნალისტისგან შევიტყე, ახალი მეთოდისთვისაც მიუგნიათ და ინფორმაციებს გარეუბნებში, სამარშრუტო ტაქსებით სეირნობის და ხალხის ლაპარაკის მოსმენის ხარჯზე აგროვებენ. ეტყობა, ახალი ჟურნალის ახლებურობა სწორედ ამ შედეგიანი მეთოდის გამოგონებაშია. აბა, მეტი რა სიახლე შეიძლება ჰქონდეს ქართული ყვითელი პრესის სრულიად ტიპურ გამოცემას? ყვითელი პრესის ყველა ჟურნალს ერთი და იგივე, უგემოვნო, გაუნათლებელი, უტაქტო და ზოგჯერ უზრდელი ელფერი დაკრავს. რომელიც გინდა გადაშალე, სათაურების მეტი არაფერია. მოიგონებენ ხმაურიან, ყურადღების მისაქცევ სათაურს, ყდაზე გამოიტანენ და არაფრის მთქმელი ჟურნალის გაყიდვაც გარანტირებული აქვთ. სათაურების სტილისტური მსგავსებით თუ ვიმსჯელებთ, ვიღაც ერთი უნიკალური პიროვნება არსებობს, რომელიც რედაქციიდან რედაქციაში შეთავსებით დარბის, ჟურნალებს სათაურებს უგონებს და ყვითელი პრესის ერთფეროვან უგემოვნობას ავტორისეულ შეფუთვას უკეთებს. სულ მაინტერესებს, რა ნიშნით მიმდინარეობს კორესპონდენტების შერჩევა ამ ჟურნალების რედაქციებში. ნუთუ მართლა ასოების წერის, გაუმართავი ქართულის და რამდენიმე ცნობილი სახელისა და გვარის ცოდნაა საკმარისი? როგორც ვვარაუდობ, ზემოთჩამოთვლილი ამ უნიკალური თვისებების პარალელურად უთავმოყვარეო, უტაქტო, უგულო და ყოველგვარ ეთიკას, მით უმეტეს, ჟურნალისტურს მოკლებული უნდა იყო, რომ ყვითელი პრესის კორესპონდენტის მაღალი წოდება მოიპოვო. ჟურნალისტების მიერ სამარშრუტო ტაქსებში საათობით ყანყალის, მეტროში მგზავრობის ან ბაზარში გამოკითხვის ფასად მოპოვებული "ძვირფასი" მასალა რა ნიშნით რედაქტირდება - ვერ გამიგია. არადა, როგორ მაინტერესებს, რა პიკანტური ან პროფესიონალური შესწორებები შეაქვთ ჟურნალების რედაქტორებს და ამის გაკეთებას ასე შეუმჩნევლად და უშედეგოდ როგორ ახერხებენ. ან ვინ აძლევს მათ ინტერვიუს და თუ აძლევენ, რატომღა წუწუნებენ?! საკუთარი გამოცდილებიდან ხომ ზუსტად იციან, რომ მათი პირადი ცხოვრება ან რომელიმე გამონათქვამი გროტესკულ ფორმაში იქნება მოწოდებული? წარმომიდგენია, როგორი ტანჯვაა "ბომონდის" კორესპონდენტისთვის ინტერვიუს მიცემა, მაგრამ რას იზამ, "პოპულარობას" მსხვერპლი სჭირდება.

ყვითელ პრესასა და ჟურნალისტურ-ადამიანურ ეთიკას შორის ზღვარი სად გადის, ამას მე კი არა, ჩემზე ბევრად ჭკვიანი ხალხიც ვერ ადგენს. ერთი კი დანამდვილებით ვიცი, რომ "ყვითელსაც" თავისი გრადაციები გააჩნია და ჩვენებურ სიყვითლეს განსაკუთრებულად საეჭვო ელფერი და, თუ გნებავთ, სუნიც კი დაკრავს, რომელსაც ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს. ქართული საზოგადოების ნახევარი ყვითელი პრესის ვულგარულობით, უგემოვნობით, ნებისმირი თუნდაც პოპულარული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არცოდნით აღშფოთებას არ მალავს. იმავე საზოგადოების მეორე ნახევარი კი, მართალია, ცოტა დარცხვენილად, თავის მართლებით, მაგრამ ამ მაკულატურას მაინც ყიდულობს და ამით მხოლოდ ვიღაცის ავანტიურიზმს უწყობს ხელს. ეს ჟურნალები კი რომ ავანტიურაა და სხვა არაფერი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ნუთუ მართლა ასეთი საინტერესოა კორესპონდენტის მიერ ორღობეში მოპოვებული და შემდგომ მისი გემოვნებით ინტერპრეტირებული ამბავი იმის შესახებ, თუ "ვინ აუკრძალა შვილების ნახვა მაკა ასათიანს", "რამდენი კაბა აქვს საზაფხულოდ მომზადებული თეონა თავართქილაძეს", "როგორ ეჭვიანობს მამულიჩა", "რატომ არ დადის გურიაში კობა ბექაური" და როგორ ქილებში ინახავს მარილსა და შაქარს ნინო ბურჯანაძე. არ მინდა დავიჯერო, რომ გემოვნებით, შინაგანი კულტურით და არამეშჩანობით ოდითგან გამორჩეული ქართული საზოგადოება ვულგარული პრიმიტივიზმის იმ ზღვარზე დავიდა, რომელზედაც ზემოთჩამოთვლილი და ბოლომდე ვერჩამოთვლილი ჟურნალები არიან.

მაშ ვისთვის ირჯებიან "ჟურნალების" "კორესპონდენტები"? ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მდაბიო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ჰოდა, წერონ და იკითხონ, თუ ამას წერა ჰქვია და კითხვა თუ იციან.

# კლინტონის "ჩემი ცხოვრებიდან" ამოშლილი ქალები

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

აშშ-ს ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონის მემუარები "ჩემი ცხოვრება" (My Life) დაახლოებით ათას გვერდს მოიცავს. ამბობენ, რომ ორიგინალური ხელნაწერი სამჯერ დიდი იყო და რედაქტორებს კარგა დიდი შრომის გაწევა მოუწიათ, რომ უმართავი ბეჰემოტი არ გამოსვლოდათ. მაგრამ ზოგიერთი შემოკლება ცოცხალ ქალებსაც შეეხო. ეს იმდენად რედაქცია არ ყოფილა, რამდენადაც ცენზურა, და მთავარი ცენზორი კლინტონის მეუღლე ჰილარი გახლდათ.

როგორც ცნობილია, კლინტონი ყველაფერში კენედის მიბაძვას ცდილობს. ამ უკანასკნელმა ოდესღაც ბოისკაუტ ყმაწვილ ბილს ხელი ჩამოართვა და მანაც ის განგებად მიიჩნია. მას შემდეგ, და განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა, კლინტონი კენედივით ცდილობდა ცხოვრებას და ამ პარალელიზმს დაუზარლად აღნიშნავდა. ზოგჯერ ეს კერპთაყვანისმცემლობა სასაცილოც კი ხდებოდა. საწერი მაგიდა, რომლითაც კლინტონი სარგებლობდა, ოდესღაც კენედისა იყო, და კლინტონი ამას ყველას ეუბნებოდა, ვინც მის კაბინეტში შედიოდა ("ამ მაგიდასთან კუბის სარაკეტო კრიზისს არჩევდნენ"...). ზოგჯერ ბილი ამა თუ იმ პოზას იღებდა ხოლმე და გარშემომყოფებს უხსნიდა: "ასეთსავე პოზაში ერთ ფოტოსურათზე უმცროსი კენედი მყავს ნანახი"...

კლინტონი თავის კერპს, ცხადია, ქალების სიყვარულშიც ბაძავდა, თუმცა ამ, უკაცრავად პასუხია და, სფეროში ის რაოდენობას უფრო დაგიდევდათ, ვიდრე ხარისხს (საკმარისია ერთმანეთს მონიკა ლევინსკი და მერლინ მონრო შევადაროთ!). ამ, უკაცრავად პასუხია და, სფეროში ორიგინალის მიბაძვა ტრაგიკომიკულ ხასიათს იძენდა. პრეზიდენტ კენედის თეთრი სახლის საცურაო აუზში უყვარდა ქალებთან ყოფნა. ის დედიშობილა ჭყუმპალაობდა ხოლმე, სულ ნაირ-ნაირ ქალებთან ერთად. თავის წიგნში "კამელოტის ბნელი მხარე" (The Dark Side of Camelot) სეიმურ ჰერში სასაცილო ეპიზოდს აღწერს, როცა მეუღლემ, ჟაკლინ კენედიმ, ფიდლის და ფადლის მეტსახელით ცნობილ ორ სიმპათიურ მდივან გოგოსთან ერთად კინაღამ აუზში მიუსწრო. მხოლოდ საიდუმლო სამსახურის აგენტების სიმარჯვემ და გამჭრიახობამ იხსნა პრეზიდენტი ამ სავსებით არაკუბური კრიზისისგან.

და აი, კლინტონმა გადაწყვიტა, რომ ამაშიც კენედის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ერთ მშვენიერ შუაღამეს კლინტონმა თეთრი სახლის აუზის გამანათებელი ყველა სინათლის ჩაქრობის განკარგულება გასცა და მომხიბვლელ ქერათმიან ქალთან ერთად წყალში დედიშობილა გადაეშვა. ბილი და ქერათმიანი ქალი ერთი საათის განმავლობაში ნეტარებდნენ. თავისი მემუარების წერისას კლინტონმა ამ ეპიზოდის გახსენებაც განიზრახა, რომელსაც მან ხუმრობით "წყლის სპორტით" დაკავება უწოდა. "ჩემი ცხოვრების" ერთ-ერთი რედაქტორის თქმით, "ბილი ქერათმიანთან ერთად გატარებული საღამოთი ძალიან ამაყობდა და მას "კენედისეულად" თვლიდა". ის ამ ამბავში "ისეთს არაფერს" ხედავდა და თვლიდა, რომ ის მის "კენედისთან მსგავსების იმიჯს" ავსებდა. მეტსაც მოგახსენებთ: კლინტონმა გადაწყვიტა, თავის იდეალზე მაგარი ყოფილიყო და თეთრი სახლის სამხრეთ მინდორზე შვიდ კაცზე გათვლილი საუნა ჩაადგმევინა. ამასთან დაკავშირებით მისი დაცვა ხუმრობდა ხოლმე, "ბოსს საუნის შვიდივე ადგილით სარგებლობა უყვარდაო".

"წყლის სპორტმა" ჰილარი გააცოფა. მან ბილს მტკიცედ მოსთხოვა ამ ეპიზოდის "ჩემი ცხოვრებიდან" ამოღება. ის მას უმტკიცებდა, რომ "წყლის სპორტი" მის ისედაც დაშავებულ რეპუტაციას ავნებდა და თავად ჰილარის პოლიტიკურ კარიერასაც ზიანს მიაყენებდა, ასე ვთქვათ, დაძირავდა. საბოლოო არგუმენტად ჰილარიმ "მოცურავის" ქალიშვილი, ჩელსი მოიყვანა. ამბობენ, რომ მამის გული შედრკა, და "წყლის როკ-ენროლი" ტექსტიდან ამოიღეს და გადააგდეს. ჰილარიმ ბრძანა, რომ "ჩემს ცხოვრებაში" ბილმა მხოლოდ იმ სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ უნდა წეროს, რომლებიც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, და არა იმის შესახებ, რაც მხოლოდ მან იცის.

ოჯახურ გარჩევებს შეეწირა ვინმე მერილინ ჯო ჯენკინსიც, რომელიც დღემდე ბილის "ჭეშმარიტ სიყვარულად" ითვლება. ამბობენ, რომ მერი ჯო "კლინტონის ცხოვრებაში მაშინ გამოჩნდა, როცა ის განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო და ახალი ცხოვრების დაწყებაზე ფიქრობდა" (ჟურნალი "გლოუბი" – მ.ს.). ისინი ერთმანეთს 80-იანების ბოლოს შეხვდნენ, როცა კლინტონი არკანზასის შტატის გუბერნატორი იყო, მერი ჯო კი - თვალისმომჭრელად ლამაზი და ტანადი, ქმარს გაცილებული ქალი. მის გამო კლინტონი ჰილარის მიტოვებასაც კი აპირებდა. აი, რას წერს ამ "საუკუნის რომანის" შესახებ ბილ ნაიჯელ ჰამილტონი თავის წიგნში "ბილ კლინტონი – ამერიკული მოგზაურობა", რომელიც კლინტონის მემუარებზე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდა. თურმე, კლინტონი სულ გუბერნატორის სასახლესა და მერი ჯოს ბინას შორის იყო გადებული, ხოლო როცა ამას ვერ ახერხებდა, "მასთან საუბრით ტელეფონის ყურმილს აფეთქებდა". ის მერი ჯოს ზოგჯერ დღეში 19-ჯერ ელაპარაკებოდა, რასაც გუბერნატორის ოფისის სატელეფონო ჩანაწერები მოწმობს, ზოგჯერ საათობით ლაპარაკობდა, იმ დროს, როცა ჰილარისთან, დიდი-დიდი, სამი წუთით ჰქონოდა საუბარი.

ავტორს კლინტონის ერთ-ერთი მცველის სიტყვები მოჰყავს: "გუბერნატორი მეუბნებოდა, რომ მერი ჯო ხუთი წლის განმავლობაში მისი ერთადერთი ქალი იყო. ის ამბობდა, რომ ძალიან ძნელია, როცა ერთსადაიმავე დროს საკუთარი ცოლიც და სხვა ქალიც უნდა გიყვარდეს". ავტორი წერს, რომ მერი ჯოსთან "ბილი გრძნობდა, რომ იმიტომ უყვარდათ, რომ ასეთი იყო, და არა იმიტომ, რომ მერე ასეთი გახდებოდა". 1989 წელს კლინტონმა მერი ჯოს უთხრა, რომ მისი ცოლად თხოვნა აქვს გადაწყვეტილი, და ეს ჰილარისაც შეატყობინა. მაგრამ პოლიტიკა "ერთადერთს" მოერია. თეთრი სახლისთვის ბრძოლაში ჩაბმულმა კლინტონმა ჰილარი არ მიატოვა, თუმცა მერი ჯოსთან "სატელეფონო რომანი" განაგრძო და ოთხჯერ შეხვდა კიდეც "გუბერნატორის სასახლის სარდაფში, 1992 წლის არჩევნების შემდეგ 1993 წლის დასაწყისამდე, ანუ ინაუგურაციამდე".

ზოგიერთ წყაროს თუ დავეყრდნობით, კლინტონის მემუარებმა "წარსული გაქექა", და მან მერი ჯოსთან კონტაქტის დამყარება სცადა, რომელსაც დღემდე დიდი სინაზით იხსენებს. ამ კონტაქტის შედეგების შესახებ არაფერი ვიცით. შეძლო თუ არა ბილმა მერი ჯოს თავისი ცხოვრებიდან ამოშლა? "ჩემი ცხოვრებიდან" კი ნამდვილად ამოშალა. ბოლოსდაბოლოს, "ჩემი ცხოვრება" პოლიტიკური მოღვაწის მემუარებია და არა კაზანოვასი.





კლინტონი თავის კერპს, ქალების სიყვარულშიც ბაძავდა, თუმცა რაოდენობას უფრო დაგიდევდათ, ვიდრე ხარისხს. საკმარისია ერთმანეთს მონიკა ლევინსკი და მერლინ მონრო შევადაროთ!

# სპარსული ფესვები

კვირის დასაწყისში ირანში ბრიტანული ჯგუფის, "ქვინის" ალბომი გამოუშვეს. ეს პირველი დასავლური როკ-ალბომია, რომელიც ირანში ლეგალურად იყიდება. ექსცენტრული და აწ გარდაცვლილი ფრედი მერკურის ჯგუფი ისლამურ ქვეყნებში დღეს ყველაზე პოპულარულია.

სანამ დახლებზე გამოჩნდებოდა, ყოველმა სიმღერამ ქვეყნის მოხელეების მკაცრი კონტროლი გაიარა. ნებადართული მხოლოდ "სოციალური" ხასიათის სიმღერები იყო, მათ შორის Bohemian Rhapsody, The Miracle და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, I Want to Break Free. ვინაიდან ჰომოსექსუალიზმი ირანში კანონით ისჯება, You're My Best Friend და Crazy Little Thing Called Love სასტიკად აკრძალეს. მოკლედ, ასეა თუ ისე, ირანელი "ქვინის" მოყვარულები თავიანთი კერპების თერთმეტ სიმღერას დაუბრკოლებლად მოუსმენენ, რაც უკვე ძალიან კარგი ამბავია.

როგორ მოხდა, რომ რელიგიურმა ცენზორებმა ცნობილი ჰომოსექსუალისტის სიმღერები მოსმენის ღირსად ჩათვალეს? ეს საკმაოდ გაუგებარია. სავარაუდო მიზეზი 1991 წელს შიდსით გარდაცვლილი მომღერლის სპარსული წარმოშობაა: მისი მშობლები სპარსები იყვნენ, ის თავად ტანზანიაში დაიბადა და ფარუხ ბულსარა ერქვა სახელად.

ირანის მკაცრმა მოხელეებმა კიდევ ერთი მამათმავალი მიიჩნიეს ლეგალიზაციის ღირსად: ელტონ ჯონი. გარდა ამისა, ირანელებს ხულიო იგლესიასის პოპ-სიმღერებისა და ჯიპსი კინგსის მოსმენაც შეუძლიათ – ამისთვის მათ არავინ დააპატიმრებს.




## TV პროგრამა

28 აგვისტო

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **10.55** საბავშვო ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" **15.20** მხ. ფილმი "წყლის სამყარო" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "უკანასკნელი კინოსეანსი". რეჟ. პიტერ ბოგდანოვიჩი (18). **00.20** მხ. ფილმი "21 გრამი". მთ. რ-ში: ნაომი უოტსი, შონ პენი (18).

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.20** მხ. ფილმი "სახიფათო პროფესია" (გ) **14.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **14.55** "ფორმულა-1" (რეპორტაჟი ბელგიიდან) **17.05** დოკ. სერიალი "ბეჰემოტის საიდუმლო" **18.00** ვესტნიკი **18.45** იმღერე რამე **19.15** ტელეზღაპარი **19.25** ისტორიანი **20.35** ფორტუნა **21.15** ქართ. ტელეფილმი "დედაო ღვთისა" **22.00** "საღამოს საუბარი" **22.50** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **23.05** "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მუს. არჩევნები **01.10** მხ. ფილმი "თავისუფალი გი:ები" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ადამიანი რომელიც სუსტდება" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხესიმაგრე" **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "კაპიტან კორელის არჩევანი" **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ტრაფიკი" (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" **10.00** მულტფილმი "რობინ ჰუდი" **11.35** საბ. სერიალი "დიუნის შვილები" **12.30** მხ. ფილმი "სკუბი დუ" (გ) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ჯუმანჯი" (გ) (რობი უილიამსი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "მარტოხელა მტრედის დაბრუნება" **18.05** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **19.00** დეტ. სერიალი "ბასკერვილების ძაღლი" **20.30** მხ. ფილმი "გი:ური პარასკევი" (გ) (ჯემი ლი კერტისი) **22.30** მხ. ფილმი "რევოლუცია" (15) (ალ პაჩინო)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** ქიმერიონი - რ. ესაძე **22.00** მხ. ფილმი "ოსტატის შეხება" (15)

### იმედი

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.45** ქრონიკა **08.15** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **09.45** თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი (კაცები) ფინალი, კალათბურთი (კაცები) მე-7-8 ადგილი, ხელბურთი (ქალები) მე-5-8 ადგილი, ველორბოლა. **13.10** თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფეხბურთი (კაცები) ფინალი (გაგრძ.), ველორბოლა (გაგრძ.) **15.10** კალათბურთი (ქალები) მე-3 ადგილი. **16.45** იმედის მელოდიები **17.10** კალათბურთი (ქალები) (ფინალი), თავისუფალი ჭიდაობა. **19.20** თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) მე-3 ადგილი, მძლეოსნობა, კალათბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ფრენბურთი (ქალები) (ფინალი), კრივი. **22.20** მძლეოსნობა (გაგრძ.), კალათბურთი (კაცები) (ფინალი), კრივი (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) (ფინალი) (გაგრძ.), წყალში ხტომა (კაცები). **01.45** ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა **03.15** ტვ-მარკეტი **04.00** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი და ურჩხული" (გ) **19.45** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** მხ. ფილმი "ამაოების ბაზარი" (15)

### ОРТ

**06.00, 10.00, 18.00** Новости **06.10** "Шутка за шуткой" **06.30 Х/ф "ПРАВО ПЕРВОЙ ПОДПИСИ" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря **09.10** Здоровье **10.10** Тайны века. "Проклятие Брюса Ли" **11.00** На XXVIII летних Олимпийских играх **13.30** "Приключения Мики и Дональда" Мультсериал **13.50** "Пестрая лента" **14.40 Х/ф "ССОРА В ЛУКАШАХ" 16.30** На XXVIII летних Олимпийских играх **17.50** Классика Уолта Диснея **18.10** "КВН-2004". Премьер-лига **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время **21.20** Летний вечер на "Первом канале" **22.30** На XXVIII летних Олимпийских играх **00.30 Х/ф "12 ОБЕЗЬЯН" 02.55 Х/ф "МОЙ САМЫЙ НЕВЕРОЯТНЫЙ ГОД" 04.30 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.20** "Все путешествия команды Кусто"

### НТВ

**06.25 Х/ф "ТОЛЬКО РАЗ В ЖИЗНИ" 08.00, 12.00, 16.00, 19.00** "Сегодня" **08.20** "Улица Сезам" **08.45** Мультфильм "Василиса Микулишна" **09.05 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2" Сериал 10.05** "Кулинарный поединок" **11.00** "Квартирный вопрос" **12.20** Профессия - репортер **12.55** Вкусные истории **13.05 Х/ф "ОБМАН ПО-ФРАНЦУЗСКИ" 15.00** "Совершенно секретно" **16.20** "Женский взгляд" **16.55** Своя игра **17.55 "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ. ПЕРЕХОДНЫЙ ВОЗРАСТ" Сериал 19.35 Х/ф "КЛАССИК" 21.45 Х/ф "ХОРОШИЕ ПАРНИ" 00.25** "Российская Империя. Николай II" **01.50 Х/ф "ВЕДЬМА ИЗ БЛЭР. КУРСОВАЯ С ТОГО СВЕТА"**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# სხვისი მარცხი და სხვისი სიხარული

ანა კორძაია-სამადაშვილი

*"მერლინ მონრო შენზე ლამაზი იყო, მარი კიური – შენზე ჭკვიანი, მარინა ცვეტაევა – შენზე ნიჭიერი, და არცერთს არ უმართლებდა. შენ რა პრეტენზია გაქვს?"*
*ბრძენი პლეხანოველი ქალის კლასიკური გამონათქვამი*
*"ლამაზი გოგოა, არა?"*
*"კი, ოღონდ პოსტმოდერნის ხანისთვის მეტისმეტად ბუნებრივი".*
*კინოსეანსის დროს ყურმოკრული საუბრიდან.*



*პაპარაცმა ბრიტნი სპირსი მალიბუში ავტოსადგომზე გადაიღო. ჰიპი, ჰიპი, ვაშა!*

კამერონ დიასის შუბლსა და ლოყებს აშკარად ემჩნევა, რომ ეს ლამაზმანი მზეს მეტისმეტად დიდხანს ეფიცხება ხოლმე. ბრიტნი სპირსი თავის ასაკზე ათი წლით უფროსს ჰგავს და პირთან ნაოჭიც აქვს ასხმული. რენე ზელვეგერის ლოყებს დახეთქილი კაპილარები ფარავს, და ამერიკელ ტელეწამყვან ჯოან რივერსს საერთოდ სასწაული სჭირს – სხვადასხვა დროს გაკეთებული კანის დაჭიმვის ოპერაციების კვალი ეტყობა.

ბოლო დროს მსგავს საშინელებებს ბულვარული პრესა სულ უფრო ხშირად ბეჭდავს, თუნდაც ის სვეტი გავიხსენოთ, "ცელულიტი ვარსკვლავებსაც სჭირთ", რომლის მერეც მარტო ჩემი ნაცნობებიდან ერთმა ათმა ქალმა მაინც დაანება თავი ამ სენთან ჭიდილს: სადაც ნიკოლ კიდმანს ვერაფერი გაუხერხებია, ჩვენ რა... მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ქალების გაჭირვებები სულ სხვა მიზეზის გამო ვახსენე (უფრო სწორედ, "ნეტცაიტუნგმა" ახსენა, აბა, მე საიდან მეცოდინებოდა). საქმე ისაა, რომ შესანიშნავ ტელევიზორებს, რომლებსაც თურმე HDTV (High Definition Television) ჰქვია, იმდენად მკაფიო გამოსახულება ჰქონია, რომ ყოველი ნაოჭი, ყოველი ჭორფლი თვალშისაცემი ხდება, და ამას საუკეთესო მაკიაჟიც კი ველარ შველის. მოკლედ, ასე უთავბოლოდ განვითარებული ტელეტექნიკა ზოგიერთებისთვის სავალალო გამოდგა.

ვინმე ფილიპ სვენმა TVpredictions.com-იდან, რომელიც სატელევიზიო ტექნიკის განვითარების სფეროშია დაკავებული, ძალიან ლამაზებად ცნობილი ქალები გულდასმით დაათვალიერა და მათი სია ჩამოწერა, ვინც HDTV-ს "წყალობით" ცუდი დასანახები არიან. საკმაოდ გრძელი სიაა: დიასის, სპირსის, ზელვეგერისა და რივერსის შემდეგ კიდევ 40 სახელგანთქმული ქალია ჩამოთვლილი.

იქვე სვენმა არ დაიზარა და HDTV-თვის "მისაღები" პერსონაჟების სიაც შეადგინა. თურმე, ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას ისეთი კანი ჰქონია, რომ ახალი ტექნიკა ვერაფერს აკლებს. მერე რა, რომ უნიჭო ჩოგბურთელია, სამაგიეროდ, როგორი სანახავია! ანა, ცხადია, ძალიან ხარობს. კარგი საყურებელი ყოფილა ანჯელინა ჟოლიც (მჯერა), პენელოპა კრუზიც (ესეც მჯერა), სუზან სარანდონიც (მე რომ მკითხოთ, საერთოდ არ უქნია გამჩენს, მაგრამ კარგი, დავიჯერებ) და ჰოლი ბერიც – აი, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი ძალიან ეჭვი მეპარება, რადგან "ცელულიტი ვარსკვლავებსაც სჭირთ" ნანახი მაქვს და უკანალს ისეთი ცელულიტი უხრავს, გულს შემოგეყრებათ. მაგრამ, პრინციპში, სახე ხომ უკანალი არაა... ისე კი, ჰოლი ბერის ყველაზე ნაკლებად ვერჩი, უკანასკნელი ამბით ხომ სულ მთლად მოვიხიბლე: "ბუნტეში" წავიკითხე, რომ თავის ყოფილ საყვარელზე, ერიკ ბენეტზე გაჯავრებულმა ჰოლი ბერიმ მისი ნივთები, ძირითადად, ტანსაცმელი, სახლიდან გაიტანა და ლოს ანჯელესის უსახლკაროებს დაურიგა – იმათაც ხეირი ნახეს და ბენეტმაც ჭკუა ისწავლა.

მაგრამ ეს სხვა ამბავია. ისევ HDTV-ს და მის მსხვერპლთ დავუბრუნდეთ. მამაკაცთაგან ახალი ტექნიკით გამოცდას გაუძლეს ჯორჯ კლუნიმ და ჯონ ტრავოლტამ. სვენი თვლის, რომ ასეთ ახლებურ ტელეგენურობას ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა უმადლოდნენ: აი, სტინგი 52 წლისაა და 30 წლისას ჰგავს – ეს, სვენის აზრით, სულ იოგას დამსახურებაა (მერე რა, რომ ერთი-ორი-სამი-ოთხი ოპერაციაც აქვს გაკეთებული), ხოლო ის, რომ ბრიტნი სპირსი აღარაფერს ჰგავს, სულ სიგარეტის ბრალი ყოფილა.

როგორც მოგახსენეთ, ეს ყველაფერი დასავლური "მოყვითალო" პრესიდან ამოვკრიფე, რომელიც გუშინ ღრმად პატივსაცემი ბატონი სვენის სიით იყო დაკავებული. ისე, რენე ზელვეგერს HDTV რაღად უნდოდა, ისედაც კოღოს დაკბენილს ჰგავს...

საერთოდ, აღმოჩნდა, რომ სილამაზის კრიტერიუმები ამიცდა. მე ვერასოდეს მივხვდები, რატომაა ბრიტნი სპირსი ლამაზი გოგო. გარწმუნებთ, მოწევა არაფერ შუაშია – ასე, ანი ჟირარდო (ჩემზე ბევრად ახალგაზრდების საყურადღებოდ - ფრანგი მსახიობია ასეთი) მთელი ცხოვრება უფილტრო "ჟიტანს" ეწეოდა – მერე, რა?

გუშინ ჩემს საყვარელ "ბილდში" სტატია წავიკითხე, რომლიდანაც ციტირებას მოვახდენ: "ახლახანს პაპარაცმა მომღერალი (ბრიტნი სპირსი – ა.კ.ს.) მალიბუში ავტოსადგომზე გადაიღო. ჰიპი, ჰიპი, ვაშა! ღამის პერანგის ფირმის მაისური, ფეხშიშველი, ბოშა ქალის კარგა გამჭვირვალე ქვედაბოლო, რომლიდანაც მოჩანდა: ბრიტნის ლურჯი საცვალი სცმია. ერთადერთი, კითხვა არ დაუსვამს: ჩემთვის ერთ დოლარს ხომ არ გაიმეტებდით?" სტატიას ერქვა: "ბრიტნი მკერდს მიაქნევს", და კიდევ რაღაც-რაღაცები ეწერა, რასაც სიამოვნებით გიამბობდით, მაგრამ "24 საათი" "ბილდი" არაა. უბრალოდ, იმან დამამშვიდა, რომ მარტო არა ვარ, სხვებიც ჩემსავით ვერ იგებენ, რა ადგილასაა ბრიტნი სპირსი ლამაზი და ნიჭიერი.

ისიც ვერ გავიგე, ვინაა საერთოდ (გარეგნობაზე აღარაფერს ვამბობ) პერის ჰილტონი, გარდა იმისა, რომ საშინელ სერიალში, "უბრალო ცხოვრებაში" საშინლად თამაშობს და ძალიან, ძალიან მდიდარია?

თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ. შესაძლოა, თქვენ ასეთი ქალები მოგწონთ, და მაშინ ვეცდები, მისი უდიერად მოხსენებისთვის ბოდიში მოვიხადო და პერისის შესახებ ახალი ცნობებით გაგახაროთ. თურმე მისი საყვარელი ძაღლი, ჩიჰუაჰუას ჯიშისა, სახელად ტინკერბელი, 12 აგვისტოს დაიკარგა. ალბათ მოიტაცეს! არ იღელვოთ, ის მალე კვლავ გამოჩენილა.

მილიონების მფლობელმა თავისი ცუგას (Page Six ავად სისინებს, რომ ის ცოცხალი არსება კი არა, აქსესუარია, და თან საკმაოდ უგემოვნო, და მეც, ავი, სიხარულით დავეთანხმე) მპოვნელს 5000 დოლარი აღუთქვა, და ბევერლი ჰილზზე პლაკატი გამოაკრეს: "ტინკერბელი დაიკარგა!"

აი, ასეთი მზრუნველი გოგოა მშვენიერი პერისი. უბრალოდ, აღმოჩნდა (N.Y. Post-მა მოგვახსენა), რომ ძაღლი არსად დაკარგულა, იქვე იყო, სადაც პერისმა დატოვა, ანუ, მისი მშობლების სახლში. როდესაც პრესა და ტელევიზია აყვირდა, პერისმა ძაღლი დაკარგაო, ჰილტონების დიასახლისმა პერისს დაურეკა და გაახსენა, რომ ტინკერბელი მათთან ჰყავდა დატოვებული.

ამ სახალისო ამბავს კიდევ ერთი სახალისო ამბავი მოჰყვა: პლაკატი "ტინკერბელი დაიკარგა!" ინტერნეტ-აუქციონზე Ebay გაიტანეს. ის დღეს დამთავრდება, ამიტომ ჯერ ვერ გეტყვით, რამდენად გაიყიდება. მხოლოდ საწყისი ფასი ვიცი – 45 დოლარი, და ისიც ვიცი, რომ ბოლოს პერისის კვალობაზე შესაბრალისი თანხა, 125 დოლარი და 50 ცენტი იყო დასახელებული.

■ ■ ■

როგორ მშურს ჩემი უცხოელი კოლეგებისა! რამდენი სიხარული მოაქვთ მათთვის მათ ვარსკვლავებს, რამდენ სისულელეს აკეთებენ, როგორი ფართომასშტაბიანია მათი სიბრიყვე! ნუთუ არასოდეს არცერთი ქართველი ვარსკვლავი არ მომცემს იმის შანსს, რომ მის შესახებ მსგავსი მასალა დავწერო? რა ხანია, ვუყურებ და ერთხელაც არ გამახარეს. როგორც ჩანს, სისულელესაც გაქანება სჭირდება...




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჯინჭარაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.